ეს სისტემა უნდა დაინგრეს! A2

საბიუჯეტო რეფორმა - გრძელვადიანი პოლიტიკა A8

„ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 12 მარტი, 2003 წელი. №69 (281)

ფასი 50 თეთრი

## ინტერვიუ

### კომუნისტური ნოსტალგია - შიში და აგრესია

*პუტინმა ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. მას არ აქვს მსოფლიოზე გავლენის რესურსი, მას არ ჰყავს დიდი არმია, დიდი დაზვერვა, ვერ უხდის ფულს საკუთარ აგენტებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებში დასამკვიდრებლად. არ აქვს გიგანტური ეკონომიკა, რაც სტალინმა სსრკ-ს დაუტოვა.*

B1

## ეკონომიკა

### „თვითონ ჭამენ ამ ფულს და ბიუჯეტში რაღას შეიტანენ?"

*საქართველოში 200 ათასი რეგისტრირებული გადამხდელია, ამათგან აქტიური 15 ათასია, ხოლო ბიუჯეტში გადასახადები რეალურად მხოლოდ 500-ს შეაქვს. პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ 20 ყველაზე კარგი და 20 ყველაზე ურჩი გადამხდელის სია გამოაქვეყნა.*

A4

## უცხოეთი

### ცვლილებები რუსეთის ხელისუფლებაში

*გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ქვეყნის ხელისუფლებაში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებების შესახებ განაცხადა. ცვლილებები, ძირითადად, ეკონომიკურ და ძალოვან უწყებებს შეეხო.*

A5

## საზოგადოება

### საკრებულო „ცენტრ-პოინტის" წინააღმდეგ

*რჩეულიშვილების მფლობელობაში არსებულ სამშენებლო ფირმა "ცენტრ-პოინტს" საკრებულომ დარღვევები დაუფიქსირა. ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი და ვიცე-პრემიერი უკანონო მშენებლობების შეჩერებას მოითხოვენ.*

A6

## სამართალი

### იუსტიციის საბჭოს თავისი დემოკრატია აქვს

*შარმანაშვილის თქმით, ცივილიზებულ ქვეყნებში მოსამართლეთა პატარ-პატარა ცოდვებს არავინ ახმაურებს, რათა შემდეგ ვინმემ არ წამოაძახოს: შენ ის არ ხარ, ამა და ამ საქმეში ესა და ეს შეცდომა რომ დაუშვიო?*

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 10 |
| ბათუმი | 7 |
| სოხუმი | 8 |
| ფოთი | 8 |
| თელავი | 8 |
| ზუგდიდი | 10 |
| გორი | 5 |
| ახმეტა | 7 |
| ჭიათურა | 7 |
| გაგრა | 7 |
| სამტრედია | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.3886 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4586 |
| რუბლი | 0.0686 |

# ტელეშოუ სასამართლო დარბაზიდან



გრიგოლ ხურცილავა



მოსამართლე და განსასჯელის და

ხათუნა ჯანგირაშვილი

მოსამართლე ნანა გუგუნაშვილის კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, გუშინ დილიდან, გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესის პირდაპირი ტელეტრანსლირებისთვის დიდი მზადება იყო. ტელე-რადიო დეპარტამენტის ვიდეოკამერებმა პროცესის დაწყებისთანავე მუშაობა დაიწყეს, თუმცა რატომღაც, სახელმწიფო ტელევიზიის პირდაპირი ეთერით, დაახლოებით, ერთსაათიანი პროცესის მხოლოდ ფინალი გადაიცა. ეს პროცესის სწორედ ის მონაკვეთი გახლდათ, როდესაც გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივი – სექსუალური ძალადობა - სასამართლო დარბაზში უკვე მეორედ დასახელდა. გრიგოლ ხურცილავას მეგობრის, მალხაზ ხვედელიანის სიტყვები ამჯერად განსასჯელის დამ, ძაბული ხურცილავამ გაიმეორა. რაც ყველაზე მთავარია, სიტყვები, რომელიც მეგობარი მოწმისგან, ერთი თვის წინ განსასჯელმა მშვიდად, აუღელვებლად და ურეაქციოდ მოისმინა, გუშინ მისი აღშფოთებისა და განრისხების მიზეზი გახდა. გრიგოლ ხურცილავამ დის ჩვენება ყვირილით, ღრიალითა და გალიის გისოსებზე მიჯახებით გააპროტესტა. "გამიყვანეთ აქედან!" – ითხოვდა განსასჯელი და გალიის კედლებს აწყდებოდა. ერთი სიტყვით, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის, გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესის პირველი ტელეშოუ უკვე შედგა.

ახლა კი იმის შესახებ, რაც სახელმწიფო ტელევიზიის ეთერს მიღმა დარჩა.

პროცესის დაწყებიდან რამდენიმე წუთში, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა დაზარალებულის დამცველმა, პროცესში ახლადჩართულმა ზვიად კორძაძემ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა, სწრაფად და უყოყმანოდ გაცემული პასუხით - **"თქვენი შუამდგომლობა უსაფუძვლოა",** - არ დააკმაყოფილა დაზარალებულის დამცველის კანონიერი მოთხოვნა; ადვოკატმა ათტომიანი საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობისთვის

გაგრძელება A7 გვერდზე

# შევარდნაძის წარმომადგენლები და საქართველოს ორაზროვანი იმიჯი

თამარ ხორბალაძე

ეჭვი იმის თაობაზე, რომ სოჭში ხელმოწერილი მემორანდუმის შინაარსი ემთხვევა ასლან აბაშიძის მიერ სახელისუფლებო მაგიდაზე დადებულ "რეკომენდაციებს", უკვე შევარდნაძის თბილისში დაბრუნებისთანავე გავრცელდა. ასეთი ეჭვის წინაპირობა ისიც გახლდათ, რომ რკინიგზის გახსნის აუცილებლობა აფხაზეთში, პირველად, ასლან აბაშიძემ გაახმოვანა. ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა ამ ეჭვის გაქარწყლება სცადა:

**"სამწუხაროდ, მე არ შემიძლია, საფუძვლიანი კომენტარები გავუკეთო ბატონი ასლანის პოზიციას. იგი ხშირად დადის მოსკოვში, რაღაც საკითხებს განიხილავს ისე, რომ ეს საკითხები საქართველოს ხელისუფლებასთან არათუ შეთანხმებული, არამედ განხილულიც არ არის. თუ იგი უნდა იყოს საქართვლოს პრეზიდენტის წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში, ყველა საკითხი, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეთანხმდეს, ჩვენ უნდა განვიხილოთ, ან მე უნდა ჩავიდე, ან იგი უნდა ჩამოვიდეს და ეს საკითხი ამგვარად ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს... მე არ ვამბობ, რომ ბატონ ასლანს არა აქვს გონივრული მოსაზრებები; ალბათ - აქვს, მაგრამ ჩვენ იგი არ განგვიხილავს,"** – საქართველოს პრეზიდენტმა ეს განმარტება ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე გააკეთა, რითიც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ვერ აკონტროლებს ასლან აბაშიძეს - საკუთარ წარმომადგენელს.

პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსის მფლობელი ამჯერად უკვე სამაჩაბლოს კონფლიქტის საკითხებში გახლავთ აბაშიძეზე არანაკლებ "პრორუსული" ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც დღეს უკვე საქართველოს პრეზიდენტის პარტიის ერთ-ერთი ლიდერია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ბრიტიშ პეტროლიუმს" სერიოზული ოპონენტი გამოუჩნდა

## ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი ბორჯომზე ნავთობსადენის გატარების წინააღმდეგია

სოფო კვინტრაძე

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოს დაცვითი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, თავისი დასკვნა გამოაქვეყნა. ფონდის ექსპერტებმა შეისწავლეს ნავთობსადენის ყველაზე პრობლემატური - ქციატაბაწყურისა და ბორჯომის მონაკვეთები. WWF გაეცნო, აგრეთვე, ნავთობსადენის ოპერატორი კომპანიის "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ ამ რეგიონში ჩატარებულ კვლევებსაც. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ჯერ კიდევ არსებობს დიდი საფრთხე, რომელიც, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, ემუქრება ბორჯომისა და ტაბაწყურის მონაკვეთებს. დასკვნაში ნათქვამია, რომ "ბი-პი"-მ ამომწურავი გამოკვლევები და ნავთობის შესაძლო დაღვრისას მიყენებული ზიანის ანალიზი არ ჩაატარა, ასევე, ამ ტერიტორიაზე მილსადენის გაყვანის აუცილებლობა და გარდაუვალობა არ დაასაბუთა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ერაყი: სადამის დღეები დათვლილია

შოთა უტიაშვილი

*გუშინ, უშიშროების საბჭომ კენჭი ვერ უყარა ახალ რეზოლუციას ერაყის თაობაზე. მას შემდეგ, რაც რუსეთმა და საფრანგეთმა ღიად განაცხადეს, რომ ვეტოს დაადებდნენ ნებისმიერ რეზოლუციას, რომელიც ბაღდადისადმი ულტიმატუმს შეიცავდა, აშშ-მ და ბრიტანეთმა რეზოლუციის განხილვაზე გატანა გადადეს. ლონდონმა განაცხადა, რომ იგი რეზოლუციის ახალ პროექტს წარადგენს.*

ვეტოს მუქარა

"საფრანგეთი არ დაუჭერს მხარს რეზოლუციას, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ჩვენ დავისახეთ, ომის გაჩაღება საჭირო არ არის, " – განაცხადა გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. ერთი დღით ადრე მან თავისი ქვეყნის აზრი უფრო ლაკონურად და არაორაზროვნად გამოთქვა: "რაც არ უნდა მოხდეს, საფრანგეთის პოზიცია უცვლელი იქნება: "არა".

გაგრძელება A5 გვერდზე

# სოჭის შეხვედრამ მოსკოვიც დააბნია

## სეპარატისტები კი პოზიციებს არ თმობენ

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ. მოსკოვში

სოჭში პრეზიდენტების შეხვედრას მოსკოვის ჟურნალისტურ წრეებში ოდნავი დაბნეულობა მოჰყვა. დეზორიენტაცია გამოიწვია ქვეყნის პირველი პირებისა და თვითაღიარებული რესპუბლიკების წარმომადგენელთა ჯიუტმა განცხადებებმა.

რუსეთის ცენტრალური, ანუ სახელისუფლებო გაზეთები და საინფორმაციო სააგენტოები, პუტინ-შევარდნაძის ოფიციალური განცხადებების პარალელურად, ამ დღეებში აქვეყნებენ თვითაღიარებული რესპუბლიკების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის - პირველი პირების კომენტარებსაც, რომ არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი საქართველოს ფედერაციაში შესვლას არ აპირებენ, რაც არ უნდა თქვან პრეზიდენტებმა.

სოჭში ორი პრეზიდენტის შეხვედრა ჯერ დამთავრებულიც არ იყო, როცა აფხაზეთის ე.წ. სუვერენიტეტზე პრინციპული განცხადებები გაისმა მოსკოვში არძინბას წარმომადგენლობიდან. რუსეთის დედაქალაქში აფხაზეთის წარმომადგენელმა იგორ აჰბამ "ინტერფაქსს" რამედნჯერმე განუმარტა, რომ აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა და მისი პოლიტიკური სტატუსი დიდი ხანია, ქვეყნის კონსტიტუციაში განსაზღვრული და ჩაწერილია. "ინტერფაქსმა" არძინბას წარმომადგენლის კომენტარების ტირაჟირების პარალელურად სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის იგივე პოზიციაც გააშუქა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მორიგი აბსურდი პარლამენტში

*რა შეიძლება უწოდო პალამენტართა გუშინდელ თავყრილობას, რომელიც ზუსტად 10 საათი გრძელდებოდა და რომელზეც დეპუტატებმა ვერც ერთი გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლეს? ამ დღეს, თავად პარლამენტარებმა, აბსურდის თეატრი უწოდეს.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში, საქმის გარდა, ყველაფერზე ისაუბრეს. იყო ურთიერთბრალდებებით გაჯერებული გამოსვლები, ერთმანეთის დამუნათება, უამრავი პოლიტიკური განცხადება, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში პარლამენტმა ვერ შეძლო იმის გაკეთება, რაც მას უშუალოდ ევალებოდა. დეპუტატებმა მიმდინარე სასესიო კვირის დღის წესრიგიც კი ვერ დაამტკიცეს, მაშინ, როცა ნორმალური ქვეყნის ასევე ნორმალური პარლამენტი ამ პროცედურას, მაქსიმუმ, ნახევარ საათს მოანდომებდა.

გუშინდელმა დღემ კიდევ ერთხელ ნათელყო ის მოსაზრება, რომლის თანახმად, ამ მოწვევის პალამენტისთვის მიზნის მისაღწევად ყველა მეთოდი მისაღებია – დროის გაწელვით დაწყებული, ერთმანეთის შეურაცხყოფით დამთავრებული.

მეორე მხრივ, გუშინ მოვლენების ამდაგვარი განვითარება აბსოლუტურად ლოგიკური იყო, რადგან ამ სკანდალის თავი და თავი პარლამენტის ის გადაწყვეტილება გახდა, რომელიც მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

გუშინ სახელისუფლებო ფრაქციებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომის დასკვნა, ამ გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის თაობაზე, პარლამენტის მსჯელობის საგანი გამხდარიყო.

ამ ბრძოლის ფლაგმანობა, როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ითავა. იგი პარლამენტის წინაშე წარდგა, **"როგორც ყველა სახელისუფლებო ფრაქციის კოორდინატორი"** და დეპუტატებს პირდაპირ მოუწოდა, ამ გადაწყვეტილების გაუქმებისათვის ხმა

გაგრძელება A2 გვერდზე

# რეხვიაშვილი „ტორპედო-მეტალურგის" ფეხბურთელია

B4



A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

ეკა კვესიტაძის სვეტი

# ეს სისტემა უნდა დაინგრეს!

**"მე სისტემის შიგნით და, სხვათა შორის, გარეთ არსებულ კორუფციაზე სერიოზულ ინფორმაციებს ვფლობ, ზუსტად ვიცი, ვინ რაში რამდენს იღებს,** " – ეს განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრმა "24 საათთან" ინტერვიუში გულწრფელად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ღიად და ნათლად გააკეთა.

აი, ასე - მინისტრი, რომელიც კორუფციით წალეკილ ქვეყანაში უზარმაზარ ძალაუფლებას ფლობს, თამამად და ამაყად აცხადებს, რომ ზუსტად იცის - ვინ, რაში რამდენს იღებს და ამ განცხადების გამო, ოდნავ უხერხულობასაც არ გძნობს.

ვერავინ ახსნის იმ ალოგიკურობას, რომელიც ნარჩემაშვილის ამ ნათქვამშია ჩადებული. მაშინ, რატომ არაფერს აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი, თუ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის და რატომ არ სხედან ის ადამიანები ციხეში, რომელთა კრიმინალური გარიგებების შესახებ სამინისტროს მაღალი ეშელონებისთვის ასე კარგად არის ცნობილი.

თუმცა, კობა ნარჩემაშვილი პირველი არ არის, ვინც მსგავს განცხადებებს აკეთებს. ასეთი რამ ხშირად უთქვამთ სხვადასხვა დონის ჩინოვნიკებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, და ყველა შემთხვევაში, როგორც ორი დღის წინ მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების უკან, იმალება უნებური აღიარება - მე ვიცი, მაგრამ ვერაფერს ვამბობ, რადგან სხვებმაც იმდენივე იციან ჩემს შესახებ, რამდენიც მე ვიცი მათ შესახებ. ჩვენ მაინც ერთი სისტემის შვილები ვართ.

თუ დღემდე გგონიათ, რომ სახელმწიფოში ცხოვრობთ, ძალიან ცდებით. ამ ქვეყანაში უკვე არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი არ ფუნქციონირებს. არ ფუნქციონირებს ხელისუფლების არც ერთი შტო. ერთადერთი, რაც სულდგმულობს - ეს სისტემაა, გახრწნილი, მაგრამ მაინც სიცოცხლისუნარიანი, იმ ახალ-ახალი ინექციისა და მსხვერპლის გამო, რომელსაც ის ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტს ითხოვს. პოლიცია, უშიშროება, პროკურატურა და მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც ამ სისტემის ყველაზე ორგანული ნაწილი, კანონისა და თითოეული ადამიანის შელახული უფლებების ხარჯზე, ავი და მშიერი ნაგაზივით იცავს მას. იცავს ყველასგან და ყველაფრისგან.

უკვე ცხადზე ცხადია, რომ აქ, ამ სისტემაში ნებისმიერი რეფორმის მცდელობა თავისმოტყუება და სიმულაციაა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი სასამართლოა, რომელიც, მიუხედავად რეფორმისა და კონსტიტუციით მინიჭებული დამოუკიდებლობისა, მაინც ამ სისტემის ღვიძლ შვილად მიიჩნევს თავს და მზადაა, მანაც მორჩილი ნაგაზივით, ბოლომდე დაიცვას იგი. დაიცვას ყველასგან და ყველაფრისგან, პირველ რიგში კი - დამოუკიდებელი მასმედიისგან.

და თუ თავის დროზე, მრავალჯერ განმეორებულმა სიტყვებმა - "კართაგენი უნდა დაინგრეს!" - მიზანს მიაღწია და კართაგენი მართლაც დაინგრა, ლოზუნგი – "ეს სისტემა უნდა დაინგრეს!" - აუცილებლად მოიტანს შედეგს, თუ მას ხშირად გაიმეორებენ ადამიანები, რომელთაც ამ სისტემისგან საკუთარი თავისა და კანონიერი უფლებების დაცვა სურთ.

კულუარები

# ნანული ქაჩიბაია "ნაციონალების" ფრაქციიდან გარიცხეს

სოფო ბუკია

ფრაქცია "ნაციონალურ მოძრაობაში" სკანდალია. სააკაშვილმა საკუთარი ფრაქციიდან საკრებულოს წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" თავმჯდომარე ნანული ქაჩიბაია გარიცხა. აღნიშნულ ინფორმაციას საკრებულოს თავმჯდომარის პრესმდივანი მარიკა ვერულაშვილი ადასტურებს. მისი თქმით, ქაჩიბაიას "ნაციონალური მოძრაობიდან" გარიცხვის მიზეზი მის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები გახდა. ამავე ფრაქციის წევრი კობა ბექაური აცხადებს, რომ ფრაქციის ხელმძღვანელობამ ქაჩიბაიას კატეგორიულად მოსთხოვა ფრაქციის რიგების დატოვება. მიზეზად ბექაური ქაჩიბაიას "არასაკადრის საქციელს" ასახელებს.

კონკრეტულად, რა დააშავა ქალბატონმა ქაჩიბაიამ, არ სახელდება.

კულუარული ინფორმაციით, ქაჩიბაიას "არასაკადრისი საქციელი" ვაკეში მშენებარე კორპუსებს უკავშირდება. სანდო წყაროს თქმით, ქალბატონი ნანული, ვაკელების გონივრულ განვითარებასთან ერთად, ვაკეში მრავალსართულიანი კორპუსების გამრავლებითაც ყოფილა დაინტერესებული და ამ საქმიდან სოლიდურ საზღაურსაც იღებდა. **"თუ რომელიმე კორპუსის აშენების უფლებას არ გასცემდნენ, იმუქრებოდა: ერთ ამბავს ავტეხო. თვითონ მას თითო კორპუსიდან ერთი ბინა ერგებოდა,"** – გვითხრა სანდო წყარომ.

თავად ნანული ქაჩიბაიას გუშინ გრიპი ჰქონდა, ამიტომ, ვრცელი კომენტარის გაკეთება ვერ შეძლო. "24 საათთან" საუბარში ქაჩიბაიამ აღნიშნა, რომ ფრაქციიდან ის არავის გაურიცხავს. თუმცა, "ვაკის გონივრული განვითარების" თავმჯდომარე ამბობს, რომ ფრაქციის დატოვებას ის მართლა აპირებს, ოღონდ - თავისი ნებით, რადგან მას განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები აღმოაჩნდა, რაც "ნაციონალურ მოძრაობაში" მის შემდგომ მოღვაწეობას შეუძლებელს ხდის. ვრცელ კომენტარს ნანული ქაჩიბაია გამოჯანმრთელებისთანავე გვპირდება.

ინფორმაცია

## ზურაბ ჟვანია: მთავრობა პარლამენტარებზე ძალადობას მიმართავს

პარლამენტის ექსსპიკერი, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია "აბსურდულს" და "ისტერიულს" უწოდებს მთავრობის რეაქციას პარლამენტის მიერ გასულ კვირას მიღებულ გადაწყვეტილებაზე მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ, რაც საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული 250 ათასამდე ადამიანისთვის 1 ივნისიდან ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

ჟვანია მთავრობას მოუწოდებს, დემაგოგია შეწყვიტოს და დაიწყოს მუშაობა, რათა გადაწყვეტილება 1 ივნისიდან ძალაში შევიდეს.

ზურაბ ჟვანია იმედს გამოთქვამს, რომ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არ გამოიყენებს ვეტოს უფლებას, "არ შევა საკანონმდებლო ორგანოსთან კონფრონტაციაში".

თუკი პრეზიდენტი პარლამენტის გადაწყვეტილებას მაინც დაადებს ვეტოს, "გაერთიანებული დემოკრატები" ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან იმუშავებენ ვეტოს დაძლევისთვის, - აცხადებს "დემოკრატების" ლიდერი.

ჟვანიას თქმით, მთავრობა ცდილობს, დეპუტატებს გადაწყვეტილებაზე ხმის მიცემის ფაქტი "გადაათქმევინოს", რაც კანონმდებლებზე აშკარა ძალადობას ნიშნავს. ***პრაიმ-ნიუსი***

## "აღორძინება" შევარდნაძისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინება" აჭარის ლიდერის, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ასლან აბაშიძის მკაცრი კრიტიკისთვის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

"აღორძინების" წევრის სანდრო ბრეგაძის თქმით, გასულ კვირას სოჭის შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან იმ შეთანხმებებს მოაწერა ხელი, რასაც ასლან აბაშიძის წინადადებები გულისხმობდა, თუმცა მანამდე აღმასრულებელი ხელისუფლება აბაშიძის ამ პოზიციას მოღალატეობრივად აფასებდა.

"აღორძინება" მოითხოვს, მიმდინარე სასესიო კვირაში საგარეო საქმეთა მინისტრის პარლამენტში მისვლას და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტების გაკეთებას. **პრაიმ-ნიუსი**

## "ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლი დაკარგა"

**"**აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის ცოტნე ბაკურიას აზრით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლი დაკარგა. "იგი არაორდინალური აზროვნების ფიგურაა და თავისი ფანტაზიებით საკუთარ თავსაც აბნევს და თავის გარემოცვასაც" - ასე შეაფასა ცოტნე ბაკურიამ გუშინ პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ასლან აბაშიძე მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებაზე საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავდა, რომ ის პრეზიდენტთან შეუთანხმებლად მოქმედებდა.

"ჩვენ პრეზიდენტს და მის განცხადებებს სერიოზულად აღარ აღვიქვამთ. შევარდნაძე თავისი ასაკიდან და იმ აზროვნების მცირე მარაგიდან გამომდინარე, რაც შერჩა, ყველაფერს აკეთებს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ვფიქრობ, არასერიოზულიც კი არის ედუარდ შევარდნაძის განცხადებებზე ნებისმიერმა პოლიტიკურმა ფიგურამ კომენტარები აკეთოს" - აღნიშნა ბაკურიამ. **"ინტერ-პრესი"**

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უარყოფს ქართულ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ავთანდილ იოსელიანის დანიშნვის შესახებ. "დაანებეთ თავი ამ კაცს. იგი მუშაობს მშვიდად, წყნარად. გვეხმარება, რაც შეუძლია", - განაცხადა შევარდნაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარ ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, მთავრობა უნდა გადადგეს იმ შემთხვევაში, თუ არ შეასრულებს პარლამენტის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი ორგანიზაცია "გადამხდელთა კავშირის" თავმჯდომარე, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ამბროლაურის რაიონიდან ნიკო ლეკიშვილი არ გამორიცხავს, რომ 2003 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარული წესით მონაწილეობასთან ერთად, პოლიტიკური ორგანიზაცია "ახალი მემარჯვენეების" საარჩევნო სიითაც იყაროს კენჭი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად გამოსვლას გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე ბათუმში მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"დემოკრატიული აღორძინების კავშირში" "ქარაფშუტულს" უწოდებენ ბლოკ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერის, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის დავით ბერძენიშვილის განზრახვას შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე ბათუმში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კენჭისყრის შესახებ. "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ცოტნე ბაკურიას თქმით, ბერძენიშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა ბათუმში "ნულის ტოლია". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „მოქალაქეთა კავშირი" არ ამზეურებს საარჩევნო სიის პირველთანრიგოსანთა ვინაობას და ამას სხვა ძალებთან წინასაარჩევნო თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით ხსნის. **მედია-ნიუსი**

# მორიგი აბსურდი პარლამენტში

პირველი გვერდიდან

მიეცათ, რადგან **"გაერთიანებული დემოკრატების ეს ავანტურა მიგვიყვანს კატასტროფამდე, დაანგრევს ეკონომიკას და საქართველოს დეფოლტის წინაშე დააყენებს."** სწორედ ამიტომ, სახელისუფლებო ფრაქციები დღის წესრიგში პირველ საკითხად როსტომ დოლიძის ყბადაღებული დასკვნის მოსმენის შეტანას ითხოვდნენ.

არანაკლებ მობილიზებულნი აღმოჩნდნენ ოპოზიციონერებიც, რომელთაც ზურგს კვლავ აქტიურად უმაგრებდნენ ფრაქცია "აღორძინების" წევრები. დღის ბოლოს გააქტიურდა ზურაბ ჟვანიაც, რომელმაც პირდაპირ მოუწოდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ ფრაქციებს, **"ხელის გადაგრეხვის პოლიტიკის ნაცვლად"**, დებატები დიალოგში გადაზრდილიყო. **"თქვენ გსურთ, ძალის გამოყენებით გააუქმოთ ეს კანონი, როცა ჩვენ მზად ვართ, რომ შევთანხმდეთ, დიალოგი პარტნიორულ რეჟიმში გადავიტანოთ... საკითხის არსებითად განხილვის ნაცვლად კი, ხელისუფლებამ კაზუისტიკის გზა აირჩია,"** - აცხადებდა გუშინ ზურაბ ჟვანია, თუმცა, სახელისუფლებო ფრაქციების განწყობა ცალსახა იყო – პარლამენტის გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო. ვახტანგ რჩეულიშვილმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება და სახელისუფლებო ფრაქციები არანაირ დიალოგზე წასვლას არ აპირებდნენ.



გუშინ დეპუტატებს ხშირად თავადაც არ ესმოდათ, რას იქმოდა პარლამენტი.

საღამოს ხუთი საათისთვის პარლამენტმა კიდევ ერთხელ სცადა მიმდინარე კვირის დღის წესრიგის დამტკიცება, რასაც კვლავ სკანდალი მოჰყვა. 64 ხმით 54-ის წინააღმდეგ საკამათო საკითხი დღის წესრიგში შევიდა. ამის შემდგომ კი პარლამენტის თავმჯდომარემ პარლამენტარებს სხდომის გაგრძელება შესთავაზა.

ხანგრძლივი დებატების შემდგომ, ეს საკითხიც კენჭისყრაზე დადგა და 91-მა პარლამენტარმა სხდომის გაგრძელებას მისცა ხმა. თუმცა, "დემოკრატებმა", "ნაციონალებმა" და "აღორძინებამ" კენჭისყრის შედეგები გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ **"დეპუტატთა ნაწილმა სხვისი პულტებით მისცა ხმა".** მოგვიანებით გაირკვა, რომ დარბაზში, 179 პარლამენტარის ნაცვლად, 170 პარლამენტარი იმყოფებოდა, ხოლო სხდომის გაგრძელებას, 91-ის ნაცვლად, 89 დეპუტატმა მისცა ხმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის მანდატურის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტსა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს დაავალა. დასკვნა როსტომ დოლიძემ გაახმოვანა, რომელმაც განაცხადა, რომ, რეგლამენტის თანახმად, სხდომა გაგრძელებული არ იყო.

ამ განცხადების მიუხედავად, თემატური უმრავლესობა მაინც დაჟინებით ითხოვდა სხდომის გაგრძელებას. ბრალდებები უკვე პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით ისმოდა. ირაკლი გოგავამ ნინო ბურჯანაძე "დემოკრატების" დაკვეთის შესრულებაში დაადანაშაულა. **"თქვენ დემოკრატების დავალება პირნათლად შეასრულეთ,"** - მიმართა გოგავამ ბურჯანაძეს. **"დავალება თქვენსკენ მოიკითხეთ..."** - იყო პასუხი. მოგვიანებით დებატებში გელა კვარაცხელია და გიგი წერეთელიც ჩაებნენ. მოკლედ, ორივე მხარე ერთმანეთს პოლიტიკურ მჭერმეტყველებაში ეჯიბრებოდა.

ასეთი ხანგრძლივი და "უმნიშვნელოვანესი" დებატებით გადაღლილმა დეპუტატებმა დღის ბოლოს დასვენება გადაწყვიტეს და კამათის გაგრძელება დღეისთვის გადადეს.

# „სმაკ"-ის ლიდერის ჩაშლილი პრესკონფერენცია

მერაბ მეტრეველი

"საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის" ხელმძღვანელს გუშინ პრესკონფერენციის გამართვა სურდა, მაგრამ მის ამ უწყინარ სურვილს ასრულება არ ეწერა. ლადო ბოჟაძე ჟურნალისტებმა "გადააგდეს". ყველაზე საინტერესო, ალბათ, ის არის, რომ "სმაკ"-ი პირველი არხისთვისაც უინტერესო არმოჩნდა. იგი მხოლოდ "24 საათმა" და "საქინფორმმა" დააფასეს. "სმაკ"-ის ლიდერის საპრესკონფერენციო დარბაზში გამოჩენას ორი კინკილა ჟურნალისტი ორმოცი წუთი ველოდით. ის კი, თურმე, ჩვენს კოლეგებს უცდიდა. ბოლოს ერთმა ჯეელმა უხერხულად გამოგვიცხადა: პრესკონფერენცია არ იქნება, ორშაბათისთვის გადავდეთო. "თუ რაიმე საინტერესოს თქმას აპირებს, შეუძლია ახლა თქვას," – ასეთი იყო ჩვენი რჩევა, რომელიც ბატონმა ბოჟაძემ ყურად იღო და საპრესკონფერენციო თემა შეკვეცილ ვარიანტში შემოგვთავაზა. კერძოდ, გვიამბო, როგორ შექმნა თითქმის თავიდან "სმაკ"-ი, როგორ აარსებს რეგიონებში ორგანიზაციებს, რომ მარტის ბოლოს ყრილობის ჩატარებას აპირებს, ხოლო შაბათს, სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში გაემგზავრება და იქაურ საფეხბურთო გუნდს ფორმებს ჩაუტანს. ერთი, მისი აზრით, სკანდალური განცხადებაც გააკეთა: "გაერთიანებული დემოკრატები" რეგიონებში ჩვენი წევრების გადაბირებას ახდენენო. სულ ეს იყო - საინტერესოც და უინტერესოც.

# შევარდნაძის წარმომადგენლები და საქართველოს ორაზროვანი იმიჯი

პირველი გვერდიდან

ასეთია ედუარდ შევარდნაძის "ორაზროვანი პოლიტიკა", რომლითაც საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ხელით შექმნა აბსურდული სიტუაცია, როცა ქართული მხარის ინტერესების დაცვა კონფლიქტებში-რუსული ინტერესების გამტარებელ პოლიტიკოსებს დაავალა.

გამოხატულ პროდასავლელ პოლიტიკოსს (ჯერ-ჯერობით ასეთ იმიჯს ინარჩუნებს ედუარდ შევარდნაძე), ალბათ, უნდა ჰქონოდა საკმაოდ წონადი არგუმენტები იმისათვის, რომ მსგავსი საკადრო გადაწყვეტილებები მიეღო. თავად პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებებს **"ამ ადამიანების ფართო კავშირებითა და დიდი გამოცდილებით"** ხსნის, თუმცა, ცხადია, რომ ეს განმარტება აბსოლუტურად ვერ პასუხობს გაჩენილ კითხვებს.

ასლან აბაშიძის გარემოცვა, აბაშიძის დანიშვნას სპეციალურ წარმომადგენლად, ამ გადაწყვეტილების მიღების დროს არსებულ რეალობას უკავშირებს.

**"გაიხსენეთ, მაშინ პარლამენტის წინ მიტინგი მიტინგზე იმართებოდა. ედუარდ შევარდნაძე სკამის დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა და ბათუმში პოლიტიკური მხარდაჭერისთვის ჩავიდა..."** – იხსენებს ჰამლეტ ჭიპაშვილი და დასძენს: **"შევარდნაძემ ვერ გათვალა, რომ ასლან აბაშიძე ამ საკითხში ასეთ წარმატებებს მიაღწევდა."**

რა თქმა უნდა, აბაშიძის "ამ საკითხში წარმატებებზე" საუბარი, მეტი რომ არ ვთქვათ, გადაჭარბებულია; თუმცა, ფაქტია, რომ შევარდნაძემ წარმომადგენლის სტატუსი თავის დროზე ასლან აბაშიძესაც და ვახტანგ რჩეულიშვილსაც ერთგვარი წამახალისებელი "ჯილდოს" სახით უბოძა.

**"იმ მომენტში, როცა ამ პიროვნებებს ნიშნავდა, პრეზიდენტს სჭირდებოდა მათი დაჯილდოება. შესაძლოა, დიდად სახარბიელო ჯილდო არ არის, მაგრამ გარკვეული სტატუსია, გარკვეული აღიარებაა; თუმცა, მეორე მხრივ, შევარდნაძე ითვალისწინებდა, რომ ისინი მაინც ვერაფერს მიაღწევდნენ, რეალურად ეს გადაწყვეტილება მათ არ აძლიერებდა... ეს გადაწყვეტილება იმ ჩახლართული თამაშების ნაწილი გახლდათ, რომელიც შევარდნაძეს ძალიან უყვარს,"** – აცხადებს პოლიტოლოგი გია ნოდია და აქვე ამ გადაწყვეტილების მეორე მიზეზსაც ასახელებს: **"ეს გადაწყვეტილებები იყო გარკვეული ჟესტიც რუსეთის მიმართ. შევარდნაძე ხანდახან მიიჩნევს, რომ სჭირდება ასეთი ჟესტების გაკეთება რუსეთის მიმართ."**

გია ნოდიას მიაჩნია, რომ **"ეს გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით ასლან აბაშიძის შემთხვევაში, ცალსახად წამგებიანია ქვეყნის იმიჯისთვის, რადგან შევარდნაძე აშკარად ვერ აკონტროლებს ასლან აბაშიძეს. ხშირად იგი საქართველოს ხელისუფლების პოზიციის საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს და საქართველოს ექმნება უცნაური, ორაზროვანი იმიჯი იმგვარი ქვეყნისა, სადაც პრეზიდენტი ვერ აკონტროლებს საკუთარ წარმომადგენელს."**

თუმცა, მიზანი – ხელისუფლების შენარჩუნება, როგორც ჩანს, პრეზიდენტისთვის ამ "მსხვერპლს" ამართლებს.

მეტიც – დღეს ხელისუფლების შესანარჩუნებლად მხოლოდ აბაშიძისთვის თუ რჩეულიშვილისთვის გარკვეული სტატუსების მინიჭება აღარ არის საკმარისი. შევარდნაძეს ბოლო დღეებში რუსეთისთვის, "საკადრო რევერანსების" გარდა, უფრო სერიოზული ჟესტის გაკეთებაც მოუხდა. ფაქტია, რომ სოჭის შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა მის მიერვე დისკრედიტებული აბაშიძის პოზიციის მსგავსი პოზიცია დაიკავა. ამიტომაა, რომ რუსეთის და შევარდნაძის გარდა, ამ შეხვედრის შედეგებით აღფრთოვანებას ვერც "აღორძინება" მალავს:

**"შევარდნაძე რომ ამბობს, არ ვიცნობო აბაშიძის პოზიციას, ეს არის ტყუილი. აბაშიძე მოსკოვში ყოველი გამგზავრების წინ და შემდეგ ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს. რაც შეეხება გეგმას, რომელიც სოჭში ედუარდ შევარდნაძემ გააჟღერა – ეს არის ასლან აბაშიძის წინადადებები, რომლებიც ბატონმა ასლანმა თავის დროზე სტრასბურგში გააცნო ევროსაბჭოს წევრებს, შემდეგ ეს წინადადებები გააცნო პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომის წევრებს ზაფხულში, შემდეგ წერილობითი სახით გაუგზავნა პრეზიდენტს. ეს წინადადებები მოგვიანებით დაურიგდათ პარლამენტის წევრებსაც,"** – განუცხადა "24 საათს" ჰამლეტ ჭიპაშვილმა და, რა თქმა უნდა, სოჭის შეხვედრის შედეგები (საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად) დადებითად შეაფასა.

# სოჭის შეხვედრამ მოსკოვიც დააბნია

პირველი გვერდიდან

ასეთი რეზონანსის შემდეგ, ბუნებრივია, რუს ჟურნალისტებს და ფართო საზოგადოებას შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრის შედეგების რევიზია უკვე დაწყებულია. საგულისხმოა მეორე ფაქტიც, რომ დღეს რუსეთის მედია პუტინის ადმინისტრაციის ფხიზელი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამდენად, რუსულ პრესაში შემთხვევით არაფერი იბეჭდება. საყურადღებოა, რომ რუსეთის მასმედიაში სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელთა კომენტარების ტირაჟირება სააგენტო "ინტერფაქსის" შემოქმედებითი ინიციატივაა, რომლის ერთი-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე მოსკოვში არძინბას წარმომადგენლის პრესმდივნის ტატიანა გულიას ძმა მუშაობს.

11 მარტს კი მოსკოვში აფხაზეთის პრემიერი გენადი გაგულია ჩაფრინდა და რუსეთის ხელისუფლების წამრომადგენლებს ხვდებოდა. როგორც ტატიანა გულიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გაგულიას მოსკოვში ვიზიტის მიზანია რესპუბლიკის წინაშე მდგომი ეკონომიკური პრობლემების დარეგულირება. იგივე მიზნით მოსკოვს სულ მალე დელეგაცია ცხინვალიდანაც ეწვევა. რუსი ჟურნალისტები ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტსაც, რომ სოჭში მიღწეულ შეთანხმებას თავისებურ კომენტარს უკეთებს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის წარმომადგენლის სიტყვებით, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი ჯერ არ განიხილება, წინა პლანზე რეგიონის ეკონომიკური პრობლემებია წამოწეული.

სოჭის შეხვედრის შემდეგ რუს ჟურნალისტებს საქართველოს კურსისა და პოზიციის გამო ბევრი შეკითხვა დაუგროვდათ. ერთია, ოფიციალური არხებით მიღებული საქართველოს პრეზიდენტის კომენტარები და მეორეა, მოსკოვის საინფორმაციო არხებით გავრცელებული თუნდაც ზემოთ მოყვანილი ინფორმაციები.

საელჩოში საუბრებმა აშკარად წარმოაჩინა, რომ რუსი ჟურნალისტები დეზორიენტირებულნი არიან. "მოსკოვსკი კომსომოლეცის" კორესპონდენტის მარინა პერევოზკინას სიტყვებით, არის დიდი წინააღმდეგობა ოფიციალურ ინფორმაციასა და აფხაზეთის ხელისუფლების პოზიციას შორის: **"მე დღეს ტელეფონით ვესაუბრე სერგეი შამბას და მისგანაც ვერაფერი გავიგე. ამან მაფიქრებინა, რომ არსებობს სოჭის შეხვედრაზე განხილული რაღაც საიდუმლო და დახურული თემები."**

საქართველოს საელჩოში გამართულ ბრიფინგზე მოსკოველ ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ განემარტათ საქართველოს ოფიციალური პოზიცია. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რეალურია თუ არა დღეს საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა, რომლის თანახმადაც შესაძლებელი გახდება აფხაზეთის, როგორც საქართველოს ფედერაციის წევრის ინტეგრაცია და რაში მდგომარეობს "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი"?

ზურაბ აბაშიძე: **"აფხაზური მხარე უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე დოკუმენტის განხილვის წინააღმდეგია, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის. რაც შეეხება სოჭის შეხვედრაზე სოხუმის რეაქციას - ჩვენ ამას ველოდით, მაგრამ მთავარია ის, რომ პუტინი და შევარდნაძე კონფლიქტის დარეგულირების საკუთარ ხედვას გვთავაზობენ."**

შეკითხვაზე, ხომ არ ნიშნავს მოსკოვში აფხაზეთის რეჟიმის წარმომადგენლების ყოფნა იმას, რომ სოჭის ინიციატივები ეჭვის ქვეშაა, ჩვენმა ელჩმა განაცხადა, რომ **"ადრე თუ გვიან სოხუმს მაინც მოუწევს დათმობებზე წასვლა."**

რუსი ჟურნალისტები კი დარწმუნებულნი არიან, რომ სოჭის ინიციატივები მაინც ეჭვის ქვეშ დგას. ამ ეჭვს მათ უმყარებს ქართველი პარლამენტარების რეაქცია პრეზიდენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებებზე. ამ საკითხის კომენტირებისას ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა: **"ქართული პარლამენტი ქართულ მრავალხმიან სიმღერას ჰგავს, იგი ჭრელია. იქნება დებატები, დისკუსიები... სამაგიეროდ, საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ელიტამ, სოჭის შეხვედრით, თავშეკავებული ოპტიმიზმი გამოხატა."**

ჟურნალისტებმა მოსკოვში საქართველოს ელჩისაგან გაიგეს ისიც, რომ ქართული მხარე მზადაა, საკუთარ თავზე აიღოს თბილისამდე სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოების დაცვა. ამ ფრაზამ ჩვენი კოლეგების საერთო აღფრთოვანება გამოიწვია, რადგანაც სულ ცოტა ხნის წინ, იგივე დარბაზში ქართველი მინისტრი ადეიშვილი, ცნობილი მიზეზების გამო, მრისხანედ აკრიტიკებდა რუსეთის მიმოსვლის გზათა სამინისტროს და თავის რუს კოლეგას.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.





ვაჟა თორდია

„თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

## "თბილავიამშენი" — ფასდაუდებელი მემკვიდრეობა და 60-წლიანი გამოცდილება

თბილისის საავიაციო ქარხნის ისტორია 1941 წლიდან იწყება. სწორედ, აქ ხდებოდა საბჭოთა სივრცეში პირველი რეაქტიულძრავიანი გამანადგურებელი თვითმფრინავების,მათი მოდიფიკაციებისა და ფრთოსანი რაკეტების სერიული წარმოება.

ქარხანა პროდუქციით აკომპლექტებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებს და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის შენაერთებს,მისი თვითმფრინავები მიეწოდებოდა ეგვიპტეს, სირიას, ალჟირს, ვიეტნამს, ინდოეთს, ფინეთს, გერმანიას, ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, ერაყს, ანგოლასა და ჩრდილოეთ კორეას.







## "თბილავიამშენი" დღეს —

ეროვნულ-სამეცნიერო პოტენციალისა და წარმატებული ქართული მენეჯმენტის სინთეზი, 2000 პროფესიონალი, მაღალი სახელფასო და საპენსიო უზრუნველყოფით, თანამედროვე ტექნოლოგიები, ქართველი სპეციალისტების სტაჟირება მსოფლიოში ცნობილ საავიაციო ფირმებში, ახალებურად აზროვნება, ახალი წარმოება უმსხვილესი საბიუჯეტო შენატანებით: „თბილავიამშენმა" შეძლო ჩვენი ქვეყნის 25 მილიონიანი ვალის დაფარვა და ბიუჯეტში 36 მილიონი ლარის მობილიზება.

## "თბილავიამშენი" — ახალი ეპოქა ქართული ავიაციის ისტორიაში CY-25KM "სკორპიონი"

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი,უნიკალური სამანევრო-საპილოტო შესაძლებლობების მქონე თვითმფრინავი რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, დღისით და ღამით, ნებისმიერ საბრძოლო ოპერაციას ასრულებს — ისრაელის ფირმა ELBIT-თან (ელბიტ) თანამშრომლობით, უმოკლეს ვადაში, ლეგენდარული მოიერიშე CY-25-ის წარმატებული მოდერნიზაცია განხორციელდა.

**CY-25KM "სკორპიონი" — ქართული ავიაციის მოულოდნელი და სოლიდური განაცხადი საფრანგეთში, ლე-ბურჟეს 44-ე საერთაშორისო აეროკოსმოსურ გამოფენაზე** - ღირსეული ადგილი აშშ-ს, საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის ცნობილი ავიასაშენებლო კომპანიების მიერ შექმნილი საბრძოლო ავიატექნიკის გვერდით.



CY-25KM „სკორპიონი"

## "თბილავიამშენის" პროდუქციისთვის მსოფლიო ბაზარი ხსნილია —

ქართული საწარმო ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის — ISO-9001-ის მფლობელია. მსოფლიოში ცნობილ ნებისმიერ საავიაციო ფირმასთან პარიტეტულ საწყისებზე თანამშრომლობს და აქტიურად მუშაობს პარტნიორების მოზიდვასა და პროდუქციის გასაღების ბაზრის გაფართოებაზე.

## "თბილავიამშენი" — ახალი კონტრაქტები, მნიშვნელოვანი პარტნიორები, მსოფლიო სტანდარტების მქონე პროდუქცია

- კანადურ ფირმა **KELOWNA FLIGHTCRAFT R&D LTD**-სთან (ქილოუნა ფლაითქრაფთ ერ ენდ დი ელტედე) დამყარებულია კონტაქტი **CONVAIR**-5800 (ქონვეარ - 5800) თვითმფრინავების რემონტსა და მოდერნიზაციაზე.

- ამერიკულ ფირმა **MAVERICK**-თან (მევერიკ) მზადდება 6-ადგილიანი, მთლიანად კომპოზიციური მასალისგან დამზადებული თვითმფრინავები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა ბაზრის სრული სიცარიელის გამო.

- წარმატებულია თანამშრომლობა კომპიუტერულ ფირმა **IBM**-თან (აიბიემ).

- მიმდინარეობს მუშაობა სახელგანთქმულ **BOEING**-თან (ბოინგ) კოოპერაციაში ჩართვასთან დაკავშირებით.

TAM

# თბილავიამშენი

## ჩვენთვის გახსნილი ცა



მსოფლიოში ანალოგის არმქონე პირველი ქართული, უნიკალური კომპოზიტური ანტენა-რეფლექტორი ორბიტაზე გაიშვა, იგი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან თანამშრომლობით "თბილავიამშენში" აიგო



CY-25KM „სკორპიონის"
კაბინის მოდერნიზებული ვარიანტი



"თბილავიამშენში"
დამზადებული ულტრამსუბუქი თვითმფრინავი



„თბილავიამშენი" – განათებული დასახლებები

მაღალკვალიფიციური პროფესიონალთა ჯგუფი წარმატებით მუშაობს მცირე ჰესების წარმოებაზე. აქ დამზადებული მცირე ჰესით უკვე განათდა საქართველოს საზღვრის ერთი მონაკვეთი. რეალურია, საქართველოს ყველა სასაზღვრო ტერიტორიის განათების პერსპექტივაც. აქვე მზადდება გაზის გამათბობლები, ელექტრო და ჰიდრო გენერატორები, ელექტროენერგიის სიხშირის რეგულატორები და ტურბინები,ინდივიდუალური გათბობის სისტემები,სასოფლო-სამეურნეო კომბაინები







## მონიტორინგი

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**

მლნ. ლარებში

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 10 მარტი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 252.46 | 128.89 | 51% | 7.36 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 186.38 | 90.03 | 48% | 6.87 |
| საგადასახადო შემოსავლები | 151.98 | 80.88 | 53% | 2.12 |
| სოციალური ფონდი | 53.84 | 33.23 | 62% | 0.46 |
| საგზაო ფონდი | 12.23 | 5.64 | 46% | 0.03 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | | 41.73 | | |

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge

www.dvnk.ge

## საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

**კომპანია ბი-პი-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და ბი-პი-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA აცხადებს კონკურსს კვალიფიციური საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. საინფორმაციო ტექნოლოგიის ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში ბი-პი-ს მილსადენის სამშენებლო პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს ბი-პი-ს ხელმძღვანელობის ქვეშ**

სამუშაოს აღწერა:

IT ინჟინერი ანგარიშვალდებულია პროექტის IT მენეჯერის წინაშე და პასუხს აგებს პროექტის საინფორმაციო ტექნოლოგიის გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზე, სტანდარტული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირებასა და ინსტალაციაზე, ავტომატიზაციის საბაზისო ტექნიკურ უზრუნველყოფასა და ტრეინინგზე, პროექტის მიმდინარეობისა და დახურვისას დახმარების აღმოჩენაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

IT ინჟინრის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- ყველა სატელეკომუნიკაციო და მასთან დაკავშირებული ელექტრონული აპარატურის და სისტემების ფუნქციონირება და ექსპლუატაცია.
- IT საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება დადგენილ ადგილებში.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალაცია და კონფიგურირება ყველა საჭირო სამუშაო ტერმინალზე.
- სერვერების ოთახებში, საწყობებსა და ოფისში სისუფთავის და წესრიგის დაცვა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს დახმარების აღმოჩენა.
- სეტელეფონო ქსელთან და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან, მაგალითად ოფისის ტელეფონებთან დაკავშირებით ჩანაწერების წარმოება.
- სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან დაკავშირებული საიზოლაციო სამუშაოების შესრულება და სამუშაო ნებართვების სისტემის ღრმა ცოდნა.
- მოწყობილობისა და ინვენტარის შეფასება, მოდიფიკაციების ინიცირება ან მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მოდიფიკაციების პროცედურის პლატფორმის გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესებას.
- სამუშაო სადგურების საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- გამოყენებითი კლიენტის პროგრამის დამტკიცებული ბოლო ვერსიის ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურირება და ექსპლუატაცია.
- პროექტის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემით სარგებლობისას და ფორმალური და არაფორმალური ტრეინინგის ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ, სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- ავტომატიზაციის გრაფიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და აპარატურის ტექნიკური პირობების შემუშავების ხელშეწყობა.
- მითითებისამებრ, პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ, სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის დარგში, ან სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის უზრუნველყოფაში.
- სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება ტელეკომუნიკაციის ან საინფორმაციო უზრუნველყოფის დარგში.
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.
- ატესტირებული სპეციალისტი მაიკროსოფტის პროგრამაში (დიპლომირებული სპეციალისტი (MCP), მომავალში დიპლომირებული ინჟინრის კვალიფიკაციით (MCSE).
- თვითმოტივაცია, დინამიკური სამშენებლო პროექტის ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი.
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის შესანიშნავი უნარი.
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დამატებითი სამუშაოს შესრულება.
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი.
- თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი: სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- ზეგავლენა: პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- სამუშაოს კომპლექსურობა: სხვადასხვა დიაპაზონისა და კონტექსტის მქონე მოვალეობების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კავშირის გარეშე.
- აუცილებელი უნარ-ჩვევები: შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობების უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა: IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდების, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

- თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 13 მარტი, ხუთშაბათი.
- კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

*კადრების განყოფილება*

**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "ბი-პი საქართველო"**

# „თვითონ ჭამენ ამ ფულს და ბიუჯეტში რაღას შეიტანენ?"

*საქართველოში 200 ათასი რეგისტრირებული გადამხდელია, ამათგან აქტიური 15 ათასია, ხოლო ბიუჯეტში გადასახადები რეალურად მხოლოდ 500-ს შეაქვს. პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ 20 ყველაზე კარგი და 20 ყველაზე ურჩი გადამხდელის სია გამოაქვეყნა. სალარიძის ინფორმაციით, 2002 წელს ბიუჯეტში გადასახადებიდან ერთი მილიარდი ლარი შევიდა, ზუსტად ამდენივეს აღწევს გადამხდელ ორგანიზაციათა დავალიანება ბიუჯეტისადმი.*

სოფო კვინტრაძე



*დავით სალარიძე ყველაზე ურჩ გადამხდელებად ენერგოკომპანიებს ასახელებს*

კარგ გადამხდელ ორგანიზაციათა შორის, 2002 წელს ბიუჯეტში შეტანილი თანხების მიხედვით, შემდეგი კომპანიები ლიდერობენ: "მაგთიკომი" (31 მილიონ 800 ათასი ლარი), "საქართველოს რკინიგზა" (29 მილიონი), "ეი-ი-ეს თელასი" (28 მილიონ 300 ათასი), "ჯეოსელი" (16 მილიონ 700 ათასი), "თბილავიამშენი" (15 მილიონ 600 ათასი). გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის დავით სალარიძის განცხადებით, სატელეკომუნიკაციო სფეროების ლიდერობა იმით აიხსნება, რომ აქ ამოღების მექანიზმები ეფექტურად მუშაობს. სალარიძის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიებზეც; თუმცა, კარგ გადამხდელთა სიაში მხოლოდ "ეი-ი-ეს თელასი" მოხვდა. **"ამოღება სხვა სადისტრიბუციო კომპანიებშიც დიდია, მაგრამ თვითონ ჭამენ ამ ფულს და ბიუჯეტში რაღას შეიტანენ?"** – კითხულობს სალარიძე.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შესული თანხის 50 პროცენტზე მეტი დამატებითი ღირებულების გადასახადზე მოდის. დავით სალარიძე სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მოგების გადასახადიდან ამოღებული თანხები მიზერულია. კომიტეტის თავმჯდომარე დარწმუნებულია - საქართველოში მოგება არსებობს, მაგრამ ყველა ორგანიზაცია ცდილობს, მაქსიმალურად დამალოს იგი. ამას გარდა, დავით სალარიძე უკმაყოფილებას გამოთქვამს ცალკეული სფეროებიდან ბიუჯეტში შეტანილი თანხების სიმცირის გამო. ასეთ სფეროებად მან ავიაცია, სანაოსნო, საავტომობილო ტრანსპორტი და საბანკო სექტორი დაასახელა. სალარიძეს მიაჩნია, რომ ყველა ამ სფეროში უზარმაზარი რეზერვი არსებობს. მისი მონაცემებით, 2002 წელს თბილისის აეროპორტიდან 270 ათასი მგზავრი გაფრინდა სხვადასხვა მიმართულებით, რაც ნიშნავს, რომ მთლიანობაში მათ ავიაკომპანიებს 80 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ბიუჯეტში კი ამ სფეროდან მხოლოდ ორი მილიონი ლარია შესული. მწვავე შეფასებას აძლევს სალარიძე ბანკების საქმიანობასაც, **"სოლიდური გადამხდელები მხოლოდ "საქართველოს ბანკი" და "თი-ბი-სი" არიან, დანარჩენებს კი მიზერული შენატანები აქვთ,"** – აცხადებს დავით სალარიძე. მისი თქმით, ბანკები საბაჟო დეპარტამენტთან მაქინაციებში არიან ჩართულნი და მას მოკლევადიან კრედიტებს აძლევენ, რათა ამ უკანასკნელმა გეგმა შეასრულოს. სალარიძის ინფორმაციით ასევე ძალზედ მცირეა შემოსავლები საფინანსო ბიზნესიდან, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების დივიდენდებიდან, მიწის გადასახადიდან, პრივატიზაციიდან და სხვა.

ყველაზე დიდი დავალიანების მქონე ორგანიზაციების სია კი რუსთავის მეტალურგიული კომბინატით იწყება. მას ბიუჯეტისადმი თითქმის 80 მილიონი ლარის დავალიანება აქვს; სწორედ ამიტომ სალარიძეს ძალზედ საეჭვოდ მიაჩნია ამ ქარხნის განვითარების პერსპექტივები. ურჩი გადამხდელების სია ასე გრძელდება: "საქენერგო 2000" – 77 მილიონ 500 ათასი ლარი, "ენერგოგენერაცია" – 57 მილიონი ლარი, იმერეთის ენერგოკომპანია – 25 მილიონ 100 ათასი ლარი, "ჭიათურმანგანუმი" – 23 მილიონი ლარი, "თბილგაზი" – 19 მილიონ 600 ათასი ლარი, "თურქიშ ეარლაინზი" – 17 მილიონ 600 ათასი ლარი და ა.შ. როგორც დავით სალარიძე აცხადებს, გადამხდელ ორგანიზაციათა დავალიანება ბიუჯეტისადმი, რომელიც წლების მანძილზე დაგროვდა, უკვე ერთ მილიარდ ლარს აღწევს.

გუშინდელ ბრიფინგზე დავით სალარიძე 2003 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხებსაც შეეხო. მან წარმოადგინა სახელმწიფო ხაზინის მონაცემები: იანვარ-თებერვალში პირველი კვარტლის გეგმის მხოლოდ 51 პროცენტია შესრულებული. 2003 წლის პირველ კვარტალში 252 მილიონი ლარი უნდა შესულიყო ბიუჯეტში, ჯერჯერობით კი მხოლოდ 128 მილიონი ლარია მობილიზებული. ჩამორჩენაა როგორც საგადასახადო, ასევე საბაჟო და არასაგადასახადო შემოსავლებში, პრივატიზაციიდან მისაღებ თანხებსა თუ გრანტებში. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, დავით სალარიძე აცხადებს, რომ საფრთხე შეექმნა არა მარტო კვარტლის, არამედ წლის ბიუჯეტის შესრულებასაც.

# "ბრიტიშ პეტროლიუმს" სერიოზული ოპონენტი გამოუჩნდა

პირველი გვერდიდან

WWF მიიჩნევს, რომ ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, მოსალოდნელია ტაბაწყურისა და წალკის ტბების, აგრეთვე, მდინარე ქციის დაბინძურება. ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, სიტუაცია ბორჯომის მონაკვეთზე ბევრად უფრო დრამატულია და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ **"ნავთობსადენზე ავარიის შემთხვევაში, ეს ტერიტორია მნიშვნელოვნად დაზიანდება. ნავთობის შესაძლო დაღვრა დააბინძურებს არა მარტო სასმელ წყალს ბორჯომსა და მიმდებარე სოფლებში, არამედ სერიოზულად შელახავს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი, განვითარებადი კურორტის რეპუტაციას და ტურისტულ პოტენციალს. ამასთანავე, განუზომლად დიდი იქნება ზიანი, რაც ნავთობის დაღვრამ შეიძლება მიაყენოს ბორჯომის მინერალურ წყაროებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს წყაროები უშუალოდ არ დაბინძურდა ავარიის შედეგად,"** – ნაქვამია WWF-ის დასკვნაში.

WWF-ს გაორმაგებულად მიაჩნია რისკი, რადგან "ბი-პი"-ს მიერ შემოთავაზებული მარშრუტი კვეთს მონაკვეთს, რომელიც სეისმური აქტიურობით და ხშირი მეწყერიანობით (იგულისხმება კოდიანას მონაკვეთი) ხასიათდება. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი უკმაყოფილებას გამოთქვამს გრუნტისა და მინერალური წყლების სისტემების ფუნქციონირების შესახებ "ბი-პი"-ს მიერ წარმოდგენილი არადამაჯერებელი ინფორმაციის გამოც. WWF-ს მიაჩნია, რომ ამომწურავი ინფორმაციის გარეშე, რთული იქნება ეფექტიანი კონტროლისა და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვა. **"მიუხედავად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის სერიოზული შეშფოთებისა, "ბი-პი" ამ მიმართულებით შემდგომი გამოკვლევების ჩატარებას აღარ აპირებს,"** – ნათქვამია დასკვნაში.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი მის ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ ნავთობსადენმა არ უნდა გაიაროს ბორჯომისა და ქციატაბაწყურის მონაკვეთზე, რადგან რეგიონის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მომავალი საფრთხის ქვეშ ექცევა. ამიტომ, WWF მოუწოდებს "ბი-პი"-ს, რომ მან შეისწავლოს და წარმოადგინოს ალტერნატიული მარშრუტი, ამასთანავე, ყურადღება მიაქციოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომისიის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. ყარა-ყაის მარშრუტს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს მიაჩნია, რომ ბორჯომის მარშრუტი ერთადერთი და საბოლოო არ არის.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის მეუღლის, ედინბურგის ჰერცოგის პრინც ფილიპის პატრონაჟით დაარსდა 1961 წელს. ბრიტანეთის სამეფო ოჯახისთავი დღემდე ამ ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარეა. დღეს WWF მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გარემოსადცვითი ორგანიზაციაა. სწორედ, ბრიტანეთის წარმომადგენლობამ ერთი თვის წინ დემონსტრაციულად დაუბრუნა ბი-პი-ს თავისი კუთვნილი აქციები, **"სამარცხვინო გარემოსდაცვითი პოლიტიკისათვის".** ფონდის წარმომადგენლობები გაფანტულია მსოფლიოს 90 ქვეყანაში. საქართველოში მისი წარმომადგენლობა 1992 წლიდან არსებობს. ამჟამად WWF 1300 პროექტს ახორციელებს. იგი ყოველწლიურად გლობალური მასშტაბის გარემოსდაცვით პროგრამებში 270 მილიონ ამერიკულ დოლარს აბანდებს. ასე რომ, გაერთიანებული სამეფოს პირველი ოჯახი ბრიტანული ეკონომიკის სიამაყეს დაუპირისპირდა.

# ხელისუფლება, საგადასახადო კოდექსის პროექტის განხილვისთვის, მოუმზადებელია

საგადასახადო კოდექსის პროექტის ავტორები: ნიკო ორველაშვილი, ირაკლი შავიშვილი, გია ჯანდიერი და აკაკი ჩარგეიშვილი, აპროტესტებენ ამ პროექტის პირველი მოსმენით განხილვას, რომელიც პარლამენტში დღეს არის დაგეგმილი. განხილვაზე ძირითადი მომხსენებელი პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე იქნება, ხოლო თანამომხსენებელი - ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი.

პროექტის ავტორთა მიერ პარლამენტისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია: **"უემოციოდ და მიუკერძოებლად ვაფასებთ რა არსებულ ვითარებას პარლამენტსა და მთავრობაში, დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელისუფლების ეს ორივე უმაღლესი ორგანო სრულიად მოუმზადებელია ასეთი სერიოზული და ფუნდამენტური საკითხის განსახილველად. ეს გარემოება კი განაპირობებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის ჩასაგდებად გაწირვას, რაც კატეგორიულად დაუშვებლად მიგვაჩნია, მით უმეტეს, თუ ეს მოხდება ფორმალური მოტივებით".**

ამიტომ პროექტის ავტორები (საავტორო უფლებებისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით) პარლამენტისგან მოითხოვენ, სრულფასოვანი საკომიტეტო და საფრაქციო განხილვების გარეშე არ დაუშვას კენჭისყრა პროექტთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპერტები, საკუთარი და საზოგადოების ინტერესების დასაცავად, არ გამორიცხავენ ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებას.

*"24 საათი"*

# საქართველოს საბაჟო - ქვეყნის ეკონომიკური დაცვა თუ დივერსია

სოფიკო ოხანაშვილი

**"50 ჯაშუშიც ვერ გააკეთებდა იმას, რაც დღეს საბაჟო დეპარტამენტში ხდება. ამ უწყებაში არსებული მდგომარეობა ეკონომიკური დივერსიის ტოლფასია. ქვეყნის ეკონომიკური საზღვრები დაუცველია, რაც ნიშნავს, რომ საბაჟო დეპარტამენტი ვერ ახორციელებს თავის ფუნქციას. ამ უწყებაში საშინელი კორუფციაა, ქვეყანა კონტრაბანდამ წალეკა, ხშირია წინანსწარი გადახდის ფაქტები, რაც კანონის დარღვევაა, გაბატონებულია დაუსჯელობის სინდრომი. საბაჟო დეპარტამენტი არაკომპეტენტური კადრებითაა დაკომპლექტებული და მისი საქმიანობა არადამაკმაყოფილებელია. ეს რეალობაა და ამას გვერდს ვერ ავუვლით. კონტროლის პალატა არსებულ სიტუაციას ვერ შეეგუება",** - ასე შეაფასეს საბაჟო დეპარტამენტის ახლანდელი მდგომარეობა კონტროლის პალატაში გუშინ გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე. მასზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და შპს "ლილო 1"-ის 2000 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური რევიზიის შესახებ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილების პროექტი.

სარევიზიო ჯგუფის მომზადებული დადგენილების პროექტის მიხედვით, გრძელდება საბაჟო დეპარტამენტის მიერ გეგმის 50 პროცენტზე მეტის თვის ბოლო დღეებში შესრულების ტენდენცია. რევიზიამ აჩვენა, რომ საბაჟოზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციების მიერ წინასწარ ჩარიცხული თანხები საქონლის ფაქტობრივ განბაჟებამდე ბიუჯეტშია გადარიცხული და საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულებაშია ასახული. **"არც ერთ მეწარმეს არა აქვს სურვილი, რომ წინანსწარ გადაიხადოს. არც ერთი მეწარმე არ არის გარანტირებული, რომ საქონლის იმპორტს განახორციელებს. არადა, ფაქტები ჯიუტია – ზოგიერთს აგვისტოს გადასახადები უკვე გადახდილი აქვს. ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკაზე",** - განაცხადა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა. მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა საავიაციო საწვავის განბაჟების შეღავათიანი რეჟიმის გამოყენებისა თუ უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების დროს. ხშირია იმპორტირებულ საქონელზე, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, შეუსაბამო კოდის მინიჭების შემთხვევები და საბაჟო კოდექსით განსაზღვრული რეექსპორტის დადგენილი ვადების დარღვევის ფაქტები. ასეთი მდგომარეობა კი, კონტრაბანდული ტვირთების შემოდინებას უწყობს ხელს.

საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მართალია, აღიარა, რომ ქვეყანა "კონტრაბანდამ წალეკა" და, ამ მხრივ, ქვეყანაში საგანგაშო სიტუაციაა, მაგრამ მან კონტრაბანდული საქონლის შემოდინებაში საბაჟოს მონაწილეობა უარყო. ასლანიკაშვილის პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა კონტროლის პალატის პრეზიდიუმის ყველა წევრისათვის. **"ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი ვერ კონტროლდება, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, თქვენი უწყების ბრალია. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საბაჟოზე კორუფციაა. ეს არის ჩვენი დასკვნა და ამას ჩვენ არც შევცვლით და არც შევეგუებით",** - განაცხადა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა.

ალექსანდრე ასლანიკაშვილი დიდ იმედებს ამყარებს საბაჟო დეპარტამენტში საკადრო ცვლილებების განხორციელებაზე. მისი ინფორმაციით, საბაჟო დეპარტამენტში 800 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული კონკურსი პარასკევს გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებას. ამ ეტაპისთვის საბაჟო დეპარტამენტში 1200-ზე მეტი განაცხადია შესული.

სულხან მოლაშვილმა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ლევან ჩრდილელს მათ უწყებაში ჩატარებული რეფორმებისათვის გამოყოფილი 14 მილიონის ასავალ-დასავალის გარკვევა მოსთხოვა და ამის გამოსაკვლევად ერთი თვის ვადა მისცა.

მოლაშვილის განცხადებით, კონტროლის პალატა უახლოეს მომავალში გაზისა და ენერგეტიკის სფეროში არსებულ მდგომარეობას ცალკე შეისწავლის.

# ერაყი: სადამის დღეები დათვლილია

პირველი გვერდიდან

შირაკი ამტკიცებს, რომ ვეტოს დადება საფრანგეთს, ალბათ, არ დასჭირდება, რადგან ამერიკა საჭირო ცხრა ხმის მოგროვებას მაინც ვერ შეძლებს.

ვეტოს გამოყენების შესაძლებლობაზე ღიად მიანიშნა რუსეთმაც: "ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ნებისმიერი გადაწყვეტილებისა, რომელიც აშკარად ან ფარულად გზას გაუხსნის ერაყში ომის დაწყებას". "ამდენად, ჩვენც "არას" ვიტყვით", - განაცხადა ორშაბათს იგორ ივანოვმა. კითხვაზე, ნიშნავდა თუ არა ეს ვეტოს გამოყენების შესაძლებლობას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დადებითად უპასუხა. ივანოვმა იგივე გაიმეორა სამშაბათს, თეირანში. "რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია ახალი რეზოლუციისა," – განაცხადა მან ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ხარაზისთან შეხვედრის შემდეგ.

რაც შეეხება პეკინის პოზიციას, "ჩინეთი მხარს არ უჭერს ახალ რეზოლუციას, ვინც არ უნდა შემოიტანოს იგი", - განაცხადა ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაგრამ მან არ უპასუხა კითხვაზე: აპირებს თუ არა პეკინი ვეტოს უფლების გამოყენებას.

იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ უშიშროების საბჭოს წევრები ახალი რეზოლუციის შესახებ, ჩვენს გრაფიკულ სურათზე შეგიძლიათ იხილოთ.

## ახალი რეზოლუციის პროექტი

დიდმა ბრიტანეთმა, რომლის შემოტანილი რეზოლუციაც ჩავარდნის საფრთხის წინაშე იდგა, განაცხადა, რომ კიდევ უფრო შეარბილებს მის ტექსტს. ლონდონმა ერთხელ უკვე გააკეთა ეს, როდესაც ვაშინგტონის მიერ წარმოდგენილი ვარიანტი, რომელიც ერაყს უკვე დამნაშავედ აცხადებდა, შეცვალა ულტიმატუმით, რომელიც ბაღდადს 17 მარტამდე აძლევდა ვადას გაერო-ს ყველა მოთხოვნის შესასრულებლად.

ბრიტანელების შემოტანილი ახალი ვარიანტი გულისხმობს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში ბაღდადის მიერ ოთხი პირობის შესრულებას. ესენია: ერაყელი მეცნიერების გაყვანა საზღვარგარეთ და მათი იქ დაკითხვა ინსპექტორების მიერ, ერაყის მიერ ანგარიშის წარდგენა იმის თაობაზე, რა უყო მან ქიმიურ იარაღს, მათ შორის - ვი-ექს მომწამლავ გაზს, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება გაერო-სათვის ციმბირის წყლულის ბაქტერიის ადგილსამყოფელისა და სხვა ბიოლოგიური იარაღის შესახებ და ყველა ბალისტიკური რაკეტისა და უპილოტო თვითმფრინავის დაუყოვნებლივი დეკლარირება.

შეერთებული შტატები ითხოვს, რომ ბრიტანეთმა ეს რეზოლუცია რაც შეიძლება სწრაფად წარადგინოს, ისე, რომ მისი განხილვა მომავალ კვირაში მოესწროს. რეზოლუციის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობა ომის საბაბი გახდება.

## დრო იწურება

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა უშიშროების საბჭოს უარყოფითი პოზიცია შემოთავაზებული რეზოლუციის მიმართ, ბუშის პრესმდივანმა, ფლეიშერმა მკაცრად გააკრიტიკა ეს ორგანიზაცია. "საერთაშორისო კოალიციის ჩამოყალიბების მრავალი გზა არსებობს, – განაცხადა მან, – გაერო-ს უშიშროების საბჭო მხოლოდ ერთ-ერთი ამგვარი გზაა".

"ქმედების ლეგიტიმურობა უშიშროების საბჭოს თანხმობით რომ განისაზღვრებოდეს, მაშინ ჩვენ იუგოსლავიაში სლობოდან მილოშევიჩის ხელისუფლების აღდგენა მოგვიწევდა, რადგან იგი უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე დავამხეთ", ანალოგიურად, როდესაც ჰუსეინს დაამხობენ, "ერაყელი ხალხი თავად განსაზღვრავს, ვის უნდა გადაუხადოს მადლობა".

ბუშმა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ ერაყში შესაჭრელად არავის ნებართვა არ სჭირდება. ამჯერადაც, იგი მხოლოდ იმ პირობით დათახმდა გაერო-ში საკითხის ხელახალ განხილვას, თუ ყველაფერი ორ კვირაში დამთავრდება. ერთი კვირა - უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მისაღებად, ერთი კვირა ერაყს - ულტიმატუმის შესასრულებლად, - ასეთია მისი პირობა. ულტიმატუმის ვადა 21 მარტს არ უნდა გადასცდეს.

ექსპერტების თქმით, ომის დაწყება ისედაც დაგვიანდა, და ცხელი ამინდები მას მალე კიდევ უფრო გაართულებს. ასე რომ, იგი სადღაც მარტის ბოლოს უნდა დაიწყოს და ძალიან მალე, რამდენიმე კვირაში დამთავრდეს.

## რას ითხოვს რუსეთი

სულ ახლახან, პრეზიდენტი პუტინი ბუშს თავის პირად მეგობრად აცხადებდა და ამერიკასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ბოლო ათწლეულის რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიღწევად მიიჩნევდა. ახლა კი, გადამწყვეტ მომენტში იგი ერაყის რეზოლუციაზე ვეტოს დადებით იმუქრება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდის ექსპერტი, თემურ იაკობაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთი მხოლოდ ფსონებს წევს, რათა მოგვიანებით თავისი თანხმობა უფრო ძვირად გაყიდოს. ამასობაში მოსკოვი ცდილობს, სანამ ამერიკას არ სცალია, კიდევ უფრო განიმტკიცოს თავისი გავლენა დსთ-ს სივრცეში: იგი დაჟინებით მოითხოვს სომხეთში გაყალბებული არჩევნების შედეგების ცნობას, ქმნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, საბაჟო კავშირითა და ერთიანი ვალუტის შემოღების პერსპექტივით, ცდილობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესიდან განდევნოს დასავლეთის სახელმწიფოები და ა.შ.

ცნობილი ექსპერტი ვლადიმერ სოკორი წერს: "უშიშროების საბჭოში განხილვების დასრულების მოახლოებასთან ერთად, რუსები უფრო მომთხოვნნი ხდებიან. შეერთებული შტატები რუსეთს სთავაზობს ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას, რუსეთისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის დაწესებას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაში დახმარებას, გარანტიას, რომ ერაყი გადაიხდის რუსეთის 8-მილიარდიან ვალს. მაგრამ, რუსები გასაოცრად ბევრს ითხოვენ. მათ სურთ მნიშვნელოვანი წილი ერაყის ნავთობში, იმაზე მეტი, ვიდრე მათ სადამმა მისცა; გარანტიები, რომ ომისშემდგომ რეაბილიტაციის პროცესში რუსული კომპანიები მიიღებენ მსხვილ კონტრაქტებს ("საბჭოთა კავშირის დროს რუსების მიერ აშენებული ინფრასტრუქტურის აღდგენა მხოლოდ რუსებს შეუძლიათ"); გარანტია, რომ ერაყის მომავლის განსაზღვრაში რუსეთს მნიშვნელოვანი როლი ექნება და რომ რუსეთის ჯარები შევლენ საერთაშორისო საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში. რუსეთის მოთხოვნათა სია გრძელდება: ნავთობზე გარანტირებული მაღალი ფასები, მონოპოლია კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში; გარანტია, რომ ამერიკელები შუა აზიიდან ჯარებს გაიყვანენ და წინააღმდეგობას არ გაუწევენ რუსეთს-საქართველოსა და უკრაინის ხელახლა დამორჩილების მცდელობაში".

## საქართველო

მართალია, ამერიკის ადმინისტრაციამ არაერთხელ საქმით დაადასტურა, რომ საქართველოს "გაყიდვას" არ აპირებს, მაგრამ ომმა ჩვენ შეიძლება პრობლემები გაგვიჩინოს.




საქართველოს ფასი იზრდება, ოღონდ რუსეთისათვის უფრო მეტად, ვიდრე ამერიკისათვის. რუსები შიშობენ, რომ ერაყის დამორჩილების მერე, რუსეთის რეგიონული მოკავშირის, ირანის ჯერი დადგება. ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან, ირანი მაინც "დაიცვან" ამერიკისაგან. ამისათვის, ამ ქვეყანასთან სარკინიგზო მიმოსვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რკინიგზის მარშრუტი კი შემდეგია: სოჭი-სოხუმი-თბილისი-ერევანი-ირანი.

სურს კი საქართველოს ამგვარი კორიდორის ნაწილად იქცეს?

# ცვლილებები რუსეთის ხელისუფლებაში

შოთა უტიაშვილი

გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ქვეყნის ხელისუფლებაში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებების შესახებ განაცხადა. ცვლილებები, ძირითადად, ეკონომიკურ და ძალოვან უწყებებს შეეხო.

პუტინმა გააუქმა ფედერალური სასაზღვრო სამსახური, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა და იგი უშიშროების ფედერალურ სამსახურს დაუქვემდებარა. ყოფილი მთავარი მესაზღვრე, კონსტანტინ ტოცკი ნატო-ში რუსეთის წარმომადგენლად დაინიშნა. სასაზღვრო სამსახურის კურირებას ამიერიდან უფს-ს დირექტორის პირველი მოადგილე, ვლადიმირ პრონიჩევი მოახდენს.

გაუქმდა სამთავრობო კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სამსახური "ფაპსი" (რომლის ძირითად ფუნქციასაც ელექტრონული დაზვერვის წარმოება შეადგენდა). მისი ფუნქციები გაიყვეს უფს-მ (რომლის ნაწილიც იყო "ფაპსი" 1993 წლამდე) და თავდაცვის სამინისტრომ. "ფაპს"-ის ყოფილი შეფი ვიქტორ მატიუხინი თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გახდა და იგი "გოსაბარონზაკაზს" უხელმძღვანელებს, რომელიც თავდაცვის სამინისტროსთვის შეიარაღების შესყიდვას განახორციელებს.

გაუქმდა საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახური. მის ძირითად ფუნქციას, გადასახადებისაგან თავის არიდების გამოვლენას და აღკვეთას, საგადასახადო ინსპექცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო შეასრულებენ, ფინანსური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ამიერიდან უფს-ს დაევალება. გაუქმებული სამსახურის მთელი ქონება და საკადრო შემადგენლობა კი ახლადშექმნილ ფედერალურ უწყებას "ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს" გადაეცა. მისი ფუნქციები სახელწოდებაში ნათლადაა მითითებული, იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევასთან ბრძოლას გააკონტროლებს. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად ევროკავშირში საგადასახადო პოლიციის ყოფილი შეფი ფრადკოვი დაინიშნა. ახალი უწყების ხელმძღვანელი გახდა პრეზიდენტის წარმომადგენელი ჩრდილო-დასავლეთის ფედერალურ ოლქში, ვიქტორ ჩერკესოვი.

ჩერკესოვის რეზიდენციას სანქტ-პეტერბურგში ამიერიდან აწ უკვე ყოფილი ვიცე-პრემიერი ვალენტინა მატვიენკო დაიკავებს თავად მატვიენკოს შემცვლელის ვინაობა კი, ჯერჯერობით, არ სახელდება.

რა მიზანს ისახავდა ეს რეფორმები? პირველ რიგში, ექსპერტთა შეფასებით, მნიშვნელოვანია ის, რომ მთელმა ანტიტერორისტულმა ფუნქციებმა თავი მოიყარა ერთი უწყების – უფს-ს ხელში. თავად ამ სამსახურის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ზრდის ამ სამსახურის ეფექტურობას და კოორდინაციის ხარისხს, ამასთან ერთად, გამორიცხავს ფუნქციების დუბლირებას.

თავის "ისტორიულ მეტოქეებთან", თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა უფს. მას შეუერთდა სასაზღვრო და ელექტრონული დაზვერვის სამსახურები, მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტრომ დაკარგა იარაღის შესყიდვებზე კონტროლი, ხოლო შსს-მ – ნარკოტიკებთან მებრძოლი სამსახურები. ახლადშექმნილი უწყებების სათავეში "პუტინის კადრები", ყოფილი "კაგებეშნიკები" აღმოჩნდნენ.

გადაიდგა პირველი ნაბიჯები "ეფ-ბი-აი"-ს რუსული ანალოგის, "გამოძიების ფედერალური სამსახურის" შესაქმნელად. ვარაუდობენ, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, ენერგიული და ამბიციური უფროსის, ჩერკესოვის ხელში ნელ-ნელა შეძლებს, საგამოძიებო სამსახურად გადაიქცეს. ამავე დროს, ჩერკესოვის სანკტ-პეტერბურგიდან გადაყვანით, პუტინმა ბოლო მოუღო კონფლიქტს მის წარმომადგენელსა და ოლქის გუბერნატორ იაკოვლევს შორის.

თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებად თავისი ხალხის, სერგეი ივანოვისა და ბორის გრიზლოვის დანიშვნის შემდეგ, ეს პუტინის პირველი რადიკალური საკადრო ცვლილებებია.

# თურქეთის პრეზიდენტმა ერდოგანს მთავრობის ფორმირება სთხოვა

სამშაბათს თურქეთის პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა მმართველი პარტიის ლიდერს რეჯებ ერდოგანს, რათა ამ უკანასკნელმა ახალი მთავრობა ჩამოაყალიბოს. პრემიერ-მინისტრი აბდულა გული თანამდებობიდან გადადგა.

"პრეზიდენტმა ახალი მთავრობის ჩამოყალიბება დამავალა", - განუცხადა ერდოგანმა ჟურნალისტებს ქვეყნის პრეზიდენტთან აჰმეთ ნეჯდეთ სეზერთან შეხვედრის შემდეგ.

ერდოგანმა სამშაბათს დილით პარლამენტში ფიცი დადო მას შემდეგ, რაც კვირას განმეორებით არჩევნებში გაიმარჯვა. მანამდე ქვეყნის პრემიერი, მისი უახლოესი თანამებრძოლი, აბდულა გული იყო, რომელიც თანამდებობაზე გასული წლის ნოემბრის არჩევნებში "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის გამარჯვების შემდეგ აირჩიეს.

აქამდე ერდოგანს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რელიგიური შუღლის გაღვივების ბრალდების გამო, აკრძალული ჰქონდა. ერდოგანმა ახალი მთავრობის შემადგენლობა წინასწარ უნდა შეუთანხმოს ქვეყნის პრეზიდენტს, ვიდრე მას პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს.



ერდოგანი პარლამენტში ფიცის დადების დროს

# კვიპროსის გაერთიანება საბოლოოდ ჩაიშალა

სამშაბათს კვიპროსის გაერთიანების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებები ჩაიშალა.

მოლაპარაკებების ჩაშლა, ფაქტობრივად, გაერო-ს გეგმის იმ ნაწილმა გამოიწვია, რომელიც კუნძულზე თურქი უმცირესობის კონტროლის ქვეშ მყოფი მიწის მცირე ნაწილის ბერძნებისათვის დაბრუნებას ითვალისწინებდა.

გაერო-ს გეგმის მიხედვით, კუნძულის მმართველობა ფედერალურ საწყისებზე უნდა განხორციელებულიყო, რომელსაც საფუძვლად შვეიცარიული მოდელი დაედებოდა, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტობა, როტაციული წესით, ბერძენ და თურქ კვიპროსელებს გადაეცემოდა.

"სამწუხაროდ, ეს მოლაპარაკებები წარმატების მომტანი არ აღმოჩნდა. ჩვენ ჩიხში მოვექეცით", - ნათქვამია გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებაში.

"მე ვიზიარებ მშვიდობის მოყვარული ბერძნებისა და თურქების მწუხარებას", - აღნიშნა ანანმა, რომელიც იმედოვნებდა, რომ შეთანხმება მისი გენერალური მდივნობის მთავარი მიღწევა იქნებოდა.

"დარწმუნებული არა ვარ, რომ ამგვარი შესაძლებლობა მალე ისევ გაჩნდება", - დასძინა მან.

კვიპროსი ორ ნაწილად 1974 წელს გაიყო, როდესაც თურქეთის არმიამ კუნძულის ერთი მესამედის ოკუპაცია მოახდინა ბერძნების მიერ მოწყობილი გადატრიალების საპასუხოდ, რომლებიც საბერძნეთთან მიერთებას ისახავდნენ მიზნად. ახლა, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის ტერიტორიაზე 30 000 თურქი ჯარისკაცი იმყოფება, რომლის სუვერენიტეტს მხოლოდ ანკარა ცნობს.

ევროკომისიის წარმომადგენლის ჟან კრისტოფ ფილორის თქმით, ევროკავშირი განაგრძობს გაფართოების პროცესს და 16 აპრილს ათენში დაგეგმილ ცერემონიალზე კვიპროსის ბერძნულ ნაწილთან გაერთიანების თაობაზე ხელშეკრულებას ხელს მოაწერს.

კვიპროსი ევროკავშირში ფორმალურად, 2004 წლის 1 მაისს, მას შემდეგ გაერთიანდება, რაც ყველა წევრი სახელმწიფო ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენს.

კოფი ანანი იმედოვნებდა, რომ დენქტაშსა და პაპადოპულოს [კვიპროსის თურქული და ბერძნული ნაწილების ლიდერები] 30 მარტისთვის გაერო-ს გეგმის რეფერენდუმზე გატანაზე დაითანხმებდა ისე რომ, 16 აპრილს ხელშეკრულებაზე გაერთიანებულ კვიპროსს მოეწერა ხელი.

ანანის მტკიცებით, პაპადოპულო, პრაქტიკულად, თანახმა იყო, მაგრამ დენქტაშმა მოლაპარაკებების გაგრძელება გამორიცხა.

ბრიტანეთის ყოფილ კოლონიაში ლონდონის საგანგებო დესპანმა ლორდმა დევიდ ჰენეიმ გარიგების ჩაშლაში ვეტერანი თურქი პოლიტიკოსი რაუფ დენქტაში დაადანაშაულა.


კოფი ანანს მოლაპარაკებების შედეგმა იმედი გაუცრუა

"მე ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არა მგონია, რომ მან (დენქტაშმა) ანანს რაიმე ალტერნატივა დაუტოვა", - განუცხადა ჰენეიმ "როიტერს".

მართალია, მოლაპარაკებების ჩაშლა ანანს უშუალოდ ერაყის კრიზისთან არ დაუკავშირებია, მაგრამ გაკვრით აღნიშნა, რომ ამ პრობლემამ კვიპროსის საკითხზეც იმოქმედა.

"მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი პრობლემა იყო ის, რომ ჩვენი სამუშაო კრიზისულმა ატმოსფერომ და მთელ მსოფლიოში არსებულმა დაძაბულობამ დაჩრდილა, კერძოდ, ერაყმა და მისმა განიარაღებამ", - აღნიშნა კოფი ანანმა.

მოლაპარაკებების ჩაშლა თავად თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების პერსპექტივას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

# სომხეთში რუსეთის ფავორიტმა ოფიციალურად გაიმარჯვა

*11 მარტს სომხეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალურად გამოაქვეყნა სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები და 67.47 პროცენტით გამარჯვებულად რობერტ კოჩარიანი გამოაცხადა. ოპოზიცია შედეგების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს და ვითარების შეცვლას მასობრივი აქციებით ცდილობს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სომხეთის სტრატეგიული მოკავშირისათვის – რუსეთისათვის, არჩევნების შედეგები ეცნო. კრემლისათვის მისაღები კანდიდატურა მხოლოდ რობერტ კოჩარიანი იყო.*

რევაზ ბახტაძე

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კოჩარიანის მიმართ მოსკოვის სიმპათიები თვალშისაცემი იყო. რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიაში სისტემატურად ჩნდებოდა რობერტ კოჩარიანის მხარდასაჭერი გადაცემები და ცნობები.

ორშაბათს რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ოფიციალური მხარდაჭერა რობერტ კოჩარიანის მიმართ, ამჯერად, უკვე ერევანში საკუთარი ელჩის დრიუკოვის მეშვეობით, რომელიც სომხეთის ლიდერს პირადად შეხვდა და გასულ კვირას არჩევნებში მიღწეული გამარჯვება მიულოცა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კოჩარიანის გამარჯვებას "დამაჯერებელი და შთამბეჭდავი უწოდა". ორ ლიდერს სატელეფონო საუბარიც ჰქონდათ გასულ პარასკევს, რომლის შემდეგ პუტინმა უკვე წერილობითი მილოცვა გამოუგზავნა თავის სომეხ კოლეგას.

მოსკოვის პოზიცია, ფაქტობრივად, ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც არჩევნების მეორე დღეს, დსთ-ს დამკვირვებელთა მისიის სახელით, რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციის აღმასრულებელმა თავმჯდომარემ იური იაროვმა სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებს "დემოკრატიული და ლეგიტიმური" უწოდა.

ანატოლი დრიუკოვი პირველი უცხოელი დიპლომატია, რომელმაც 5 მარტს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე რაუნდის შემდეგ კოჩარიანი მოინახულა. აღსანიშნავია, რომ არჩევნების შედეგები პირველად სწორედ მოსკოვმა ცნო, დასავლელი დამკვირვებლებისაგან განსხვავებით, რომელთა მტკიცებით, "არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა".

"დარღვევებზე პასუხისმგებლები ჯერ კიდევ გამოსავლენია, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ეს შესაბამისი რეაგირების გარეშე არ დარჩება", - განაცხადეს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პიტერ შიდერმა 7 მარტს.

10 მარტს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, სომხეთში ჩატარებული არჩევნების თაობაზე, საგანგებო მოსმენა გაიმართა.

ვაშინგტონმა კი განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლება სომხეთში ჩატარებული არჩევნების გამო "უკიდურესად იმედგაცრუებულია".

სომხეთში საკმაოდ პოპულარულია მოსაზრება, რომ საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული პოლიტიკური ბრძოლის გამოვლენა იყო.

პუტინის მხარდაჭერამ აშკარად გააღიზიანა ოპოზიციის კანდიდატი სტეპან დემირჭიანი. მართალია, ოპოზიციას რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებები არ გაუკეთებია, მაგრამ მათ ხაზგასმით გადაუხადეს მადლობა დასავლეთის სახელმწიფოებს, არჩევნების "პატიოსანი და ობიექტური შეფასებისათვის".

არჩევნების შემდეგ, დასავლეთის მხარდაჭერა, ფაქტობრივად, ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი კოზირია.

წინასაარჩევნო პერიოდში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსი, პრინციპში, უცვლელი დარჩებოდა, რადგან სომხეთის ეკონომიკა და უსაფრთხოება იმდენად არის მიბმული რუსეთზე, რომ რაიმეს შეცვლა ძალზე რთულია. მათი აზრით, სომხეთის პოლიტიკურ ელიტაში ჩრდილოური ორიენტაციის თაობაზე, პრაქტიკულად, კონსენსუსი არსებობს.

თუმცა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც კოჩარიანი გაცილებით მისაღები კანდიდატურაა რუსეთისათვის, ვიდრე - დემირჭიანი.

პირველი - რობერტ კოჩარიანი მთიანი ყარაბაღის გათავისუფლების მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და მოგვიანებით ყარაბაღის პრეზიდენტიც იყო. ყარაბაღის ომის მოგებასა და იქ გაპრეზიდენტებას კოჩარიანი დიდწილად სწორედ მოსკოვს უნდა უმადლოდეს. შესაბამისად, კრემლისათვის რობერტ კოჩარიანი უკვე ნაცადი კაცია, განსხვავებით დემირჭიანისაგან, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე ახლახან გამოვიდა.

მეორეც, პროგრამა "ქონება ვალის სანაცვლოდ" , რომელიც რუსეთის მიმართ დავალიანების გამოსაქვითად, სომხეთის სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური ობიექტების გადაცემას ითვალისწინებს, სწორედ კოჩარიანის პრეზიდენტობის პირველი ვადის მიწურულს დაემთხვა. მოსკოვისათვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესის შეუფერხებლად დასრულებას, რათა რეგიონში თავისი სტრატეგიული მოკავშირის ენერგეტიკული და ტელესაკომუნიკაციო სექტორი მთლიანად გააკონტროლოს.

ცნობილია, რომ ოპოზიციურ ძალებში, მათ შორის, დემირჭიანის მხარდამჭერებში, სომხეთის სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური ობიექტების რუსეთისათვის გადაცემის გამო, შეფარული უკმაყოფილება არსებობდა.

დაბოლოს, დემირჭიანის გარშემო საკმაოდ მრავლად არიან თავმოყრილნი წინა პრეზიდენტთან - ლევონ ტერ-პეტროსიანთან დაახლოებული პირები. ტერ-პეტროსიანის გარემოცვა კი, ოსმალთა იმპერიაში სომეხთა გენოციდის აღიარების მხარდასაჭერი საერთაშორისო კამპანიის შეწყვეტაზე, პრინციპში, თანახმა იყო.

თურქეთთან სომხეთის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის უმთავრეს წინაპირობას სწორედ გენოციდის საერთაშორისო აღიარების კამპანიის შეწყვეტა წარმოადგენს. თურქეთი შიშობს, რომ გენოციდის აღიარებას სომხეთის მხრიდან ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნა და ტერიტორიული პრეტენზიები მოჰყვება.

სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზის ყოფნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს კი სწორედ თურქეთიდან შესაძლო აგრესიის განეიტრალება წარმოადგენს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთმა ლოგიკური არჩევანი გააკეთა და ფსონიც კოჩარიანზე დადო.

# უპრობლემოდ სუნთქვა მალე შესაძლებელი გახდება

*მსოფლიოში ყოველწლიურად, საშუალოდ, ცხრა მილიონი ახალშობილი იღუპება. უმრავლესობა ერთი თვის ასაკსაც ძლივს აღწევს. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზია რესპირატორული დისტრე, რაც გასაგებ ენაზე სუნთქვის მწვავე უკმარისობას ნიშნავს. არაოფიციალური მონცემებით, საქართველოში ამ დიაგნოზით, უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში, 150 ახალშობილი გარდაიცვალა.*

ეთერ მამულაშვილი

მონაცემების ეს რაოდენობა კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის ცენტრმა საკუთარ გამოძახებათა მიხედვით მოიპოვა. ცენტრში ვარაუდობენ, რომ რეალური სურათი გაცილებით უარესია. სტატისტიკის დეპარტამენტის 2001 წლის მაჩვენებლებით, გარდაცვლილი ახალშობილებიდან, 513 ბავშვი ექვსი დღისაც არ იყო.

რესპირატორული დისტრე, ძირითადად, დღენაკლულ ახალშობილებს უვითარდებათ. ამ დროს ფილტვებს ჟანგბადი ძნელად მიეწოდება, რაც სუნთქვის გართულებას იწვევს. თანამედროვე დაკვირვებებით, მედიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რესპირატრული დისტრე ბიჭებში უფრო ხშირად ვითარდება, ვიდრე - გოგონებში.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ამ (თანდაყოლილი თუ შეძენილი) დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, წინა წლებთან შედარებით, წარმატებულად მიმდინარეობს. თანამედროვე ფარმაცევტულ ბაზარზე არსებობს რამდენიმე დასახელების პრეპარატი, რომელთა აპრობაციამ წლების მანძილზე დადებითი ეფექტი აჩვენა. თუმცა, სიძვირის გამო, ეს წამლები ხშირად მხოლოდ მდიდრებისთვის არის ხელმისაწვდომი.

საქართველოში რესპირატორულ დისტრეს, სტაციონარში, წოლითი რეჟიმითა და მოძველებული პრეპარატებით მკურნალობენ - ხშირად უშედეგოდ. ფარმაცევტული კომპანიები, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ახალი წამლის შემოტანას ვერ ბედავენ.

ამ დაავადების სამკურნალოდ მსოფლიოს ფარმაციის ისტორიის ერთ-ერთი ბოლო მიღწევაა პრეპარატი "სურფაქტანტი." ხსენებული პრეპარატი სულ ცოტა ხნის წინ ჰუმანიტარული დახმარების სახით ჩამოვიდა საქართველოში იაპონიიდან. მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე "სურფაქტანტის" ფასი, საშუალოდ, 500-დან 600 ამერიკულ დოლარამდე მერყეობს.

დაახლოებით, ერთი წლის წინ, დასავლური სტანდარტების გათვალისწინებით, ერთ-ერთმა რუსულმა ფარმაცევტულმა ფირმამ იგივე პრეპარატის წარმოება დაიწყო. რუსული წარმოების "სურფაქტანტის" ფასი შედარებით დაბალია. "სურფაქტანტი-BL"-ს (რუსულის) ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ პრეპარატით მკურნალობა ისეთივე ეფექტურია, როგორც - იაპონური წარმოების ამავე მედიკამენტით. "სურფაქტანტი-BL"-ის ფასი 180-200 ამერიკული დოლარია.

გუშინ სასტუმრო "ძველ თბილისში" რუსულმა ფარმაცევტულმა ფირმამ ამ პრეპარატის პრეზენტაცია მოაწყო.

ქართული ფარმაცევტული კომპანია "GPC" მზადაა, რუსული წარმოების "სურფაქტანტი-BL" შეღავათიან ფასში შემოიტანოს, თუკი სრულ დაფინანსებას სახელმწიფო იტვირთებს. ამ საკითხზე "GPC" მოლაპარაკებებს აწარმოებს ჯანდაცვის სამინისტროსთან. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, დავით კილაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და, ალბათ, ძალიან მალე ქართველ ახალშობილებს საჭიროების შემთხვევაში "სურფაქტანტი-BL" უპრობლემოდ ექნებათ.

# საკრებულო „ცენტრ-პოინტის„ წინააღმდეგ

ლენა მიქაძე

**"რაც ამ ქალაქში ხდება, ჩვენთვის მიუღებელია. ამიტომაც, ამის წინააღმდეგ ყველანაირი ხერხებით ვიბრძოლებთ - ბულდოზერით უკანონო მშენებლობების დანგრევა იქნება ეს, თუ კიდევ სხვა რამ. ვერის პარკის უკან, "ლაგუნა ვერესთან" სამხედრო თავშესაფარია, რომელსაც თავი თბილისის მოსახლეობამ უნდა შეაფაროს. წამობრძანდით და თავად განახებთ, თუ როგორ ჭრიან მთას თავშესაფრის თავზე და აშენებენ სახლს,"** - ეპატიჟებოდა ჟურნალისტებს თბილისის ვიცე-პრემიერი გიორგი კარბელაშვილი.

თუმცა, "დღის გმირი" გუშინ არა კარბელაშვილი, არამედ თბილისის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი დავით მუმლაძე გახლდათ. "ნაციონალი" მუმლაძე წინა დღით სატელევიზიო ეთერში "სოციალისტმა" ვახტანგ რჩეულიშვილმა კორუმპირებულთა სიაში მიათვალა. საპასუხოდ, მეორე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე, ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსმა განაცხადა, რომ "სოციალისტი" ვიცე-სპიკერი მას საკუთარი ბიზნეს-ინტერესების გამო ებრძვის. იმის გამო, რომ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, რჩეულიშვილების მფლობელობაში არსებულ სამშენებლო ფირმა "ცენტრ-პოინტს" მან დარღვევები დაუფიქსირა. კონკრეტული შემთხვევების თაობაზე მუმლაძემ გუშინ გადაწყვიტა საუბარი, მათ შორის, იმ თავშესაფარზეც, რომლის თავზეც სახლის მშენებლობა "ცენტრ-პოინტის" დაწყებული ყოფილა. **"მშენებარე სახლზე არ არსებობს მშენებლობის ინსპექციის ნებართვა, არც სახელმწიფო ექსპერტიზა ჩატარებულა. გარდა იმისა, რომ უკანონო მშენებლობებით ჩახერგილია თავდაცვის ობიექტის შესასვლელი, მარადმწვანე ხეებიც გაჩეხილია. ადმინისტრაციული ინსპექციის მხრიდან რამდენიმეჯერ იყო მშენებლობის შეჩერების მოთხოვნა, თუმცა – უშედეგოდ,"** - აცხადებს მუმლაძე. როგორც იგი ამტკიცებს, დაახლოებით ასეთივე პრეტენზიები გასჩენია ობიექტის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც. აქვე მას სხვა მაგალითებიც მოჰყავს: დარიალის №9, ირაკლი აბაშიძის №56, შიო მღვიმელის ქუჩა და ა.შ. ამ ობიექტების თაობაზე, მშენებლობის წესების დარღვევის გარდა, პრეტენზიები მშენებლობის ოფიციალურად დაფიქსირებულ ფასსა და მის რეალურ საბაზრო ღირებულებაში საგრძნობი სხვაობის გამოც არსებობს. თითოეული ობიექტის მშენებლობა "ცენტრ-პოინტს", თურმე, მაქსიმუმ, ნახევარი მილიონი ლარი უჯდება. **"თუ ეს მართლაც ასეა, კი ბატონო, გადავურიცხავთ მაშინ ამ თანხას დედაქალაქის ბიუჯეტიდან და ააშენონ სახლები. პრობლემები რჩეულიშვილის მხრიდან იმიტომაც გაჩნდა, რომ ახლა მუნიციპალური ბინების მშენებლობას ვიწყებთ და "ცენტრ-პოინტმა" ჩვენში კონკურენტი დაინახა,"** - დასძენს კარბელაშვილი.

ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი და ვიცე-პრემიერი უკანონო მშენებლობების შეჩერებას მოითხოვენ, ამასთან ერთად - განადგურებული მწვანე საფარის აღდგენას და გადაუხდელი გადასახადების ამოღებას. მათი მტკიცებით, ამ დამალული გადასახადების გამო არსებობს საპენსიო დავალიანება და გაძნელებულია ხელფასების საარსებო მინიმუმამდე გაზრდა. "24 საათი" "ცენტრ-პოინტის" მფლობელებსაც დაუკავშირდა, თუმცა, მათ კომენტარისაგან თავი შეიკავეს.

# წყნეთში მცხოვრებ დევნილთა მიმართვა პრეზიდენტს

*აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ და დევნილთა საგაფიცვო კომიტეტმა მოაწყვეს ერთობლივი პრესკონფერენცია. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო წყნეთში განსახლებული დევნილებისათვის 24-საათიანი დენის გრაფიკი და მათი გამხოლოება ადგილობრივი მოსახლეებისა და მოაგარაკეებისაგან.*

ბელა მახარაძე

ყოველთვიურად დევნილებს USAID-ი უხდის დენის საფასურს - 67 000 ლარს (ანუ ერთ სულზე - 14,80 ლარს), თან წყნეთში გამრიცხველიანება არ არის. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, რა რაოდენობის ენერგიას მოიხმარს დევნილი მოსახლეობა, ეს თანხა კი ყოველთვიურად ირიცხება "ეი-ი-ეს თელასში".

ამას ემატება ისიც, რომ წყნეთში მოხმარებული ელექტროენეგიის დავალიანების უმეტესი ნაწილი მოდის მოაგარაკეებზე. დევნილებს ამის თვალსაჩინო მაგალითად მოჰყავთ ვიდეომასალა, რომელშიც ნაჩვენებია წყნეთის ფეშენებლური სასახლეები. დევნილთა ლობისტი ლია ცინდელიანი აღშფოთებას გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ გადაუხდელობის გამო დევნილებსა და ადგილობრივებს ერთნაირი გრაფიკით არ უნდა მიეწოდებოდეთ დენი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა წყნეთის გამგებლის მოადგილემ რეზო არეშიძემ. ის მთლიანად ეთანხმება დევნილთა მოთხოვნას.

მიუხედავად პარლამენტის თავმჯდომარის თხოვნისა და დევნილების დაჟინებული მოთხოვნისა, ირიბარენმა არ ისურვა წყნეთში ასვლა და რეალური სურათის ნახვა.

**"ხომ არ ნიშნავს ეს ამ სასახლეების, მშენებარე ობიექტების მიერ დახარჯული ელექტროენერგიის სანაცვლოდ არაოფიციალურ ანგარიშსწორებას, ხოლო ოფიციალურად კი, გადასახადის დევნილებისათვის დაწერას და მათზე გადმორიცხული ფულით ანგარიშსწორებას. თუ აღნიშნული ეჭვები არ შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ თელასმა მოაწესრიგოს აღრიცხვიანობა,"** – აცხადებენ საგაფიცვო კომიტეტში.

საგაფიცვო კომიტეტი მიმართავს პრეზიდენტს, რომ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები დევნილთა უფლებების დასაცავად.

თუ მათი მოთხოვნების იგნორირება მოხდება, მაშინ ისინი აცნობებენ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, სთხოვენ USAID-ს, შეწყვიტოს თანხის გადმორიცხვა და მოსთხოვენ თელასს, აქამდე გადახდილი თანხა უკან დააბრუნოს.

მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის გამო, საგაფიცვო კომიტეტი და აფხაზეთის უზენაესი საბჭო პასუხისმგებლობას იხსნიან.



ერთობლივ პრესკონფერენციაზე

# "თეატრალური" სვლა ლოტკინზე

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მერია საკუთარი ნამოღვაწარის სააშკარაოზე გამოტანას განაგრძობს. ვანო ზოდელავას ყოველი კვირის სამშაბათს, მშენებარე ობიექტების დასათვალიერებლად ჟურნალისტებიც დაჰყავს. ამჯერად, სამი ობიექტი მოინახულეს.*



დელეგაცია სარემონტო დეკორაციებში

რამდენიმე კვირის წინათ ქალაქის მერმა გაგვაცნო სამი ახალი სანიაღვრე კოლექტორი: ორი - მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მშენებარე და ერთიც - უკვე აშენებული, სოფელ "გლდანის" მახლობლად მდებარე. ამჯერად მსგავსი სიახლით მთაწმინდის რაიონის მცხოვრებლებსაც გავახარებთ. არსენას ქუჩაზე 100 წლის წინანდელი კოლექტორი ახლით შეიცვლება, რისთვისაც მერიის ბიუჯეტიდან 270 ათასი ლარი გამოიყოფა.

მეორე ობიექტი, რომელიც მერმა ჟურნალისტებთან ერთად მოინახულა, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი გახლდათ. თეატრის ძირფესვიანი რეკონსტრუქცის შარშან ივნისში დაიწყო და წელს, აგვისტოში დასრულდება. ასე რომ, საშემოდგომოდ კინომსახიობთა თეატრის დასი მომთაბარე ცხოვრებას დაასრულებს, მშობლიურ განახლებულ კედლებს დაუბრუნდება და ახალ სეზონს მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი სპექტაკლით დაიწყებს. ეს სიკეთე კი საქველმოქმედო ფონდ "ქართუს" წყალობაა. ფონდმა თეატრის შენობის რეკონსტრუქციისთვის 700 ათასი დოლარი გაიღო. მერიამაც შეაშველა მშენებელ ფირმას საკუთარი კეთილმოწყობისა და არქიტექტურის სამსახურები, ასევე, წლევანდელი წლის ბიუჯეტში კინომსახიობთა თეატრისთვის 108 ათასი ლარი გაითვალისწინა.

თეატრის მონახულების შემდეგ ქალაქის მერმა ლოტკინის დასახლებისკენ გასწია და, შარშან შეკეთებული ჩოდრიშვილისა და ლოტკინის ქუჩების გავლით, ჟურნალისტები მინგრეული და გადათხრილ-დატბორილი ქუჩებით ატარა. იქაური მოსახლეობის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ასეთ გზებზე წითელი ფერის "ჯიპით" ვაჟკაცურად მოსიარულე ვანო ზოდელავა შენიშნეს. მერმა ლოტკინის დასახლებაში საკუთარი ვიზიტის მიზეზი მოსახლეობას არა, მაგრამ ჟურნალისტებს კი აუხსნა. "ამ ქუჩებს ხომ ხედავთ. მალე აქ ქვაფენილი დაიგება და მოსახლეობა ამოისუნთქავს. ხალხი მიჩვეულია, რომ ყველაფერი ვაკეში და საბურთალოზე კეთდება, მაგრამ, ამჯერად ლოტკინის დასახლებას მივხედავთ", - ამაყად განაცხადა ქალაქის მერმა. ამჯერად, სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება მერიამ და მსოფლიო ბანკმა გაიყვეს. ლოტკინის დასახლებაში დანგრეული ქუჩების კომუნიკაციებიანად აღდგენას 1 500 ათასი ლარი დასჭირდება. ამ თანხის 80 პროცენტი მსოფლიო ბანკის კრედიტიდან დაიფარება, 20 პროცენტს კი თბილისის მერია გაიღებს. ასე რომ, ლოტკინის დასახლებაში წითელი "ჯიპის" გამოჩენა კარგის მომასწავებელი აღმოჩნდა. თუმცა, ზოგიერთი მოქალაქე მაინც უკმაყოფილო დარჩა, - რა დროს გზა და კანალიზაციაა, სახლები გაგვიმაგრონო.

# შეღავათიანი დაბეგვრიდან მართვის ახალ მოდელამდე

ირინე სანებლიძე

*ახლო მომავალში სამედიცინო დაწესებულებებს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდებათ, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ამ საჩუქარს ყველა ვერ მიიღებს.*

ორი დღის წინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ პარლამენტში განსახილველად შეიტანა **კანონი სამედიცინო დაწესებულებების შეღავათიანი დაბეგვრის შესახებ**. ეს მრავალწლიანი დებატების შედეგად მოხდა. ყველა - ოფიციოზიც და ოპოზიციაც, იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ სამედიცინო დაწესებულებები არ უნდა დაქვემდებარებოდნენ სამეწარმეო კანონს, მაგრამ წლების განმავლობაში არაფერი იცვლებოდა. ჯანდაცვის ობიექტები საწარმოების მსგავსად იხდიდნენ სამეწარმეო საქმიანობის, მოგების, დამატებითი ღირებულების, ქონების, მიწის და საგზაო გადასახადებს. აღნიშნულ ჩამონათვალს დღგ ორი წლის წინათ გამოაკლდა, სამეწარმეო საქმიანობის 1 პროცენტიანი გადასახადი კი - წელს. ახალი კანონპროექტი სამედიცინო დაწესებულებების კიდევ ოთხი სახის გადასახადისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებს. ესენია: მოგების, ქონების, მიწის და საგზაო.

დარჩება მხოლოდ ერთი - სოციალური გადასახადი.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტს პარლამენტში წინააღმდეგობა არ შეხვდება. ამაზე თავად ოპოზიცია მიანიშნებს. პარლამენტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ლადო ჭიპაშვილი (ნაციონალური მოძრაობა): "უკვე ორი წელია ველოდებით, რომ მთავრობამ შემოიტანოს ეს ცვლილებები და თუ შემოიტანენ, ორივე ხელით დავუჭერთ მხარს. თუ არ შემოიტანენ, მაშინ არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვებთ და ყველაფერს თავად გავაკეთებთ.

დღეს სამედიცინო დაწესებულებები მხოლოდ დღგ-სგან და სამეწარმეო საქმიანობის 1 პროცენტისგან არიან გათავისუფლებულები. სხვას ყველაფერს ისე იხდიან, როგორც საწარმოები. არადა, სამედიცინო დაწესებულებები მოგებაზე ორიენტირებულები არ უნდა იყვნენ. მათ ეს გადასახადები უნდა მოვუხსნათ. მაშინ მკურნალობის ხარჯებიც შემცირდება. ცხადია, აქ საუბარია სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებზე და არა - კერძო დაწესებულებებზე. აქ სათანადო სიფრთხილეა საჭიროა, რათა ეს ორი სამსახური არათანაბარ პირობებში არ ჩავაყენოთ."

კერძო და მუნიციპალური დაწესებულებების უთანასწორო პირობებში ჩაყენების საშიშროება ახლა აღარ არსებობს, ვინაიდან აღნიშნული კანონპროექტი ნებაყოფლობით პრინციპზეა დაფუძნებული. ყოველ სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს შეღავათიანი დაბეგვრა.

აქ მოქმედებს ერთი შეზღუდვა. **ის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მიიღებს შეღავათიან დაბეგვრას ვალდებული ხდება, მოახდინოს რეინვესტირება - ანუ გადასახადებისაგან გამოთავისუფლებული თანხა მოახმაროს თავისი დაწესებულების მოწყობას, აღჭურვას და ა.შ. ამ თანხის გამოყენება ანაზღაურების გასაზრდელად კატეგორიულად იკრძალება.**

ამ შეზღუდვის გამო, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მოგების მქონე კერძო დაწესებულებები, რომლებსაც შემოსავლის პერსონალისთვის განაწილება სურთ, საგადასახადო შეღავათებზე უარს იტყვიან.

ამის საპირისპიროდ, დანგრევის პირას მისული მუნიციპალური დაწესებულებებისთვის შეღავათიანი დაბეგვრა, პირდაპირ, გადარჩენა იქნება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განცხადებით, აღნიშნული კანონის ამოქმედება მოგვცემს 10 მილიონ ლარამდე არაპირდაპირ სუფსიდირებას, რაც თავის მხრივ სამკურნალო ხარჯებს შეამცირებს.

ამის შემდეგ ჯანდაცვის სისტემაში მოსალოდნელი იქნება კიდევ ერთი სიახლე - მართვის ახალი მეთოდების დანერგვა. მართალია, გავრცელებული აზრით, სამედიცინო დაწესებულებები მოგებაზე ორიენტირებულები არ უნდა იყვნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ პარაზიტული მენეჯმენტი ჰქონდეთ. განვითარებულ ქვეყნებში არსებობენ სპეციალური კორპორაციული ჯგუფები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებს მართავენ მფლობელთან ხელშეკრულების საფუძველზე. ეს იმის გარანტიაცაა, რომ ხელმძღვანელობაში შემთხვევითი პირები არ მოხვდნენ და იმასაც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანა ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავარდეს, როცა სამედიცინო დაწესებულებებს ხან მართვის უცოდინარი ექიმები ხელმძღვანელობენ, ხან კი ჯანდაცვის სპეციფიკურობაში ჩაუხედავი ეკონომისტები.

# "ბუქსაობა" რელიგიურ ნიადაგზე

თამარ დვალი

*გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილი საზოგადოება რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე მსჯელობდა. დარბაზში, ძირითადად, ერთი კანონდამრღვევის სახელი გაისმოდა - ბასილ მკალავიშვილის, რომელიც ყველა გამომსვლელს მაგალითად მოჰყავდა, მის ქმედებებზე კი სახელმწიფოსგან ითხოვდნენ პასუხს.*

"ჩვენი მიზანია, ხელისუფლება გამოფხიზლდეს და ქვეყანაში წესრიგი დაამყაროს. საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა უფლებები დღითი-დღე უარესად ირღვევა და მწვავდება. იმ დონემდე მაინც ნუ დავალთ, რომ მსოფლიომ სხვა რელიგიების მოძულე ხალხად გაგვიცნოს. ჩვენი ტოლერანტობა წარსულს ჩაბარდა და ოცდამეერთე საუკუნეს ბარბაროსებად შევხვდით - კოცონებს ვაჩაღებთ და ხალხს თავში ჯვარს ვურტყამთ. ამ ყველაფერს ხელისუფლება, თითქოს, ვერ ხედავს. სანამ გაერო-მ არ მიუთითა, მანამდე ჩვენი პრეზიდენტი თურმე მკალავიშვილს ვერც სცნობდა. მკალავიშვილი და მისნაირები ამდენს ვერ გაბედავდნენ, თუ მათ ვინმე არ მფარველობს", - განაცხადა პრესკონფერენციის ორგანიზატორმა, პარლამენტის წევრმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა. გუშინ შეკრებილმა საზოგადოებამ, რომელთა შორისაც ბაპტისტური, ევანგელისტური, ევანგელურ-ლუთერული რელიგიის წარმომადგენლები და სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ ასოციაციების წევრებიც იყვნენ, ერთხმად აღნიშნეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გარკვეული ძალები მართავენ. სახელმწიფო კანცელარიის რელიგიის განყოფილების გამგის, თამაზ პაპუაშვილის აზრით, საჭიროა, რელიგიის შესახებ კანონი იქნას მიღებული: "ამ კანონს, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები ითხოვენ. ეს იქნება კიდევ ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებას.". საპირისპირო მოსაზრება გამოთქვა პარლამენტარმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა: "უკვე არსებობს კანონი, ეს კონსტიტუციაშია ჩადებული. მეტი კანონი, მეტ გაუგებრობას გამოიწვევს. სხვა ქვეყნებში არ არის კანონი რელიგიის შესახებ, მაგრამ, სამართალდამცავები მშვენივრად იცავენ წესებს და იჭერენ კანონდამრღვევს. ჩვენთანაც რომ ასე იყოს, პრობლემა აღარ იარსებებდა. ის, რომ ქრისტეს სახელით ერთმა მეორეს თავი არ უნდა გაუტეხოს, ამას კანონი არ სჭირდება." დარბაზში ერთადერთი კანონდამრღვევის სახელი გაისმოდა - ეს იყო ბასილ მკალავიშვილი. ის ყველა გამომსვლელს მაგალითად მოჰყავდა და მის ქმედებებზე სახელმწიფოს სთხოვდა პასუხს. "ჩვენი ხელისუფლება ვერ ასრულებს იმას, რაც კონსტიტუციაშია. სამართალდამცავები, რომლებიც რეაგირებას უნდა ახდენდნენ მკალავიშვილის საქციელზე, დგანან და სეირს უყურებენ. მამა ბასილი განა მარტო სცემს ხალხს, ქურდავს კიდეც. ჩვენი კანონი ხომ კრძალავს კაცის ცემას? რატომ არავინ სთხოვს მას პასუხს? ეს პრობლემა კონფერენციებით არ გადაწყდება - საჭიროა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის არის, რომ ხალხის ცნობიერებაში სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ სიძულვილს ნერგავენ", - განაცხადა კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელმა, თამარ შამილმა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრის, თამარ ქალდანის აზრით, შეიძლება არსებობდეს კანონი რელიგიურ უმცირესობათა შესახებ, და არა - კანონი რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ. ვინაიდან, ეს ისედაც გარანტირებული უფლებაა და ამას კანონი აღარ სჭირდება. "ერთ კანონში ყველაფერი ვერ იქნება ჩადებული. საკანონმდებლო ბაზა იმისთვის არსებობს, რომ ზოგი რამ სამოქალაქო კოდექსში ჩაიდოს, ზოგიც - სისხლის სამართალში. როდესაც დაუსჯელობის სინდრომზე ვსაუბრობთ, ყველა სისხლის სამრთლის კოდექსს მოიხმობს, სადაც ცემის და ძალადობის შესახებ ცალკე მუხლი არსებობს. არის მუხლი, რომელზეც არავინ საუბრობს, ესაა - რელიგიური საქმიანობის ხელის შეშლა და რელიგიური ორგანიზაციის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. სახელმწიფო თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ქვეყანაში ხდება რელიგიურ უმცირესობათა უფლებების შელახვა. ამ მუხლით არც ერთი საქმე არ აღძრულა. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონიც რომ მიიღონ, ეს მაინც ვერ დაარეგულირებს პრობლემას, რადგან ეს სისხლის სამართლის სფეროა", - განაცხადა ქალდანმა.

მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელმა, ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა, მამა ზაზა თევზაძემ არსებულ პრობლემას ვიღაცეების მიერ წარმოქმნილი უწოდა და აღნიშნა: "ჩვენს წინაპრებს არასდროს ჰქონიათ მსგავსი დამოკიდებულება სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან. მრავალი წლის მანძილზე გვერდი-გვერდ იყო - მეჩეთი, სინაგოგა და ეკლესია, მაგრამ ერთმანეთთან უსიამოვნება არ ჰქონიათ."



წყნარი ბაასი შემწყნარებლობაზე აჭარის წარმომადგენლობის ოფისში.

# იუსტიციის საბჭოს თავისი დემოკრატია აქვს

სოფო ბუკია

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის საბჭოს წევრები, მათივე თქმით, ძალზე იშვიათად აწყობენ პრესკონფერენციებს ისეთ საფრთხილო საკითხზე, როგორიც მართლმსაჯულებაა, გუშინ მათ გულმა ვერ მოუთმინათ. ამ "ძალზე იშვიათი გამონაკლისის" მიზეზი სასამართლო უწყებაში აღმოჩენილი რაიმე სერიოზული დარღვევა კი არა, "რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობის მიერ გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში გაგზავნილი განცხადება გახდა. ამ განცხადებით "რუსთავი 2" გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ნანა გუგუნაშვილის მიერ ხუთი წლის განმავლობაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ მოსამართლე გუგუნაშვილი გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს იხილავს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციაა და მისი გაცნობა, კანონის თანახმად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, "რუსთავი 2"-ის მოთხოვნა გუგუნაშვილმა მაინც არ დააკმაყოფილა. თუმცა, იუსტიციის საბჭოს წევრები გუშინ გუგუნაშვილის უარს კი არა, განცხადების ტექსტს აპროტესტებდნენ. "რუსთავი 2"-ის მოთხოვნაში იუსტიციის საბჭოს წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა სასამართლოზე პირდაპირი ზეწოლის ნიშნები ამოიცნო. **"იმის გამო, რომ მოსამართლე გუგუნაშვილმა არ დააკმაყოფილა "რუსთავი 2"-ის ადვოკატის ღიმილისმომგვრელი შუამდგომლობა –"რუსთავი 2"-ის გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში მხარედ ჩართვის შესახებ, ამ ტელეკომპანიამ, სასამართლოზე ზეწოლის მოხდენის მიზნით, მოსამართლე გუგუნაშვილის მიერ 5 წლის განმავლობაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები მოითხოვა... ეს პირდაპირი ზეწოლაა მოსამართლეზე. შეუძლებელია, რომ ეს ვერ დაინახო,"** – აცხადებს შარმანაშვილი.



ოთარ გოგოძე და თენგიზ შარმანაშვილი

შარმანაშვილსა და მის კოლეგას, ოთარ გოგოძეს ერთობ არაორდინალური პოზიცია აღმოაჩნდათ: თურმე, ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნის უფლება "რუსთავი 2"-ს კი ჰქონდა, მაგრამ მაინც არ უნდა მოეთხოვა, რადგან იუსტიციის საბჭოს წევრთა ღრმა რწმენით, ეს მაინც სასამართლოზე ზეწოლა გამოდის, ვინაიდან მოსამართლეს შეიძლება სუსტი გული აღმოაჩნდეს, აღელდეს და მის პროფესიულ წარსულში ქექვამ გარკვეული გავლენა იქონიოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

აქვე, შარმანაშვილი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს მოსამართლე გუგუნაშვილის პროფესიულ საქმიანობას და აღნიშნავს, რომ ქალბატონი გუგუნაშვილი მეტად ღირსეული და პროფესიონალი მოსამართლეა. გაუგებარია, რატომ შეიძლება "ღირსეული და პროფესიონალი" მოსამართლის მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება სასამართლოზე ზეწოლის მოხდენის მიზეზი გახდეს. პირიქით, სასამართლო სისტემას, რომელსაც არც თუ შესაშური რეპუტაცია აქვს საზოგადოებაში, სასიკეთოდაც კი წაადგება "ღირსეული და პროფესიონალი" მოსამართლეების მიერ გამოტანილი სამართლიანი გადაწყვეტილებების გახმაურება.

თენგიზ შარმანაშვილს ასე არ მიაჩნია და, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, ევროპულ პრაქტიკას იშველიებს. შარმანაშვილის თქმით, ცივილიზებულ ქვეყნებში მოსამართლეთა პატარ-პატარა ცოდვებს არავინ ახმაურებს, რათა შემდეგ ვინმემ არ წამოაძახოს: შენ ის არ ხარ, ამა და ამ საქმეში ესა და ეს შეცდომა რომ დაუშვიო? ჩვენში მოსამართლეების დისციპლინარულ დევნას სწორედ იუსტიციის საბჭო ახორციელებს და მოსამართლეთა უწყინარ ცოდვებსაც, ევროპელთა დარად, ჩუმად ინახავს.

**"ჩვენთან, ვისაც არ ეზარება, ყველა სასამართლო გადაწყვეტილებებში ერევა, ყველას თავისებურად ესმის დემოკრატია,"** – ამბობს შარმანაშვილი, რომელსაც სიტყვა "დემოკრატია" სწორედ რომ თავისებურად გაუგია.

იმ ფაქტმა, რომ სასამართლო ხელისუფლებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა გაბედეს, იუსტიციის საბჭოს წევრები ახალი შთაგონებით აავსო. ისინი სასამართლოზე ზეწოლის ფაქტებს შეაგროვებენ და ევროსაბჭოს გადასცემენ განსახილველად. მათ შორის, სტრასბურგს გაეგზავნება "რუსთავი 2"-ის აღნიშნული განცხადებაც, როგორც სასამართლოზე ზეწოლის კლასიკური ნიმუში. სასამართლო გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების შემთხვევები მათ, თურმე, არაერთი იციან, თუმცა, ამის გამო სტრასბურგი ჯერ არ შეუწუხებიათ. ამას, რატომღაც, სწორედ ახლა აპირებენ.

# ტელეშოუ სასამართლო დარბაზიდან

პირველი გვერდიდან

ორკვირიანი ვადა მოითხოვა. არც სახელმწიფო ბრალმდებელს და არც მოსამართლეს არ უარუყვიათ, რომ ნებისმიერ მხარეს აქვს საქმის გაცნობის უფლება. პროკურორი კორძაძესთვის საქმის გასაცნობად ერთკვირიანი ვადის მიცემაზე დათანხმდა, თუმცა, მოსამართლემ არც პროკურორის პოზიცია გაითვალისწინა და სასამართლოსგან უფლებაშეზღუდული ადვოკატი იძულებული გახდა, პროცესი დაეტოვებინა. **"პროცესში ჩემს მონაწილეობას აზრი არ აქვს, შეუძლებელია დაცვის განხორციელება მაშინ, როცა საქმის მასალებს სრულად არ ვიცნობ. საქმის მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, მოკლე ვადაში შეუძლებელია საქმის მასალების დეტალურად გაცნობა. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება კი, შესაძლოა, განაჩენის გასაჩივრების მიზეზი გახდეს",** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას დაზარალებულის ადვოკატმა, რომელიც მიიჩნევს, რომ გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე ბევრი საეჭვო დეტალი უკვე აშკარად გამოიკვეთა. ზვიად კორძაძისვე განმარტებით, მოსამართლის მხრიდან პირდაპირი ტელეტრანსლირების კატეგორიული მოთხოვნა სამართლებრივ ნორმაში არ ჯდება.

გუშინდელ პროცესზე გიორგი სანაიას სამი თანამშრომელი დაიკითხა, რომლებმაც მკვლელობის ღამეს უკანასკნელებმა ნახეს სანაია გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათი ჩვენებები წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების იდენტური იყო და მათი დაკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა.

გუშინდელ პროცესზე კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა. სასამართლოში გამოცხადდა ნათელა ქართველიშვილი - მოწმე, რომელმაც გიორგი სანაიას მკვლელობის ღამეს, მაშინ, როცა სანაიების დაკეტილ ბინაში არავინ იმყოფებოდა, სინათლე შეამჩნია. ამ ფაქტის გაცხადების შემდეგ, ნათელა ქართველიშვილს უცხო პიროვნებები აკითხავდნენ, აშინებდნენ და ემუქრებოდნენ: მსგავს ჩვენებას თუ კიდევ გაიმეორებ, ნახავ, შენ შვილს რა დაემართებაო. **"პერიოდულად მოდიოდნენ და ისევ მემუქრებოდნენ. ამ ყველაფრის გამო, ერთი წლის წინ ავიბარგე და რაიონში წავედი. დღეს სპეციალურად ჩვენების მისაცემად ჩამოვედი, მივცემ და ისევ წავალ",** – განაცხადა პროცესის დაწყებამდე ჩვენთან საუბრისას ნათელა ქართველიშვილმა, რომელიც მოგვიანებით, სასამართლოს შენობიდან გაუჩინარდა. დარბაზში დასაკითხად გამოძახებული ქართველიშვილი ველარავინ იპოვა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მას შემდეგ, რაც დაზარალებულის ადვოკატმა დარბაზი დატოვა, აქამდე უკვე მრავალჯერ დაშინებულმა ქართველიშვილმა, კვლავ შიშის გამო, გადაიფიქრა ჩვენების მიცემა და სასამართლოს შენობა ისე დატოვა, არავისთვის არაფერი უთქვამს.

იმ დროს, როდესაც გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში განსასჯელი ხურცილავა გალიის გისოსებს აწყდებოდა, უზენაესი სასამართლო ხათუნა ჩხაიძის სარჩელზე მსჯელობდა. ხათუნა ჩხაიძე პროკურატურას საქმის არაკანონიერად და არასწორად გამოძიებაში სდებს ბრალს. საერთოდ, მიიღებს თუ არა გიორგი სანაიას მეუღლის სარჩელს წარმოებაში სასამართლო, ეს ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი.

ერთი სიტყვით, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის, გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესი კვლავ დაზარალებულისა და მისი ადვოკატის დაუსწრებლად ჩატარდება. განსასჯელის ადვოკატი კი წინასწარ აცხადებს, რომ მომდევნო პროცესები, დასაშვებია, უფრო მძიმე მოსასმენი იყოს და სასამართლოს იმ მოწმეთა უსაფრთხოების დაცვას სთხოვს, რომლებიც მკვლელობის მოტივზე ისაუბრებენ.

# ქართულმა სპეცჯგუფმა ამერიკელ ექსპერტთა მოწონება დაიმსახურა

ინგა ალავიძე

გუშინ შსს-ს გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების 20-კაციანმა ჯგუფმა სპეცოპერაცია ჩაატარა. საიდუმლო ოპერაცია, რომელიც თბილისში, გორგასლის ქუჩის №25-ში მდებარე ყაზარმის შენობაში ჩატარდა, მძევალის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. სპეცრაზმმა რამდენიმე წუთში გაათავისუფლა ბიზნესმენი, რომელიც გამტაცებელთა უცნობი ჯგუფის მიერ ფულის გამოძალვის მიზნით იყო მძევლად აყვანილი.

**"პოლიციის მონაცემებით, ორ დამნაშავეს იარაღის გამოყენებით გატაცებული ჰყავთ ცნობილი ბიზნესმენი, რომლის ადგილსამყოფელია გორგასლის ქუჩა N25. დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობა უცნობია, არსებობს მხოლოდ მათი გარეგნობის ზედაპირული აღწერილობა. გატაცების მიზანია ფულის გამოძალვა, ღონისძიებას აწარმოებს შსს-ს სპეცდანიშნულების სამმართველო. იერიშს განახორციელებს ჯგუფი "ალფა", ხელმძღვანელი "გორდა 1",** - სპეცჯგუფის ხელმძღვანელმა ოპერაციის დაწყების წინ მოკლე ოპერატიული ინფორმაცია ჩააბარა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო და ევროპული ოპერაციების პროგრამების სამმართველოს უფროსს ენდი კოლანტონიოსა და ფედერალური საგამოძიებო ბიუროს განყოფილების სპეცაგენტს.

**"ორი ტერორისტი მოკლულია, მძევალი გათავისუფლებულია,"** – საჩვენებელი წვრთნის დასრულების შემდეგ ქართველი მეთაურისგან ამერიკელმა დამკვირვებლებმა ასეთი მოკლე მესიჯი მიიღეს.

გუშინ, გორგასლის ქუჩაზე, შსს-ს სპეცდანიშნულების სამმართველოში, გია გულუას სახელობის რაზმის წევრებმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და FBI-ს წარმომადგენლებს ამერიკის სამხედრო ბაზებში მიღებული საბრძოლო გამოცდილება წარმოუდგინეს. ამერიკელ სტუმრებს ადამიანის გამტაცებლების მიერ დაკავებული შენობის იერიში, მძევლის გათავისუფლება, ორთაბრძოლების ხელოვნება და მიზანში სროლა უჩვენეს.

შარშან, გაზაფხულზე, სპეცჯგუფის ძირითადმა ბირთვმა 2-კურსიანი სამხედრო მომზადება ბატონრუჟში, აშშ-ს სპეცდანიშნულების რაზმების საწვრთნელ ბაზაზე გაიარა. ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ქართველებს მაშინ უმაღლესი შეფასება მისცეს და ანტიტერორისტული სწავლების პროგრამის გაგრძელებასაც დაჰპირდნენ.



FBI-ს წარმომადგენელი საჩვენებელი წვრთნით კმაყოფილია

"ანტიტერორისტული ჩვენების" შემდეგ ამერიკელი ექსპერტები შს მინისტრს კობა ნარჩემაშვილს შეხვდნენ და გადაწყდა, რომ გია გულუას სახელობის სპეცრაზმის რამდენიმე ათეული წევრი უახლოეს მომავალში აშშ-ში გაემგზავრება და წვრთნას ამერიკის ფედერალური ბიუროს სპეციალურ საწვრთნელ ბაზებზე გაივლის.

# თურქეთის მოქალაქეს ქართველები ფულს სძალავდნენ

8 მარტს თურქეთის მოქალაქე ბულენტ ორუჯიმ ქართველ სამართალდამცველებს მიმართა – თუ ხვალ ფულს არ მივიტან, ოთხი პიროვნება მოკვლით მემუქრებაო.

როგორც ორუჯიმ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, 7 მარტს მას ქუჩაში ოთხი ახალგაზრდა დახვედრია. თავდამსხმელებს უცხოელი ჯერ უცემიათ, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით დამუქრებიან: ხვალ მეტრო "რუსთაველთან" ორი ათასი დოლარი მოგვიტანე, თორემ გიპოვით და მოგკლავთო.

დათქმულ დროს "რუსთაველის" მეტროსთან ვიდეო-კამერით შეიარაღებული, თბილისის შს მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო დეპარტამენტის კარწანისი-მთაწმინდის სამსახურის თანამშრომლებიც გამოცხადდნენ. რამდენიმე წუთში შეთანხმებულ ადგილზე ბულენტ ორუჯიც მივიდა და ორ გამომძალველს პოლიციის მიერ წინასწარ დანიშნული ორი ათასი დოლარი გადასცა.

სამართალდამცველებმა გამომძალველები სწორედ იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ ჯიბეში დოლარები ჩაილაგეს და მშვიდად აპირებდნენ მეტროში ჩასვლას.

დაკავებულები არიან თბილისში მცხოვრები ჯაბა სულაბერიძე და ავთანდილ ქიმეთიანი, გამომძალველთა ორ წევრზე - ვინმე ზაზასა და ნიკაზე კი გამოცხადებულია ძებნა.

თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის დავით კეკუას განცხადებით, დაკითხვისას სულაბერიძეს და ქიმეთიანს ულიარებიათ, რომ ისინი, ზაზასთან და ნიკასთან ერთად, სისტემატურად ხვდებოდნენ მოქალაქეებს და ფიზიკური ძალის გამოყენებით და მოკვლის მუქარით, თანხას და ძვირფასეულობას ართმევდნენ ხოლმე.

გამომძალველთაგან ამოღებული ორი ათასი დოლარი სამართალდამცველებმა პატრონს დაუბრუნეს, სულაბერიძის და ქიმეთიანის საქმე კი გამოსაძიებლად საგამოძიებო დეპარტამენტის კრწანისი-მთაწმინდის სამსახურს გადაეცა.

# ყოფილი პოლიციელი და მისი მეუღლე ნარკოტიკების რეალიზაციისთვის დააკავეს

თამარ კაციტაძე

გასული კვირა თბილისის პოლიციის სამმართველოს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა.

დედაქალაქის პოლიციის უფროსის ლევან მაისურაძის ინფორმაციით, გამოვლენილია ნარკოდანაშაულში მონაწილეთა სამკაციანი ჯგუფი, ჯგუფის წევრებს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ყველაზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდათ.

მაისურაძის ინფორმაციით, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 6 მარტს მეტრო "ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ნენე კალანდია, რომელსაც ჩხრეკისას 18,8 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი უპოვეს. დაკითხვისას კალანდიამ განმარტა, რომ იგი თავად არის ნარკოტიკების მომხმარებელი და ოპიუმს რუსთავში ვინმე ელმან მამედოვისგან ყიდულობდა ხოლმე. გამყიდველი და "კლიენტი" ოპიუმის გადასაცემად, თურმე, შეხვედრის ადგილს წინასწარ უთანხმებდნენ ერთმანეთს.

საგამოძიებო მოქმედებებიდან გამომდინარე, სამართალდამცველებმა ნენე კალანდიას საცხოვრებელი ბინაც გაჩხრიკეს, სადაც 19,6 გრ ოპიუმს მიაგნეს.

საეჭვოდ დიდი რაოდენობის ნარკოტიკების მქონე "მომხმარებლის" დაკავებიდან მეორე დღესვე, დედაქალაქის ნარკოდანაშაულთან მებრძოლმა პოლიციელებმა რუსთავში მცხოვრები ნარკორეალიზატორის მისამართიც დაადგინეს. მარნეულის რაიონის სოფელ მეორე ქასალას მცხოვრები ელმან მამედოვი ადრე საკუთრების დაცვის პოლიციის თანამშრომელი ყოფილა, მაგრამ სამი წლის წინ იგი პენსიაზე გასულა და, როგორც ჩანს, ნარკობიზნესით დასაქმდა.

ნარკოტიკების გამყიდველის ბინიდან სამართალდამცველებმა ნარკოტიკების მართლაც სოლიდური რაოდენობა ამოიღეს - 201,4 გრამი ოპიუმი. თუმცა, ნარკოტიკების უფრო დიდი პარტია – 552,4 გრ ოპიუმი, პოლიციამ მამედოვის მეუღლეს - საფრა მამედოვას აღმოუჩინა, რომელიც ნარკოტიკებს რეალიზაციას თბილისში უკეთებდა. იგი დედაქალაქში დააპატიმრეს.

ნენე კალანდიას, რომელიც ერთ ჩეკ ოპიუმს მამედოვებისგან 100 ლარად ყიდულობდა, სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის 260 მუხლის პირველი ნაწილით, ანუ ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა – შენახვისთვის, მოუწევს წარდგენა და, სავარაუდოდ, ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ცოლ-ქმარ მამედოვებს კი, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების რელიზაციის გამო, თორმეტ წლამდე პატიმრობა ელით.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გამოძიებით უკვე დადგენილია 84 ათასი დოლარის ღირებულების ნარკოტიკული ნივთიერების საქართველოში მოხვედრის გზაც, მაგრამ თბილისის პოლიციის უფროსი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებს, თუმცა გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში მამედოვების "ბიზნესთან" დაკავშირებულ სხვა პირებსაც დააკავებენ.



ნენე კალანდია



ჩამორთმეული ნარკოტიკი

## მოკლედ

**თბილისი.** შინაგანი ჯარების სარდალი გიორგი შერვაშიძე მხარს უჭერს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის ინიციატივას პანკისის ხეობის პატრულირებაში ლტოლვილი ჩეჩნებისა და იქაური ქისტების მონაწილეობის შესახებ. კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის განცხადებით, ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი 1 მარტს ხეობაში საპატრულო მანქანების დაცხრილვის ფაქტი გახდა. პანკისის ხეობაში პატრულირება მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობს.

გარდა ამისა, ხეობაში ჩვეულებრივად ტარდება ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები, რომლებშიც შს და უშიშროების სამინისტროები მონაწილეობენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** გუშინ,დღის ორ საათზე, გორის რაიონის სოფელ სვენეთში მკვლელობა მოხდა. 32 წლის მერაბ გოდელაშვილი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. გოდელაშვილს გულ-მკერდის არეში ორი ჭრილობა აღენიშნება. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევიდან რამდენიმე წუთში შეძლეს მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენა. იგი იმავე სოფელში მცხოვრები 26 წლის ოთარ ხაბელაშვილი აღმოჩნდა. ხაბელაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ამჟამად მისი ადგილსამყოფელის დასადგენად და დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიების ამ ეტაპზე, მკვლელობის მოტივად არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ხაბელაშვილსა და გოდელაშვილს შორის ურთიერთშელაპარაკება სახელდება.

მოკლულის ნათესავები და ოჯახის წევრები ოთარ ხაბელაშვილის დაკავებით და მისი ლინჩის წესით გასამართლებით იმუქრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობის აღსაკვეთად შიდა ქართლის რეგიონში საგანგებო პატრულირება დაიწყო. ღონისძიებები ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გუშინ საღამოდან მიმდინარეობს. სხვადასხვა მაკონტროლებელი უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული რამდენიმე მობილური ჯგუფის მიერ ცენტრალური ავტომაგისტრალების გარდა, შემოვლითი გზებიც კონტროლდება. პატრულირებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებიც ჩაერთვნენ, დღეიდან კი რეგიონში უშიშროების და ფინანსთა სამინისტროების ცენტრალური აპარატებიდან დამატებითი ძალების მობილიზება იგეგმება.

სამართალდამცველთა განცხადებით, აღნიშნული ღონისძიებები აღურიცხავი ტვირთების მოძრაობის აღმოფხვრის გარდა, კრიმინალური ვითარების მოწესრიგებას და, შესაბამისად, დამნაშავეთა დაკავებასაც ითვალისწინებს. გუშინ საღამოსვე სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობის კონტრაბანდული შაქრითა და ფქვილით დატვირთული სატვირთო ავტომანქანები დააკავეს, რომლებითაც ტვირთი ერგნეთიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გადაჰქონდათ. ერთობლივი პატრულირების პირველი ეტაპი ერთ თვეს გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდა იურისტთა 16-წევრიანი საბჭოს დაკომპლექტებისთვის სამინისტრომ ჩაატარა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც 31 ახალგაზრდა იურისტი მონაწილეობდა. აღნიშნული საბჭო იუსტიციის სამინისტროს ისტორიაში პირველად წლეულს, 10 იანვარს, იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის ბრძანებით შეიქმნა. საბჭოს თავმჯდომარის ვალერი ცერცვაძის განცხადებით, „საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, ახალგაზრდა იურისტთა ძალისხმევის გამოყენება საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო წინადადებების შემუშავების საქმეში". საბჭოს დებულების თანახმად, საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 35-წლამდე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და დასაქმებულია სამინისტროს სისტემაში ან სწავლობს ლიცენზირებული უმაღლესი დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის მე-4 ან მე-5 კურსზე. საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს შემადგენლობა ცვალებადი იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს გარდაბნის რაიონში მცხოვრები, 24 წლის გიორგი წიკლაური და მესტიის რაიონის სოფელ ლატალში მცხოვრები, 25 წლის გოჩა ჩამგელიანი. მათ მეტრო სადგურ „ავლაბართან" კერძო ტაქსის მძღოლს ნოდარ ფხაკაძეს დანის მუქარით მობილური ტელეფონი და 83 ლარი გასტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს რამდენიმეჯერ ნასამართლევი, 46 წლის ამირან ქუთათელაძე, რომელსაც ჩამოართვეს პისტოლეტი „ბრაუნინგი" ერთი მჭიდით და 3 ვაზნით. **მედია-ნიუსი**

# საბიუჯეტო რეფორმა - გრძელვადიანი პოლიტიკა

*საქართველოში სახელმწიფოსა და მისი ბიუჯეტისადმი - როგორც უპატრონოდ დარჩენილი "მეწველი ძროხისადმი" - დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, საერთო სახალხო მასშტაბისაა. არცაა გასაკვირი, რადგან საქართველოში მოსახლეობაც და ხელისუფლებაც "დამოუკიდებლობას უძლებს". თავმოუბმელობა (უფრო მართებულია ბედოვლათობა) და "ნიჭიერი" ზარმაცობა (უფრო მართებულია მუქთახორობა) საამაყოდ ქცეულა. საკუთარი ქვეყანა ასაშენებელ და მოსავლელ სახლად არ მიგვაჩნია, ისევ კომენდანტიანი საერთო საცხოვრებელი გვირჩევნია და ამიტომაც ვერ ვისწავლეთ თანამიმდევრულობა.*

*ზუსტად ამის შედეგია, რომ ჩვენთან მეწარმეობა თუ საშუალო ფენა ვერ ვითარდება და მის მიერ შესაქმნელი კერძო თუ საზოგადოებრივი დოვლათი არ ჩანს. მაგალითად, დღეს პარლამენტი კიდევ ერთ ახალ საგადასახადო კოდექსს განიხილავს და მხოლოდ ხვალ მოისმენს კანონპროექტს საბიუჯეტო სისტემის შესახებ. არადა, პირიქით უნდა ხდებოდეს. თუმცა, ალბათ, "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს". სავალუტო ფონდთან თუ პარიზის კლუბის ქვეყნებთან დაუსრულებელი მათხოვრობის მავნე ჩვევას რა ვუთხარით, თორემ ამის გაკეთებას ახლაც არ იჩქარებდა ჩვენი ხელისუფლება. მაგრამ საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონის აუცილებლად მიღება სავალუტო ფონდის მისიამ სულ მსხვილ-მსხვილი და შავ-შავი ასოებით ჩაწერა თავის მემორანდუმში. ისიც დაიბარეს: აპრილის შუამდე რამე ილონეთ, თორემ "რაც გინახავთ, ველარ ნახავთო".*

*სწორედ დღეს გთავაზობთ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ფულის განკარგვის სათავო კანონის პროექტის მიმოხილვას. მისი ერთ-ერთი ავტორი ამავე კანონის ორი წლის წინანდელი ვერსიის თანაავტორიც გახლავთ და ობიექტურობას არც იჩემებს. სწორედ ამიტომ "24 საათი" იწყებს საგაზეთო დისკუსიას ყოველი ჩვენგანისთვის უმთავრეს საკითხებზე, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრებასა და მის განვითარებას ეხება.*

ზურაბ ნოლაიძელი
ლაშა გოცირიძე

### საბიუჯეტო სისტემების კანონპროექტი

უკანასკნელი წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა დაგეგმილი ბიუჯეტის შეუსრულებლობის პრაქტიკამ დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, საბიუჯეტო და სახაზინო რეფორმა დააყენა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) საქართველოს და სპეციალურ საბიუჯეტო მისიებთან, საქართველოში მათ წარმომადგენლებთან და ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის ექსპერტებთან ერთად დაიწყო საბიუჯეტო სისტემების ახალ კანონმდებლობასა და ხაზინის რეფორმაზე მუშაობა.

ხაზინის რეფორმა დისკუსიის ცალკე საგანი იქნება. ამჯერად თქვენი ყურადღება გვსურს, გავამახვილოთ საბიუჯეტო სისტემების კანონპროექტზე.

სსფ-ს მისიებთან და ფინანსთა სამინისტროში მოწყობილი განხილვების შედეგად არჩევანი გაკეთდა საბიუჯეტო რეფორმის ევოლუციურ ვარიანტზე.

მაგალითად, ამ ეტაპზე ხარჯების ეფექტურობის შეფასების ინსტრუმენტების შემოღება და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა ნავარაუდევი არ არის. თუმცა, კანონპროექტი ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ მოგვიანებით საბიუჯეტო მართვის უფრო პროგრესული სისტემები იქნას შემოღებული.

თავიდან ნავარაუდევი იყო კანონპროექტისათვის ორგანული კანონის სტატუსის მინიჭება, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც, თავის მხრივ, არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და პარლამენტში ძალთა გადანაწილების პირობებში შეუსრულებელ ამოცანად შეფასდა.

**ბიუჯეტში სრულად უნდა იყოს ასახული ყველა შემოსავალი და ხარჯი**

**ყველა შემოსავალი უნდა ქმნიდეს ერთიან სახელმწიფო კონსოლიდირებულ ფონდს, რომელიც იმართება ხაზინის მიერ**

**ყველა შემოსავალი უნდა მიიმართოს საერთო ხარჯების დასაფარავად. არ შეიძლება შემოსავლის ხარჯზე მიბმა**

საბიუჯეტო სისტემის კანონპროექტი ეყრდნობა ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, ერთიანობის, უნივერსალურობისა და კონსოლიდირებულობის ძირითად პრინციპებს.

საქართველოში ამ პრინციპების დაცვა და მათი რეალიზაცია არის ნორმალური და სტაბილური საბიუჯეტო ცხოვრების დამკვიდრების საწინდარი. კანონპროექტის დებულებები სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება.

### ბიუჯეტის დაფარვის არეალი

ე.წ "სპეცსახსრები" ცენტრალური ბიუჯეტის მთელი შემოსავლების დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის სპეცსახსრები დაფინანსების ძირითადი წყაროა. ასეთ პირობებში წლიური ბიუჯეტი აღარ აღიქმება სახსრების განაწილების ინსტრუმენტად. ეს ხელს უშლის სახელმწიფო სახსრების ეფექტურ განაწილებას და სერიოზულად აფერხებს მთავრობის ფინანსური ოპერაციების ერთიანობას.

კანონპროექტით სპეცსახსრები ბიუჯეტის შემადგენელი გახდება. ახალი სისტემით, სპეცსახსრები ბიუჯეტის შემოსავლებში იქნება ასახული და თავს მოიყრის ხაზინის ერთიან ანგარიშზე. საბიუჯეტო ორგანიზაციები "საკუთარ სპეცსახსრებს" სრულად ან ნაწილობრივ დაიბრუნებენ წლიური ბიუჯეტის ჩვეულებრივი ასიგნებების გზით. ეს დამოკიდებული იქნება წლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესზე და საქართველოს პრეზიდენტის მიერ საბიუჯეტო წლისათვის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე.

სპეცსახსრების გაუქმების პარალელურად უნდა დაიწყოს საბიუჯეტო ორგანიზაციების რეფორმა. მრავალი მათგანის იურიდიული სტატუსი უნდა შეიცვალოს: საბიუჯეტო ორგანიზაციები უნდა გადაკეთდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და გადავიდნენ პროგრამულ დაფინანსებაზე, უნდა მიიღონ მეტი დამოუკიდებლობა შიდა საკითხების მართვაში და დაიტოვონ საკუთარი შემოსავლების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება; მაგალითად, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, კულტურის დაწესებულებებმა, საშუალო სკოლებმა და სხვ.

კანონპროექტით ასევე იკრძალება შემოსავლების კონკრეტული მიზნებისათვის ან დაწესებულებებისათვის განკარგვა, გარდა სახელმწიფო სპეციალური ფონდებისა და დონორების მიერ მიზნობრივად დაფინანსებული პროგრამებისა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ეფექტურად განაწილებისათვის უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფო სპეცფონდებზე საერთოდ უარის თქმა, როგორც ეს ჩვენს მიერ იყო შემოთავაზებული 2000 წლის აგვისტო-სექტემბერში 2001 წლის საბიუჯეტო პარამეტრებისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს, მაგრამ ნათელი იყო – ეს წინადადება ვერ მოიპოვებდა მხარდაჭერას.

დონორების მიერ დაფინანსებული მთელი რიგი გრანტები და ტექნიკური დახმარებები ჯერ კიდევ არ არის ასახული სახელმწიფო ბიუჯეტში. კანონპროექტით გათვალისწინებულია დონორების მიერ დაფინანსებული ყველა სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტში ასახვა.

### ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება

დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრების შეუსრულებლობას ისიც ემატება, რომ საბიუჯეტო წლის განმავლობაში პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ხშირად იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსზე (მაგალითად, ხშირი შესწორებები საგადასახადო კოდექსში), ხოლო ამ გადაწყვეტილებების შედეგები არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ფინანსთა სამინისტრო წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებებს ყოველთვის ამცირებდა, რათა ისინი შეეხამებინა ფაქტიური შემოსავლებისათვის. ამ პრაქტიკამ, დავალიანებების მუდმივ დაგროვებასთან ერთად, კიდევ უფრო შელახა წლიური ბიუჯეტის კანონის რეპუტაცია.

საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის თაობაზე იღებს არა პრეზიდენტი, მთავრობა ან პარლამენტი, არამედ ფინანსთა მინისტრი.

საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ნაკლოვანებაა მაკროეკონომიკური ხედვის სისუსტე და საშუალოვადიანი პერსპექტივის გაუთვლელობა.

ამიტომ კანონპროექტით გათვალისწინებულია ძირითადი მიმართულებებისა და **საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება**, რომელიც მოიცავს საშუალოვადიან საბიუჯეტო პროგნოზს საბიუჯეტო წლისა და მისი შემდგომი ერთი წლისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის, საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზს, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზს, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

კანონის განსახილველი პროექტით ნათლად განისაზღვრა საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა ფუნქციები, უფლებამოსილებები და მოვალეობები.

დოკუმენტის ახლანდელი ვერსიით, ფინანსთა სამინისტრო ხდება ძირითადი ფისკალური დაწესებულება და ბიუჯეტის მომზადებასა და საბიუჯეტო პროცესის წარმართვაზე მთავარი პასუხისმგებელი პირი. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრომ უნდა მოამზადოს ბიუჯეტის მიზნები, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური ჩარჩო და საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზი, მოამზადოს ბიუჯეტის ცირკულარი, შექმნას სახელმძღვანელოები და მითითებები ბიუჯეტის მომზადების შესახებ, დეტალურად განიხილოს ყველა საბიუჯეტო განაცხადი და შეადგინოს წლიური ბიუჯეტის პროექტი. ერთი წინადადებით რომ ჩამოვაყალიბოთ – ბიუჯეტის პროცედურები უნდა იყოს ერთიანი და ის უნდა მოექცეს ფინანსთა სამინისტროს სრული მეთვალყურეობის ქვეშ.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ კი უნდა მოამზადოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი ინდიკატური გეგმა, მოამზადოს ქვეყნის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმები, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის პრიორიტეტების განსაზღვრაში და უხელმძღვანელოს მიზნობრივი პროგრამების ტექნიკურ შეფასებას. შესაძლებელია, რომ მან ასევე საექსპერტო შეფასება მიაწოდოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური პარამეტრების შესახებ, რომლებსაც ეყრდნობა საშუალოვადიანი პროგნოზები და ძირითადი მიმართულებები.

კანონპროექტით დგინდება ახალი საბიუჯეტო პროცედურები და კალენდარი, რომელიც მოცემულია ცხრილში.

აუცილებელია მთავრობის პოლიტიკასა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება, ან უფრო მართებული იქნება ტერმინი - კავშირის დამყარება. ამ მიზნით, საბიუჯეტო პარამეტრების მომზადების დროს გათვალისწინებულია საბიუჯეტო პრიორიტეტების განხილვა და დამტკიცება პრეზიდენტის მიერ.

საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და პარამეტრების დამტკიცებისას პრეზიდენტი განიხილავს და ამტკიცებს სახსრების განაწილების "ჭერებს" (ზღვრულ მოცულობას) სექტორებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიხედვით.

დადგენილი ზღვრების ფარგლებში "საკუთარი" ბიუჯეტის ფორმირებაზე უკვე სამინისტროები არიან პასუხისმგებელნი.

დარგობრივ სამინისტროებსა და ფინანსთა სამინისტროს შორის წარმოშობილი დავები განიხილება და საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღება პრეზიდენტის მიერ. კანონპროექტით დადგენილია ამგვარი დავების მოგვარების დასრულების ვადები.

იქვე განსაზღვრულია პარლამენტისათვის წარსადგენი ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება. საბიუჯეტო კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

ამავე კანონპროექტით უქმდება სახელმწიფო სარეზერვო ფონდი.

ზემოთ აღწერილი მექანიზმი ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების მომზადებასაც დაედება საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან, მათ უნდა ისარგებლონ ერთიანი მიდგომით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი გეგმით, ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით.

კანონპროექტით დგინდება პრეზიდენტის ფონდის მოცულობა. იგი არ უნდა აღემატებოდეს საერთო ასიგნებების 2 პროცენტს და მისი სახსრები მხოლოდ საგანგებო მდგომარეობისა თუ პირობითი ვალდებულებების შესასრულებლად გამოიყენება.

### ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა

დაგეგმილი ბიუჯეტის ქრონიკული შეუსრულებლობა იწვევს საბიუჯეტო წლის განმავლობაში წლიური ბიუჯეტის ხშირ და მასშტაბურ ცვლილებებს.

არსებული კანონმდებლობით, ბიუჯეტის შემოსავლების 10 პროცენტამდე გარღვევის შემთხვევაში, ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს თავისი ბრძანებით განახორციელოს ბიუჯეტის სეკვესტრი. ასეთ დროს სეკვესტრი თანაბრად უნდა შეეხოს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას.

როცა დამტკიცებული ასიგნებების შეუსრულებლობა უფრო დიდ მასშტაბებს იღებს, პრეზიდენტი ბიუჯეტში შესწორებებს პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად.

ამ მექანიზმების გარდა, ფინანსთა სამინისტრო სახსრების ხარჯვას აწესრიგებს ხაზინაში თანხების შემოსვლის მიხედვით.

ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის არსებული პრაქტიკა საგანგებოა და არ ემყარება ბიუჯეტის შესრულების სისტემურ შესწავლას. ბიუჯეტში შესწორებების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ბოლო მომენტში და ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტის შეუსრულებლობაზე ნაჩქარევ რეაქციას, რაც არ ითვალისწინებს მთავრობის სახარჯო პრიორიტეტებს საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

წარმოდგენილი კანონპროექტით უქმდება სეკვესტრის ცნება. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს უფლება, წლის განმავლობაში შესწორებები შეიტანოს წლიურ ბიუჯეტში. ბიუჯეტში შესწორებების შეტანის ნორმალური გზა უნდა იყოს პარლამენტის მიერ ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება.

ამისათვის კანონპროექტით შემოდის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის ვალდებულება, რომელსაც პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს კვარტლის შედეგების მიხედვით.

ეკონომიკის განვითარების ტემპებმა, შემოსავლების ადმინისტრირების დონემ ან სხვა გარემოებებმა და გადაწყვეტილებებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ წლიური ბიუჯეტის დამტკიცებულ შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზზე. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, ყოველკვარტალურ ანგარიშთან ერთად, პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტში შესწორებების პროექტს.

ფისკალური დისციპლინის შენარჩუნებისთვის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას არ უნდა მოჰყვეს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. ეს არ ეხება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპის მკვეთრი ვარდნისა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული შეღავათიანი კრედიტების ოდენობის კორექტირების შემთხვევებს.

### ბიუჯეტის შესრულება

კანონპროექტის მიხედვით, ხაზინა ფინანსთა სამინისტროს ნაწილია და იგი აღრიცხავს ყველა შემოსულ თანხას. ხაზინის რეფორმის დეტალებზე ცალკე საუბარია აუცილებელი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე ძირითადი ელემენტი: ერთიანი სახაზინო ანგარიში, სადაც აღირიცხება ყველა სახელმწიფო შემოსულობა; ვალდებულებების სრული წინასწარი კონტროლი და წინასწარი გადახდების დაბრუნების სისტემის ხაზინის მიერ მართვა.

კანონპროექტის მიხედვით, "დაცული მუხლების" ცნება უქმდება. მის ნაცვლად შემოღებული იქნება ფულადი სახსრების მართვის ყოველთვიური და ყოველკვარტალური გეგმები.

საბიუჯეტო ორგანიზაციას უფლება ეძლევა, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოყოფილი ასიგნებების 10 პროცენტის ფარგლებში მოახდინოს ასიგნებების გადანაწილება.

საბიუჯეტო ორგანიზაცია პასუხისმგებელია ასიგნებების შესაბამისი ხარჯის გაწევაზე, მის განკარგულებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების, საკუთარი ბიუჯეტის მართვაზე, არსებული პროცედურებისა თუ წესების დაცვაზე და კონტროლზე. პრაქტიკულად მივიღებთ შედეგს - საბიუჯეტო ორგანიზაცია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე წარდგება გაწეული ხარჯებისა და შესრულებული საქმიანობის ანგარიშით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯია საბიუჯეტო ხარჯების ეფექტურობის შეფასების სისტემის დასანერგად.

კანონპროექტის მიხედვით, ბიუჯეტი მომზადდება და შესრულდება საკასო მეთოდით.

### სახელმწიფო ვალი და სესხება

ადგილობრივ ბიუჯეტებს უფლება ეძლევათ, სესხი აიღონ მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტისგან, ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტებისგან (მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით).

კანონპროექტის მიხედვით, წლიური ბიუჯეტის კანონით, სახელმწიფო ვალსა და სესხებზე დაწესდება ლიმიტები: ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად მიღებულ სესხებზე; სახელმწიფო ვალის (შიდა და საგარეო) მთლიან მოცულობაზე; წლის განმავლობაში მთავრობის მიერ გასაცემ სასესხო გარანტიებზე.

დაწესებული ლიმიტების ფარგლებში ფინანსთა სამინისტრო მართავს სახელმწიფო ვალთან და სესხებთან დაკავშირებულ საკითხებს და უზრუნველყოფს ამ ოპერაციების გამჭვირვალობას.

**სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა ისარგებლონ ერთიანი საფუძვლებით, თუმცა ბიუჯეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან**

**საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის**

**ბიუჯეტის პროცედურები უნდა იყოს ერთიანი და ის უნდა მოქცეს ფინანსთა სამინისტროს სრული მეთვალყურეობის ქვეშ**

**საბიუჯეტო კალენდრის პროექტი**

| | |
|---|---|
| 1 მარტი - 15 აპრილი | ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკთან, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან, სტატისტიკის დეპარტამენტთან და სხვა უწყებებთან კონსულტაციების შემდეგ ამზადებს ძირითადი მიმართულებების დოკუმენტს, რომელიც მოიცავს საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ ჩარჩოს, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზს, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისა და წლიური ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს; |
| 15 აპრილი - 30 აპრილი | ძირითადი მიმართულებების პროექტს განიხილავს საქართველოს პრეზიდენტი; |
| 1 მაისამდე | ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი პრეზიდენტის მიერ წარედგინება საქართველოს პარლამენტს |
| 1 მაისი - 31 მაისი | ძირითადი მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ პარლამენტის კომიტეტები და თავიანთ დასკვნებს წარუდგენენ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს |
| 1 ივნისამდე | პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი თავის დასკვნებს წარუდგენს პრეზიდენტს |
| 1 ივნისი - 15 ივნისი | ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ბიუჯეტის ცირკულარს, რომელიც მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების "ჭერებს" |
| 15 ივნისამდე | საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტის ცირკულარს. იმავე დღეს ბიუჯეტის ცირკულარი წარედგინება საბიუჯეტო ორგანიზაციებს |
| 15 ივნისი - 30 ივლისი | საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის ცირკულარის მიხედვით ამზადებენ საბიუჯეტო განაცხადებს და წარუდგენენ მათ ფინანსთა სამინისტროს |
| 1 აგვისტო - 31 აგვისტო | ფინანსთა სამინისტრო აზუსტებს მომავალი წლის მაკროპარამეტრებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და შეუთანხმებელ წინადადებებს განსახილველად წარუდგენს პრეზიდენტს |
| 15 სექტემბრამდე | პრეზიდენტი განიხილავს ფინანსთა სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის არსებულ უთანხმოებებს და იღებს გადაწყვეტილებებს |
| 15 სექტემბრამდე | ფინანსთა სამინისტრო ამზადებს წლიური ბიუჯეტის საბოლოო პროექტს და განსახილველად წარუდგენს პრეზიდენტს |
| 1 ოქტომბრამდე | პრეზიდენტი წლიური ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს პარლამენტს |
| 1 ოქტომბერი - 31 დეკემბერი | პარლამენტი განიხილავს და ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს |
| 1 მაისამდე | პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და კონტროლის პალატის შესაბამის დასკვნას |
| 15 ივნისამდე | პარლამენტი ამტკიცებს ან არ ამტკიცებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს |

### აღრიცხვა, აუდიტი და ანგარიშგება

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო გამოცემს მითითებებს ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით.

კანონპროექტით, შიდა აუდიტის ინსტიტუტის შემოღებაა შემოთავაზებული. ფინანსთა სამინისტროს მითითებების საფუძველზე, მხარჯავ დაწესებულებებში იმოქმედებს შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესში დაშვებული შეცდომებისა და გადახრების გამოვლენას, დაწესებულების ხელმძღვანელის ინფორმირებასა და, შესაბამისად, გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულ აღმოფხვრას.

ბიუჯეტის ანგარიშის მომზადება ამჟამად ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს მიერ. ანგარიში შემდგომში წარედგინება პრეზიდენტს პარლამენტში გადასაგზავნად. შესაბამისად, დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით, ბიუჯეტის ანგარიშის ავტორად ითვლება მხოლოდ ფინანსთა სამინისტრო, რაც არ არის მართებული.

საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინონ საკუთარი ბიუჯეტის ანგარიშები, რომელთა საფუძველზეც, ფინანსთა სამინისტრო მოამზადებს ერთიან, კონსოლიდირებულ ანგარიშს. კანონპროექტით, მკაფიოდ არის განსაზღვრული წლიური ანგარიშის შინაარსი და მისი შემადგენელი ნაწილები.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ბიუჯეტის ანგარიშის შესახებ თავის დასკვნას კონტროლის პალატა ამზადებს ამ უკანასკნელის პარლამენტში წარდგენის შემდეგ, 15 დღის ვადაში. პრაქტიკულად გამოდის, რომ კონტროლის პალატის დასკვნა წარედგინება მხოლოდ საქართველოს პარლამენტს.

კანონპროექტით შემოთავაზებულია, რომ ბიუჯეტის ანგარიშს პარლამენტში წარდგენამდე შეამოწმებს კონტროლის პალატა და თავის დასკვნას წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. ბიუჯეტის ანგარიშს, კონტროლის პალატის დასკვნასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. ამასთან, კონტროლის პალატა შეამოწმებს ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშებსაც



ინტერვიუ

# კომუნისტური ნოსტალგია - შიში და აგრესია



ალექსანდრ პროხანოვი



გენადი ზიუგანოვი, ვლადიმირ პუტინი და ევგენი პრიმაკოვი



სადამ ჰუსეინი

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

*გაზეთ "ზავტრას" რედაქცია რუსეთის მწერალთა კავშირის შენობაში მდებარეობს. რედაქტორი საკუთარ გაზეთს რუსეთის პატრიოტთა ტრიბუნას უწოდებს. "ზავტრას" დღეს ოფიციალური ხელისუფლება დევნის და მას, მეტროებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში, თავდადებული კომუნისტი ქალბატონები ნახევრადლეგალურად ყიდიან.*

*თავისუფალ გაყიდვაში კი "ზავტრა" მხოლოდ რუსეთის პარლამენტშია.*

*კრემლი ამ გაზეთის დახურვას აპირებს ახმედ ზაკაევთან ინტერვიუსა და ჩეჩნეთის ომზე ობიექტური წერილების გამო. მაგრამ ბოლო დროს თითქოს "გამოანათა" - პროხანოვის ინტერვიუ სადამ ჰუსეინთან -* ***"ლაპარაკობს სადამი"****, რომელიც ევროპის წამყვანმა გაზეთებმა უკვე გადაბეჭდეს, კრემლს მოსწონებია.*

*ამ ინტერვიუში ერაყელი დიქტატორი საქართველოს პრეზიდენტზე არც მთლად სასიამოვნო განცხადებებს აკეთებს. გაზეთის მთავარ რედაქტორთან - ალექსანდრ პროხანოვთან ჩვენი საუბრის მთავარი თემა იყო რუსი კომუნისტების ამასწინანდელი მოგზაურობა ბაღდადში და ჰუსეინთან შეხვედრა.*

*საუბრის დროს გაირკვა, რომ პროხანოვი, თურმე, თბილისში დაბადებულა. მის რუსულ პასპორტში შავით თეთრზე წერია: დაბადების წელი - 1938, დაბადების ადგილი - ქალაქი თბილისი. ჩემი იქ ყოფნის დროს რედაქტორის კაბინეტში შემოვიდა ალექსანდრ პროხანოვის ძველი მეგობარი ალბერტ მაკაშოვი, 1986-1988 წლებში თბილისის გარნიზონის უფროსი.*

***"თბილისში ყველა "პარადი" ჩემი მეთაურობით ტარდებოდა და მე, მაკაშოვი, კნიაზ მაყაშვილის ქუჩიდან პირდაპირ ლენინის მოედანზე ვეშვებოდი, ქართველი ხალხი მიყვარდა და მიყვარს, განსაკუთრებით ლამაზი ქალები, ვისაც იუმორის გრძნობა არ ღალატობს",*** *- განაცხადა მაკაშოვმა.*

*პროხანოვმა საუბარი რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის სამინისტროდან მიღებული გამაფრთხილებელი წერილით დაიწყო.*

- ბატონი იასტრჟემბსკი მაფრთხილებს ჩემი მეგობრის - ახმედ ზაკაევის ზედმეტი სიყვარულის გამო, ჩეჩენი ხალხისადმი ზედმეტი სიმპათიების გამო. რა თქმა უნდა, ჩემს გაზეთს კრემლი დახურავს. პუტინი ხომ უდიდესი დემოკრატია, რუსეთში ხომ დღეს დემოკრატია ზეიმობს. 18 მარტს ჩვენ პიკეტს მოვაწყობთ სამინისტროს შენობასთან. "ზავტრას" მაინც დახურავენ, მაგრამ ჩვენ ასე იოლად არ დავნებდებით!

**- როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით ერაყიდან, რითი ცხოვრობენ დღეს ერაყელები, რას ამბობს უბრალო ხალხი?**

- ერაყში სამი დღე დავყავით.. იქ დღეს ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. სანგრებს მართლა თხრიან, მაგრამ ელექტრონულ ომს სანგრებში ვერ დაემალები. მე ველაპარაკე ხალხს - პოლიტიკოსებს, ტაქსისტებს. ისინი წყევლიან ამერიკელებს. იგივეს ამბობდნენ ბელგრადშიც, როცა ჩემი იქ ყოფნისას, ცოცხალი ფარის სახით, ბელგრადის ხიდზე ვიდექით რუსული დელეგაციის წევრები და ვწყევლიდით ამერიკულ ფრთოსან რაკეტებს, რომლებიც აღდგომის დღეებში ქალაქს ბომბავდნენ. ახლაც იმიტომ გავემგზავრეთ ერაყში, რომ საკუთარი თვალით დავრწმუნებულიყავით, რა სისხლისმსმელები არიან ამერიკელები.

**- სადამის მონოლოგი პირადად თქვენ ჩაიწერეთ?**

- ჰუსეინთან შეხვედრა დახურული იყო. ამიტომაც მასთან შევიდნენ გენადი ზიუგანოვი, აგრეთვე - რუსი დეპუტატები "ედინაია როსიიდან": ხრამოვი, ბურდუკოვი და ჩემი მეგობარი, რუსეთ-არაბთა მეგობრობის საზოგადოების თავკაცი ნატუევი, რომელმაც ჰუსეინის თანხმობით მისი მონოლოგი ჩაიწერა. მასალა "ზავტრადან" მეორე დღესვე გადაბეჭდა ლონდონის არაბულმა გაზეთმა და მან მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია, რადგანაც სადამი იშვიათად იძლევა ექსკლუზიურ ინტერვიუს. ეს მასალა მტკივნეულად მიიღო ევგენი პრიმაკოვმა, რადაგანაც სადამი პრიმაკოვზე საუბრობს, როგორც ფარულ აგენტზე, რომელმაც სადამი 1991-ში მოატყუა კომპრომისული სენტენციებით, როცა მისი ვიზიტის შემდეგ ამერიკელებმა ერაყი დაბომბეს. ახალაც პრიმაკოვმა იგივე როლი ითამაშა ამ მოჩვენებით არაბულ საქმეში, ერაყის დაბომბვამდე გაემგზავრა ისე, როგორც ჩერნომირდინი წავიდა მილოშევიჩთან და სთხოვდა, არ დაეწყო სახმელეთო ოპერაციები ნატო-ს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ, არწმუნებდა, რომ მას რუსეთი არ დათმობდა, არ ჩააბარებდა. მილოშევიჩს ეს ბოლომდე სჯეროდა, ამიტომაც ბოლომდე ბრძოლას აპირებდა. ჩვენ კი იგი გავყიდეთ. იგივე ფუნქციას ასრულებდა ამჟამად ერაყში პრიმაკოვიც. მისი ვიზიტის შემდეგ სადამმა გაანადგურა 5 რაკეტა და ახლა, მადლობა ღმერთს, შეჩერდა ეს პროცესი. რაც შეეხება ფრაზას საქართველოს პრეზიდენტზე, ის სიტყვასიტყვით ასე იყო ნათქვამი და დარწმუნებული ვარ, საქართველოს პრეზიდენტს ეს არ ესიამოვნა (სადამი ამბობს: "ბოლო დროს ერაყის წინააღმდეგ მკვეთრი განცხადებებით გამოვიდა ჩეჩნების კიდევ ერთი ხელშემწყობი - ედუარდ შევარდნაძე. ისევე, როგორც 1990 წელს, ამერიკელები მას ტროას ცხენის როლში იყენებენ. ვფიქრობ, რომ იგი იმსახურებს იმ სიძულვილს, რომლითაც იგი სარგებლობს საქართველოში, ქართველ ხალხში").

**- რას მიაღწიეს რუსმა კომუნისტებმა ერაყში ვიზიტით?**

- ჩვენ ომს ვერ შევაჩერებთ. საგულისხმო ის იყო, რომ ერაყიდან დაბრუნების შემდეგ ზიუგანოვი ორი საათი პუტინს ეჯდა კაბინეტში. მართალია, რუსეთის პრეზიდენტმა დღეს თავისი ბედი ამერიკელებს დაუკავშირა, მაგრამ არც ევროპელების თვალში სურს გაშავება, არც რუსეთის საზოგადოებრიობის თვალში სურს აბსოლუტურ ამერიკანისტად გამოჩენა. რუსების ვეტოს დღეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პუტინისათვის. ზიუგანოვის ვიზიტი კი იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის მემარცხენე ძალები არაბების გვერდით არიან. ზიუგანოვმა სადამს უთხრა, რომ კომუნისტები გამოიყენებენ თავიანთ ძალას და გავლენას პრეზიდენტზე.

პუტინმა ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. მას არ აქვს მსოფლიოზე გავლენის რესურსი, მას არ ჰყავს დიდი არმია, დიდი დაზვერვა, ვერ უხდის ფულს საკუთარ აგენტებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებში დასამკვიდრებლად. არ აქვს გიგანტური ეკონომიკა, რაც სტალინმა სსრკ-ს დაუტოვა. პუტინს არ აქვს არაფერი, საკუთარი საწყალი და მშიშარა გარემოცვის გარდა, რომელიც ლიბერალიზმის შირმით მანიპულირებს. არავინ არ ჰყავს იმ ოლიგარქთა შვიდკაციანი ჯგუფის გარდა, რომელმაც პუტინი ხელისუფლებაში მოიყვანა და რომელიც დღეს დასავლეთთან ტოტალური დაკავშირების მომხრეა. დღეს პუტინი ოდესღაც დიდი და გამქრალი საბჭოთა ძლიერების სუსტი აჩრდილია, რეფლექსია.

**- ხელისუფლება თანდათან იმარჯვებს დამოუკიდებელ მას-მედიაზე, რა იქნება შემდეგში?**

- ახლა ჩემს მაგიდაზე დევს ამ დილით მოსული წერილი რუსეთის ბეჭდვის სამინისტროდან ჩვენი გაზეთის დახურვაზე. ეს კარგია: რუსეთში დემოკრატია ზეიმობს, მე მიხარია, რომ რუსეთში დასრულდა სიტყვის თავისუფლება, რუსული მოსახლეობაც უნდა ასე მოვახრჩოთ, როგორც თავისუფალი პრესა. მთელი რუსეთი გადავცეთ ჩინეთს, გერმანიას. რატომ უნდა დავუთმოთ მხოლოდ საქართველო თურქეთს? ფეშქაშად მოსკოვიც უნდა დავუმატოთ. და ეს ასეც იქნება. პუტინი დღეს ბოლომდე ასრულებს ადოლფ ჰიტლერის "ბარბაროსას გეგმას". სსრკ-ს, კომუნიზმისა და საბჭოთა ხალხის განადგურების გეგმას. მე რომ დღეს ჰიტლერი ვიყო, პუტინს რკინის ჯვრით დავაჯილდოებდი - რუსეთზე გამარჯვებისათვის.

**- რა მოტივით ხურავენ თქვენს გაზეთს?**

- როცა მოსკოვის ცენტრში ცეცხლი ეკიდა რუსეთის პარლამენტს, ბევრი ზეიმობდა, მათ შორის, შევარდნაძეც. მე კი მხურავენ იმიტომ, რომ დღეს კავკასიას ეკიდება ცეცხლი. ჩეჩნეთი გადაწვეს, მხურავენ იმიტომ, რომ ჩემს მეგობარს, ნამდვილ ინტელიგენტს, ახმედ ზაკაევს დავუთმე ტრიბუნა, მხურავენ მხოლოდ იმის გამო, რომ მე, რუს პატრიოტს მაინტერესებს, რა აწუხებს ჩეჩენ ხალხს და რა სურს დღეს ჩეჩნურ წინააღმდეგობას, რუსეთთან ურთიერთობის როგორი ფორმულა აძლევს ხელს...

**- შეიძლება ხურავენ სტალინურ "ზავტრას", სამაგიეროდ, ბოლო დროს სტალინის სახელი რუსეთში უკვდავყვეს. ნახეთ, რამდენი ტელეგადაცემა, მრგვალი მაგიდა, გამოფენა მოეწყო რუსეთში, მოსკოვის პრესტიჟულ ადგილებში...**

- არ დაიჯეროთ! სტალინის სახელის აღდგენა - ეს მხოლოდ იმიტაციაა. საბჭოთა ჰიმნის მელოდიის ქვეშ ყველა ტელეარხი სტალინზე ლაპარკობს, რუსი ხალხი კი ამ ჰიმნის თანხლებით ყოველწლიურად ერთი მილიონით მცირდება. ვოლგოგრადს პუტინი აუცილებლად დაარქმევს სტალინგრადს - ოღონდ ახლა არა, არჩევნების წინ! ისმის საბჭოთა ჰიმნი, რუსეთში ხელისუფლება კი ოლიგარქების ხელშია: ავენების, მილერების, ხოდროკოვსების, ფრიდმანების, აბრამოვიჩების. რუსულ სისხლზე ოლიგარქთა ხელით ნაშოვნი ფული ოფშორებში მიდის. რუს მასწავლებელს კი პურის ფული ენატრება. რუსეთში რუსები აღარ არიან. რუსეთში ჰიტლერი მოვიდა და სსრკ, კომპარტია მოსპო. ახლა რუს ხალხს ანადგურებს. ასე რომ, დიდი მადლობა ედუარდ შევარდნაძეს, მიხაილ გორბაჩოვსა და ალექსანდრ იაკოვლევს, მათ ეს ბრწყინვაელედ გამოუვიდათ.

**- კი მაგრამ, როგორ გავიგოთ, ოლიგარქებს აგინებთ და ბორის ბერეზოვსიკსთან მაინც მეგობრობთ ?**

- დიახ, მე ვთანამშრომლობ ბერეზოვსკისთან, როგორც პოლიტიკოსთან, რადგანაც იგი ძლიერი პოლიტიკოსია. როგორ არ უნდა მომწონდეს, როცა მან ვლადიმირ პუტინი შექმნა.

**- თქვენ თბილისში დაიბადეთ...**

- არ გჯერათ? აი, ნახეთ ჩემი პასპორტი... "პესკებზე" ჩემს დიდ ბაბუას სახლები ჰქონდა. რუსეთ-თურქეთის ომში მეორე ჩემი დიდი ბაბუა იარაღს ჭედდა, ტიფლისში დაიბადა დედაჩემი, ჩემი ნათესავები ქართული აქცენტით ლაპარაკობდნენ. დღეს ვმეგობრობ სტალინის ოჯახთან, თუმცა, ამერიკაში ჯუღაშვილებს ვერ გავყვები. ბათუმში არც ერთხელ არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ იქ არის ჩემი ბაბუის ხელით აშენებული ელექტროსადგური. თბილისში დიდი ხნის წინათ ვიყავი. მახსოვს, ერთმა ბრმამ მთელი თბილისი დამატარა. ღამე იყო და ის ქუჩა და ის ორსართულიანი სახლი მოვძებნეთ, სადაც დავიბადე. დავჯექი სახლის წინ, ტროტუარზე და ბევრი ვიტირე. თავბრუ მეხვეოდა ღვინით და სიხარულით.

მე მწერალი ვარ და ახლა ერთი რამე მინდა გავიგო: შევარდნაძის ქცევის მოტივები. რატომ არ უყვარდა მას ეს ქვეყანა, ეს სისტემა, რომელმაც იგი პიროვნებად აქცია? რატომ არ უყვარს საქართველო, რომელიც სსრკ-ის დროს ყველაზე ელიტარული, ყველაზე მდიდარი და ამაყი რესპუბლიკა იყო? ქართველები კი ლამაზები, ყველაზე მდიდრები და ამაღლებულები...საქართველო ხომ ინტელიგენტობის ნამდვილი კვინტესენცია იყო? აი, ასეთი ქვეყანა დავკარგეთ.










„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

# პორტრეტები და ორი ნატურმორტი

## დღეს გია გუგუშვილის გამოფენა იხსნება



ანა კორძაია-სამადაშვილი

გარდა იმისა, რომ დღეს გალერეა "უნივერსში" თავის პერსონალურ გამოფენას ხსნის, გია გუგუშვილს დაბადების დღეცა აქვს. ასე, გამოფენებით, თავისი მოვლინების თარიღი უკვე ოთხჯერ აქვს აღნიშნული: ერთხელ – "TMS გალერეაში" და სამჯერ – გალერეა "ორიენტში". ახლა ჯერი "უნივერსზე" მიდგა.

ჩავთვალე, რომ დარბაზში მდგომი დიდი თეთრი მაგიდა სადღესასწაულო სუფრისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ იუბილარმა არ გაგვახარა, განაცხადა, ამ კუთხით გადახდას საერთოდ არ ვაპირებო. "აბა, ზედ რამე უნდა დააწყო?" "შეიძლება. ვთქვათ, ჩამოსხდებით და ფეხებს შემოალაგებთ". იმედია, აქამდე არ მივა საქმე.

დარბაზში გიას მიერ უკანასკნელი ორი თვის განმავლობში შექმნილ ნახატებს იხილავთ – პორტრეტებს და ნატურმორტებს. ნატურმორტი სულ ორია, ძალიან საინტერესო. მათთვის, ვისაც გიას ნამუშევრები მოეწონება, მაგრამ მათ შეძენაზე ხელი არ მიუწვდება, გია სასიამოვნო სიურპრიზს ამზადებს: შეგიძლიათ, თქვენთვის სასურველი ნახატის შესანიშნავი ხარისხის რეპროდუქცია შეუკვეთოთ – მათი ნიმუშები დარბაზში ჰკიდია. ეს სიამოვნება, ცხადია, შეუდარებლად იაფი დაჯდება, და პირადად მეც ამის იმედად ვარ.

"მე ეს ქალი მომწონს," გამიზიარა გიამ, "გაფარჩხული თმებით. ოფოფივით ქალი". მართლაც, კარგი ქალია, მას დარბაზში შესვლისთანავე შენიშნავთ. საერთოდ, ეს კედელი ყველაზე შთამბეჭდავია, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნამუშევრების დათვალიერებისას მხატვარი კომენტარებს აკეთებდა: "ეს მე ვარ. მგავს?" უნდა გამოვტყდე, რომ არა. დანტე კი ვიცანი. ხოლო ის კაცი, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა, სიყვარულით გაბრუებული ყოფილა.

ეს პირველი გამოფენაა, რომელზეც გია გუგუშვილის ნამუშევრები "ცივილურ" ჩარჩოებშია ჩასმული. ამ საქმისთვის თანხა სპონსორმა, Caucasus Glass & Aluminyum & PVC-მ გადასცა. გია დიდად მადლობელია. მართალია, ასეთ ჩარჩოებს მიუჩვეველმა შეშფოთებით გვკითხა, ნამუშევრებს სნობური იერი ხომ არ დაჰკრავსო, მაგრამ ნამდვილად არაფერი აქვს სადარდებელი, ეს არ ემუქრება.

როცა ჯერი ფოტოსურათის გადაღებაზე მიდგა, გიამ თავისი არჩეული რაკურსი შემოგვთავაზა: "მე პატარა გამოვჩნდები და ნამუშევრები დიდი გამოჩნდებაო."

გილოცავთ დაბადების დღეს! ისე, უკვე სამხიარულოც კია, ამ ხნის კაცს გია გუგუშვილ-უმცროსად რომ გიცნობენ...

# იყიდება რემბრანდტი

კერძო კოლექციონერის ეჭვი, რომ სამი საუკუნის წინ შექმნილი რუსი არისტოკრატის პორტრეტის ქვეშ რემბრანდტის ავტოპორტრეტი იმალება, გამართლდა. ნიდერლანდელი ოსტატის ნამუშევარი ამჟამად 5 მილიონ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული და ივლისში სოტბის აუქციონზე გაიყიდება.

XX საუკუნის 60-იან წლებში გრძელთმიანი, ხავერდის ქუდიანი არისტოკრატის პორტრეტი ერთმა ფრანგმა კოლექციონერმა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ერთსულოვნად უმტკიცებდნენ - ეს რემბრანტის სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევარიაო, ის თავიდანვე დარწმუნებული იყო იმაში, რაც ახლახანს დადასტურდა: ტილო თავად რემბრანდტს ეკუთვნოდა.

კოლექციონერის თხოვნით, "რემბრანდტის მემკვიდრეობის კვლევის პროექტში" მონაწილე მეცნიერები ტილოს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდნენ, საღებავის ზედა ფენებს იღებდნენ და რენტგენითა და ულტრაწითელი სხივებით სწავლობდნენ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსი არისტოკრატის პორტრეტი თავად რემბრანდტის ავტოპორტრეტზეა "გადახატული". ტილო 1634 წელს შეიქმნა, როცა მხატვარი 28 წლისა იყო. მაგრამ შემდეგ მისმა მოსწავლემ, ჰოვერტ ფლინკმა, მას მხრებზე დაყრილი თმა და ქუდი მიახატა, და ამგვარად, სულ სხვა ადამიანის პორტრეტი მიიღო.

სპეციალისტები ამ აღმოჩენას უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. "რემბრანდტის მემკვიდრეობის კვლევის პროექტში" ჩაბმული პროფესორი ერნსტ ვან დე ვეტერინგი ამტკიცებს, რომ ოსტატის ავტოპორტრეტების დიდი რაოდენობა – სადღეისოდ 80-მდე ასეთი ტილოა ცნობილი – მისი ავადმყოფური თვითანალიზით კი არა, კომერციული მიზნებით იყო განპირობებული: ამსტერდამში, სახელოსნოში მისული ხალხი სიამოვნებით ყიდულობდა მხატვრის პორტრეტებს – სამახსოვროდ.

ტილოს აუქციონზე 10 ივლისს გაიტანენ. ეს ერთ-ერთი სამ ავტოპორტრეტთაგანია, რომლებიც კერძო კოლექციებშია დაცული. ამჟამად შედევრი ამსტერდამში, "რემბრანდტის სახლშია" გამოფენილი.

კალენდარი

# 12 მარტი



ცნობილი რეჟისორის, ვინსენტე მინელისა და ჰოლივუდის ვარსკვლავის, ჯუდი ჰარლანდის ქალიშვილი, ლაიზა, სამი წლისა იყო, როცა კინოში პირველად გადაიღეს. 10 წლის ასაკში გოგონა მაყურებლის წინაშე დედამისის გამოსვლების დროს ცეკვავდა.

მშობლების განქორწინების შემდეგ ლაიზას ორი სახლი ჰქონდა, ხან დედასთან იყო, ხან – მამასთან, და უამრავი სკოლა გამოიცვალა. დედასთან ერთად ის ხშირად დადიოდა ღამის კლუბებში და თეატრებში, სანამ ჯუდი ჰოლივუდიდან ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის გამო არ დაითხოვეს. "დედისგან ენერგიის ულევი მარაგი მივიღე, მამისგან – ოცნების ნიჭი," წერდა მინელი.

18 წლის ლაიზა ბროდვეიზე მღეროდა, და მაშინ უკვე ნათელი იყო, რომ დედასაც სჯობდა და მამასაც.

"სტერილურ გუგულში" შესრულებული პირველი სერიოზული როლისთვის ლაიზა 1969 წელს "ოსკარზე" წარადგინეს, მაგრამ მსოფლიო აღიარება მას მხოლოდ 1972 წელს ეწვია.

ბობ ფოსის ნოვატორულ მიუზიკლში, "კაბარეში", ლაიზა მინელის მიერ შექმნილმა სახემ 70-ანი წლების კინემატოგრაფში არნახული გამოძახილი ჰპოვა. გერმანული კაბარეს მომღერალი, ჰედონისტი სალი ბოუზი, ერთსა და იმავე დროს უმანკო, სიცოცხლის მოყვარული, ნაზი და მოუხეშავი არსებაა. სიმღერები ამ ფილმიდან, რომელმაც რვა ოსკარი დაიმსახურა – "ცხოვრება კაბარეა", "ფული, ფული..." – ჯაზური და პოპ-მუსიკის "ოქროს ფონდში" შევიდა.

"კაბარეს" წარმატება ლაიზა მინელის მონაწილეობით გადაღებულმა ვერცერთმა ფილმმა ვერ დაჩრდილა, 1977 წელს ეკრანებზე გამოსულმა სკორსეზეს "ნიუ-იორკმაც" კი.

მსახიობისა და მომღერლის პირად ცხოვრებას ბედნიერს ძნელად ვუწოდებთ: სამი ქმარი, უამრავი საყვარელი... დიდი სურვილის მიუხედავად, შვილი არ ჰყოლია.

მიუხედავად იმისა, რომ დედის მსგავსად, ლაიზაც ალკოჰოლიზმისკენაა მიდრეკილი და არაერთი ფსიქოლოგიური სირთულე ჰქონდა, მისი საკონცერტო მოღვაწეობა ერთობ წარმატებული იყო.

უკანასკნელ ალბომში, "ნაზად" (1996), ლაიზა მინელი რომანტიულ ბალადებს ასრულებს.

ამერიკელი მომღერალი და მსახიობი, **ლაიზა მინელი**, დაიბადა 1946 წლის 12 მარტს.

# მეორედ თბილისში

## ყველაზე სექსუალური ტრომბონისტი დენის როლინსი

ვერა ნეფარიძე



დენის როლინსი მეუღლესთან ერთად

ყავა, ფანკი და ტრომბონი, - დაახლოებით ასეთია დღევანდელი კონცერტის კონცეფცია, რომელიც "აჭარა მიუზიკ ჰოლის" აუდიტორიას ელის. ამ კლუბში დღეს "ისთერნ პრომოუშენი" "ნესკაფესთან" ერთად თავის მეორე პროექტს ახორციელებს. ერევნიდან დაბრუნებული დენის როლინსი "ნესკაფე დენს ფართის" თბილისელებსაც შესთავაზებს. ინგლისელი ტრომბონისტი საკუთარ ჯგუფთან, Badbone & Co-სთან ერთად დღეს თბილისში მეორე კონცერტს გამართავს.

როლინსის პირველი კონცერტის წყალობით, თბილისელებისთვის ტრომბონი აღარ არის უცხო და მეორეხარისხოვანი ინსტრუმენტი. 4 ივლისს კლუბ "ჯოიში" გამართულ კონცერტზე ეს ინსტრუმენტი ბევრმა შეიყვარა, იმის მიუხედავად, თუ რომელი მუსიკალური მიმდინარეობის მოყვარული იყო; სხვათა შორის, მათაც, ვისთვისაც ჯაზი არააქტუალური და მომაბეზრებელი მუსიკა იყო მანამდე. "რაც უნდა მოხდეს, დარწმუნებული ვარ დღევანდელი შოუ ძალიან კარგი იქნება. არ გავჩერდები, ვიდრე ხალხს არ ვაცეკვებ", - თქვა კონცერტის დაწყებამდე მუსიკოსმა და დაპირება შეასრულა. მოკლედ, შარშან ზაფხულში გამართული დენის როლინსის კონცერტი წინა ჯაზ-ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი დღე იყო.

"როლინსმა კარგად იცის, როგორ გადასცეს მსმენელს ფანკი", - ასე ახასიათებენ ევროპელი მუსიკალური ექსპერტები ინგლისელ ტრომბონისტს. ამიტომაცაა, რომ დენის როლინსი, ძირითადად, ახალგაზრდობის საყვარელი შემსრულებელია. US3-თან, Cypress Hill-თან და Blur-თან თანამშრომლობამ როლინსს სახელი გაუთქვა თანამედროვე მუსიკის თაყვანისმცემლებში. მუსიკოსმა პირველ წარმატებებს ბრიტანეთში მაშინ მიაღწია, როდესაც Blur-თან ერთად მონაწილეობა მიიღო ბრიტანულ ტურნეში.

ცნობილი ინგლისელი მუსიკოსი, ტრომბონისტი, კომპოზიტორი, პროდიუსერი და არანჟირების ოსტატი დენის როლინსი 1964 წელს დაიბადა ბირმინგემში. მისი მშობლები იამაიკელები იყვნენ. ამიტომ, როგორც როლინსი ამბობს, გასაკვირი არ არის, რომ მის მუსიკაში რეგეის გავლენაც იგრძნობა. დენისის უფროსი ძმაც ეროლ როლინსიც მუსიკოსი იყო, ტრომბონზე უკრავდა. დენისის მუსიკით დაინტერესებაზე, ცხადია, გარკვეული როლი სწორედ უფროსი ძმის გატაცებამ შეასრულა. "ფანკს ვუსმენდი პატარაობიდანვე, ჯერ ჯეიმს ბრაუნს, მერე სლაის და "ფემილი სტოუნს". დღეს ვუკრავ იმას, რასაც ვუსმენდი ბავშვობიდან მოყოლებული მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში", - ამბობს დენის როლინსი.

დენის როლინსი 14 წლიდან უკრავს. 1978 წელს იგი დონკასტერის ჯაზის ახალგაზრდული ასოციაციის წევრი გახდა; ამავე პერიოდში მუსიკოსმა უამრავი წინადადება მიიღო სხვადასხვა მუსიკალურ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. ჯერ ეროვნულ ახალგაზრდულ ჯაზ-ორკესტრში უკრავდა, მერე ლეგენდარულ ჯაზ-ბენდ Jazz Warriors-ში მიიწვიეს. 1995 წელს ჰყავდა საკუთარი ბენდი Dee Roe, რომელთან ერთადაც საკმაოდ წარმატებული მუსიკალური კარიერა ჰქონდა. 2000 წლის გაზაფხულზე ბარბიქანში როლინსმა შექმნა ექვსკაციანი ბენდი "ბედ ბოუნი". მეტსახელი "ბედბოუნი" პირველად საქსოფონისტმა კორტნი პაინმა უწოდა როლინსს, სწორედ აქედან მოდის ჯგუფის სახელწოდებაც Badbone & Co. ეს პერიოდი მუსიკოსის შემოქმედების კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს. როლინსი საბოლოოდ აღიარეს ბრწყინვალე მუსიკოსად, ჯგუფის ხელმძღვანელად და პროდიუსერად.

"ეს ის კაცია, ვისი ნახვა და მოსმენაც შეგიძლიათ სხვადასხვა სტილის მუსიკოსების ჯგუფში. თუ დღეს სტინგთან ერთად დგას სცენაზე, ერთი კვირის შემდეგ შეიძლება "ჯემიროქვაისთან" ან ერიკ ბენეტთან ერთად იხილოთ. როლინსი სცენაზე ლიდერობას არავის უთმობს და მსმენელს აჯადოებს არასტანდარტული მანერებით. მისი გამოჩენა განსაკუთრებულ ეიფორიას იწვევს და აუდიტორიაც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში," - ფრანგული პრესის ასეთ შეფასებას აუცილებლად დაეთანხმება ყველა, ვისაც ჰქონია შესაძლებლობა, დენის როლინსის კონცერტს დასწრებოდა. დღეს ასეთი შესაძლებლობა თბილისელებს მეორედ მიეცემათ. საინტერესოა, როგორი შთაბეჭდილებები დაგვრჩება ცნობილი ინგლისელი ტრომბონისტის მორიგი კონცერტის შემდეგ.

# როცა სტატიას ტექსტის გარეშე წაიკითხავ

ნინო ჟანიშვილი


გიორგი ცაგარელი, გურამ წიბახაშვილი, სამხ. აკადემიის რექტორი სოსო ქოიავა

გოეთეს ინსტიტუტის ინიციატივით გუშინ სამხატვრო აკადემიაში გერმანელი მხატვრისა და ფოტოჟურნალისტის რეგინა შმეკენის გამოფენა სახელწოდებით "ახალი ცენტრი" გაიხსნა.

ბოლო რამდენიმე წელია, თბილისში ფოტოხელოვნების ბუმია, სულ უფრო ხშირად იმართება ფოტო გამოფენები, რომელთაგან ცოტა თუ დაამახსოვრდება კაცს. ერთ-ერთი საინტერესო გამოფენა ჩატარდა ქარვასლაში, როცა ცნობილი ფოტოგრაფის მარტინ პარის ნამუშევრები გამოფინეს. გუშინდელი გამოფენაც შეიძლება გამორჩეულად ჩაითვალოს მრავალრიცხოვანი ფოტოგამოფენების ფონზე.

რეგინა შმეკენი, ერიჰ სოლომონის პრემიის ლაურეატი, 1977 წლიდან მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოებზე მუშაობს. იგი ბოლო 15 წელია, რაც "ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" წამყვანი ფოტოკორესპონდენტია. მან 1994 წელს გამოსცა წიგნი "დახურული საზოგადოება", რომელიც "კოდაკის" ფირმის პრიზით Kodak-photo buchpreis-ით დაჯილდოვდა. ფოტო ნამუშევრების მეორე კრებული, "ახალი ცენტრი" 2001 წელს გამოსცა და იმავე სახელწოდების გამოფენა ბერლინის კომერციულ ბანკში გაიმართა, რასაც ძალიან დიდი წარმატება მოჰყვა. შმეკენის "ახალი ცენტრი" ევროპული ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებს აფიქსირებს (პარიზი, კრაკოვი, კოსოვო), მაგრამ მთავარი ყურადღება თანამედროვე გერმანიას ეთმობა - ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის აღმართვა რეიხსტაგზე, ბერლინის მშენებლობა. რეგინა შმეკენს პოლიტიკურ ფოტოგრაფსაც უწოდებენ, თუმცა მის ობიექტივში მოსაწყენი და მშრალი ფაქტებიც – მსოფლიო სამიტები და ფორუმები – განსხვავებულ რაკურსში შემოდის. მისთვის არც იუმორია უცხო "გახარებული იოშკა ფიშერი (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი) პირველად თავისი კაბინეტის სავარძელში".

როგორი უნდა იყოს ფოტო რეპორტაჟი? ალბათ, იმდენად მეტყველი და გამომსახველი, რომ სტატიის წაკითხვა აღარ გჭირდებოდეს. ფოტოგრაფი დათო ცხადაძე დარწმუნებით ამბობს: "გაზეთს, პირველ რიგში, ფოტო ყიდის და არა სტატია". როცა რეგინა შმეკენის ფოტოებს უყურებ, დათო ცხადაძის შეხედულება, ნამდვილად, მისაღები ხდება.

გუშინდელი გამოფენა საკმაოდ ეფექტური გამოვიდა, რადგან ძალიან დიდი ზომის ფოტოებია წარმოდგენილი. ექსპოზიციაზე გერმანიის პოლიტიკოსებთან ერთად კულტურის მოღვაწეების ფოტოპორტრეტებსაც ნახავთ - ნობელის პრემიის ლაურეატი და მწერალი გიუნტერ გრასი და ფილოსოფოსი ჰანს-გეორგ გადამერი.

გამოფენაზე საკმაოდ ცოტა ხალხი მოვიდა. ცხადია ექსპოზიცია უფრო საინტერესო იქნებოდა და მეტ მაყურებელსაც მიიზიდავდა თავად ავტორიც, რომ ჩამოსულიყო. მაგრამ, როგორც გოეთეს ინსტიტუტს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, გოეთეს ინსტიტუტის ბიუჯეტისთვის ეს ძალიან ძვირად ღირებული პროექტია, თანაც რეგინას ფოტოები მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და ის, უბრალოდ, ვერ შეძლებს ყველა გამოფენაზე ჩავიდეს.

მომავალი პროექტი კი, რომლის განხორციელებასაც გოეთეს ინსტიტუტი გეგმავს არის გერმანელი რეჟისორის ჰებერტ ახტენბუშის ფილმების ჩვენება, რომელიც 21-დან 27 მარტამდე კინოს სახლში იქნება წარმოდგენილი.

# კულტურული პროცესი არაფერზე არ არის დამოკიდებული

ლაშა ბუღაძე
მწერალი


ლაშა ბუღაძე

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

**1.** კულტურა რამდენადაც სახელმწიფოებრივი, იმდენად საზოგადოებრივი ინსტიტუტია. თუმცა, რაკი აპრიორი კულტურისა არის შემოქმედებითი პროცესი, თავისთავად მაინც ინდივიდებთან მივალთ, აქედან გამომდინრე, მისი აქტივობა მაინც საზაოგადოებაზეა დამოკიდებული. ჩვენთან კულტურის პასიურობის ერთგვარი გამამართლებელი სტერეოტიპი შეიქმნა. ცნობილი სენტენციის პერიფრაზირება რომ მოვახდინო, "როდესაც ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმან", ეს ჩვენთან გამამართლებელ ფაქტორადაა აღქმული. თითქოს, მხოლოდ წყნარ, უზრუნველყოფილ და უტოპიურ დროს შეიძლება კულტურის შექმნა, ეს, რა თქმა უნდა, მცდარი მოსაზრებაა. შეიძლება ითქვას, რომ კულტურა არსობრივად არ იჩაგრება. პირიქით, თუ კულტურის ისტორიას გადავხედავთ, ყოველთვის პირიქით ხდებოდა. როდესაც გარესამყარო აქტიურდებოდა და ბევრი ნეგატიური მოვლენა ხდებოდა, ეს იყო იმპულსი ნაწარმოებისა თუ სხვა კულტურული პროცესების შექმნისათვის. კულტურული პროცესი არაფერზე არ არის დამოკიდებული, ეს არის ინდივიდუალური მონდომების ფაქტორი, რამდენად აქტიურია, ან რამდენად ზარმაცია ადამიანი და რა ილუსტრაციას უძებნის ამ სიზარმაცეს. ქართველი შემოქმედები საკუთარი პასიურობის მიზეზს ყოველთვის გარე სამყაროში ეძებენ და თავს ამით იმართლებენ. ბევრი მხატვარი და მწერალი შემხვედრია, რომლებიც სტაბილურობას ელოდებიან, ეს ყოველთვის პარადოქსულად მეჩვენებოდა. კინორეჟისორების საყვარელი ფრაზაა: "ეს ყველაფერი რომ დამთავრდება და დაწყნარდება, მერე გადავიღებთ ფილმს" ჩემის აზრით, ეს აბსოლუტურად კომიკური დამოკიდებულება არის პროფესიისადმი და ზოგადად კულტურისადმი. სანამ საქართველო ვალს არ გაისტუმრებს, მანამ ჩვენ თუ წიგნები აღარ დავწერეთ და ფილმები არ გადავიღეთ...

**2.** არ ვიცი რამდენად შეიცვალა. თუმცა, რაღაც რომ არ შეცვლილიყო, ეს, თავისთავად, სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ალბათ, რაღაც შეიცვალა, თუმცა, დღევანდელი კულტურული პროდუქციის სრულფასოვნად და ობიექტურად შეფასება, ვფიქრობ, არ შეგვიძლია. ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანი მოვლენა ლიტერატურაში ახალი ავტორების გამოჩენა არის. კონკრეტულად აკა მორჩილაძე, კონკრეტული რომანით, "გადაფრენა მადათოვზე და უკან"; ვფიქრობ, ეს ბოლო წლების ყველაზე სერიოზული ლიტერატურული მოვლენაა. ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის ეს წიგნი ბევრად უფრო ფასეულია. თვითონ აკა მორჩილაძის ფენომენი, 90-იანი წლების შემდგომი პერიოდის სამი რომანი "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", "ყარაბახი", "გადაფრენა მადათოვზე და უკან", ეს საკულტო რომანებია, და მათ ლიტერატურაში საკმაოდ სერიოზული გარდატეხა მოახდინეს. რაც შეეხება სხვა სფეროებს, აუცილებელია ითქვას, რომ, როდესაც ქუჩაში ვერ გავდიოდით და საშინელი მდგომარეობა იყო, პირადად ჩემთვის, მართლა თავშესაფარი იყო ჯანსუღ კახიძის კონცერტები, რასაც იგი აკეთებდა, მისი ფესტივალები, ეს იყო მოვლენა. მახსოვს როგორ ქრებოდა ჯანსუღ კახიძის კონცერტებზე შუქი, როგორ გამოჰქონდათ მუსიკოსებს სანთლები და როგორ აგრძელებდა დირიჟორი კონცერტს. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც კულტურულ ილუზიას ქმნიდა (თუ არ ვცდები ეს ოთარ ჭილაძის სიტყვებია), ეს მართლაც, კულტურული ილუზია იყო, რომელსაც ჯანსუღ კახიძე იმ პერიოდში აბსოლუტურ რეალობად აქცევდა. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე მინდა ვთქვა, რომ ეს ადამიანი დღევანდელობას სერიოზულად დააკლდა.

**3.** ჩვევად მაქვს, რომ ძალიან ბევრ წიგნს ვკითხულობ ერთად. თუმცა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მხოლოდ ლიტერატურით შემოვიფარგლები. ბოლო წიგნი, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინ დავხურე, აკა მორჩილაძის "ძირს სიმინდის რესპუბლიკა" და თურქი მწერალის ორჰან პამუკის "მე მქვია წითელი" იყო. რაც შეეხება მუსიკას, ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახალ მუსიკას არ ვუსმენ. ძირითადად, ჩემი მუსიკალური აზროვნება შემოიფარგლება 1756 წლიდან 1925 წლამდე. 1756 წელს დაიბადა მოცარტი და 1925 წელს პუჩინიმ დაწერა "ტურანდოტი", კლასიკური მუსიკის ეს პერიოდი ჩემთვის ყველაზე ფასეულულია და ვცდილობ შეძლებისდაგვარად გავამდიდრო ჩემი კოლექცია. ბოლოს ოპერაში "ბალ-მასკარადი" მოვისმინე, სადაც ბადრი მაისურაძემ რიკარდოს პარტია შეასრულა და ვფიქრობ, საკმაოდ კარგად. ბოლო გამოფენა, რამაც მართლა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, "არტერია" იყო, "ქარვასლაში". სამწუხაროა, რომ ამის აღქმა ბევრმა ვერ მოახერხა. რაც შეეხება ფილმს, ეს იყო ქართული ფილმი "როგორც ლურჯა ცხენები", რამაც ძალიან დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა. სამწუხაროდ, ამ ფილმის ხილვის შემდეგ ვერ ვიტყვით, რომ ქართული კინოს გამოცოცხლება დაიწყო, არავითარ შემთხვევაში, პირიქით. რეჟისორმა ამ ფილმით ქართული კინოს სიკვდილი ხუთიანზე გააფორმა. რაც შეეხება სპექტაკლს, ეს იყო "ვენეციელი ვაჭარი", სადაც შაილოკის როლის შემსრულებელმა მერაბ ნინიძემ, გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა, დანარჩენ მსახიობებზე თავს შევიკავებ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## რომიდან ბასკეთში?

იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე იმდენ ვინმეზე დაწერეს, სეზონის ბოლოს "რომადან" წასვლას აპირებსო, წასვლის კანდიდატად შერაცხულმა ყველა ფეხბურთელმა მართლაც რომ დატოვოს ფრანკო სენსის კლუბი, ფაბიო კაპელოს თავიდან მოუწევს ახალი გუნდის დაკომპლექტება. უკვე ცნობილია, რომ ივნისში გუნდიდან წავლენ ბრაზილიელები: ალდაირი, ლიმა და კაფუ. ახლახან მათ რიცხვს ურუგვაელი ჯანი გიგუც მიემატა.

ურუგვაელი ნახევარმცველის კარგი თამაშით რამდენიმე ევროპული კლუბია მოხიბლული. ინგლისურ "ვესტ ჰემს" და გერმანულ "მიუნხენ 1860"-ს ახლავე სურთ გიგუს შეძენა. თუმცა, არის კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც სერიოზულად აქვს განზრახული ურუგვაელი ნახევარმცველის ხელში ჩაგდება. ეს ბასკური "ალავესია". ბასკურ კლუბში უკვე დიდი წარმატებები აქვს "რომას" ექს-ფეხბურთელს, ჩერნოგორიელ ივან ტომიჩს, რომელიც ვიტორიაში ცხოვრებით და თამაშით მეტად კმაყოფილია. ბასკები დიდად მოწადინებული არიან, რომ კაპელოს გუნდის კიდევ ერთი ფეხბურთელი იხილონ თავიანთ კლუბში.

## ბრაზილიელები ფრთხილობენ

ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრები, ძვირად აფასებს საკუთარ უსაფრთხოებას. "სელესაოს" ორი ამხანაგური მატჩი ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მსოფლიოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ორივეზე უარი განაცხადა.

1 აპრილს ბრაზილიელები ბაჰრეინის ეროვნულ ნაკრებს უნდა შეხვედროდნენ ამ პატარა არაბული ქვეყნის დედაქალაქში, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა მატჩზე უარი თქვეს, რადგან მოსალოდნელი ომის გამო სახიფათოდ მიიჩნეს აზიაში გამგზავრება. 30 აპრილს ლოს-ანჟელოსში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს ამხანაგური მატჩი ჰქონდათ დაგეგმილი ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ გუნდთან, მაგრამ პენტაკამპეონებმა არც ამ მატჩის ჩატარება მოისურვეს იმ მოტივით, რომ "სელესაოს" ლოს-ანჟელოსში ჩასვლა დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევდა და მატჩის დროს, შესაძლოა, ვინმეს ტერაქტიც კი მოეწყო. მოკლედ, ბრაზილიელები ზედმეტად ფრთხილები და მშიშრები აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ, "სელესაოს" უარი არ უთქვამს 29 მარტს პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაზე. ეს, ალბათ, არც არის გასაკვირი - პორტუგალიელებს ახლა წვრთნის ბრაზილიელთა ექს-თავკაცი, ლუიშ ფილიპე სკოლარი, რომელმაც სამხრეთამერიკელებს აზიური მუნდიალი მოაგებინა.

## "ზეკაცი" ნერვების გარეშე

მიუხედავად იმისა, რომ დღეს გერმანიაში ყველას ოლივერ კანის სახელი აკერია პირზე და მეუღლის ღალატისთვის საშინლად კიცხავენ, "ბაიერნის" მეკარე მოედანზე ძველებური შემართებით გამოდის და შეუპოვრად იცავს ბავარიელთა კარს. ნუთუ კანი მართლაც "ზეკაცია" და რკინის ნერვები აქვს?

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ოლივერ კანი და მისი ახალი საყვარელი, ვერენა, ყვითელი პრესის უპირველეს თემად იქცნენ. ამ ხნის მანძილზე კანს უსიამოვნებები არ მოჰკლებია, მაგრამ "ოლიმ" ყველაფერს გმირულად გაუძლო.

პატარა დავიდის დაბადების შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ კანი შვებულებას აიღებდა და ოჯახური პრობლემების მოგვარებას შეეცდებოდა, მაგრამ "ბაიერნის" მეკარეს არც კი უფიქრია გუნდის დატოვება. ბუნდესლიგის ბოლო ტურში ლევერკუზენის "ბაიერის" წინააღმდეგ კანმა დაშავებულმა ითამაშა. "ბაიერნის" სუპერგოლკიპერს ორი ტრავმა ჰქონდა - ფეხის თითი სტკიოდა და ბარძაყის კუნთიც არ აძლევდა მოსვენებას, მაგრამ კანმა ყველაფერს გაუძლო და "ბაიერნის" კარი მშრალად შეინახა. მოდი და ნუ იტყვი: კანში არის რაღაც არაჩვეულებრივი!

ბავარიელთა "ზეკაცი" ფიზიკურ ტკივილსაც უძლებს და სულიერსაც. ოჯახური პრობლემების გამო ის ფეხბურთის მიტოვებას ნამდვილად არ აპირებს: "ფეხბურთს და პირად ცხოვრებას ყოველთვის ვმიჯნავდი ერთმანეთისგან. ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდეს", - მიაჩნია "ოლის". მის ადგილას სხვა ფეხბურთელი ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ალბათ, ვერ გაუძლებდა. კანი ყველაფერს იტანს და კვლავაც აოცებს საფეხბურთო სამყაროს...

### მოკლედ

**ფეხბურთი.** ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა განაცხადა, რომ აპირებს, საფეხბურთო კარიერა დაასრულოს მშობლიურ "ესტუდიანტესში", სადაც დიდი ხნის წინათ ფეხბურთის თამაში დაიწყო. ამასთან, 28 წლის ფეხბურთელმა უარყო ხმები უახლოეს მომავალში "მანჩესტერის" დატოვების შესახებ. მისი თქმით, ის "მანჩესტერში" დარჩება 2006 წლის ზაფხულამდე, ანუ კონტრაქტის დამთავრებამდე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალის" ფრანგი ნახევარმცველი, რობერ პირესი, პრემიერლიგაში თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. თვე მან "ფულჰემის" კარში გატანილი ორი გოლით დაიწყო. ლონდონურ დერბიში "არსენალმა" 2:1 გაიმარჯვა. შემდეგ კი პირესმა "მანჩესტერ სიტისთან" და "ნიუკასლთან" შეხვედრებშიც გამოიჩინა თავი. პირველ შემთხვევაში "კანონირებმა" მოიგეს, ხოლო მეორე მატჩი ფრედ დაასრულეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამ დღეებში UEFA-მ წესდებაში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პორტუგალიაში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალურ მატჩებს 4 დღე დაეთმობა. ადრე ამ პროცედურას ორი დღე ეთმობოდა და გუნდები დღეში ორ მატჩს ატარებდნენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "სელტიკის" შვედმა ფორვარდმა, ჰენრიკ ლარსონმა, ტრავმა მოიშუშა - მას მოტეხილ ყბაზე უმკურნალეს. ფეხბურთელი აცხადებს, რომ UEFA-ს თასის მეოთხედფინალური მატჩისთვის ინგლისის "ლივერპულის" წინააღმდეგ მწყობრში იქნება. "ყბა მთლიანად შემიხორცდა. ექიმები ამტკიცებენ, რომ თამაში შემიძლია. ახლა ყველაფერი ჩემს ფუნქციურ მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება არ შემიძლია", - ამბობს ფორვარდი.

# ტოტი მოღალატეა, კასანო, გმირი!

როცა 22-ე წუთზე მსაჯმა ურს მაიერმა რომაელი ფრანჩესკო ტოტი მინდვრიდან გააძევა, თვით "რომას" ყველაზე თავგადაკლული გულშემატკივარიც კი ვერ იფიქრებდა, რომ მის საყვარელ გუნდს ამ მატჩში რაიმე შანსი ექნებოდა. იმ დროისთვის "არსენალი" 1:0-ს იგებდა და გამუდმებით აწუხებდა ფაბიო კაპელოს შეთხელებულ გუნდს. რომაელთა მეკარე პელიცოლიც გამოსვლაზე რამდენჯერმე შეცდა და ისე ჩანდა, რომ "არსენალი" ეს-ეს არის გაზრდიდა თავის უპირატესობას, მაგრამ მოულოდნელად საპირისპირო მდგომარეობა შეიქმნა. კაპელოს გუნდმა ორგანებულობის შესაშური უნარი გამოამჟღავნა და ტაიმის მიწურულს ანტონიო კასანოს გოლი ამ მობილიზაციის ლოგიკური დასასრული იყო. ახალგაზრდა იტალიელმა თავისი ერთადერთი შანსი გამოიყენა, როცა მეკარე სიმენთან პირისპირ გასულმა ბურთი გაუტანა ლონდონელთა გოლკიპერს.

მეორე ნახევარში არსენ ვენგერის ყველა მცდელობას, როგორმე გარდატეხა შეეტანა მატჩის მსვლელობაში, შედეგი არ მოჰყოლია. ვერც ლიუნგბერგმა, ვერც ჯეფერსმა და ვერც კანუმ ვერაფერი გააწყო. ფაბიო კაპელოს ორგანიზებული გუნდი შეუვალი იყო და მატჩის მიწურულს კასანოს ნაცვლად მინდორზე შესულ ვინჩენცო მონტელას დაახლოებით ხუთი მეტრიდან თავური ზუსტად რომ დაერტყა, არავინ იცის, იქნებ იტალიელებს რომში სამი ქულაც წაეღოთ. ასე კი ფრე - 1:1 და A ჯგუფში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, რადგან ანალოგიური ანგარიში დაფიქსირდა "ამსტერდამ არენაზეც". აქ ერთმანეთს რონალდ კუმანის "აიაქსი" და რაფაელ ბენიტესის "ვალენსია" დაუპირისპირდა. გამარჯვება ორივე გუნდს მეოთხედფინალის საგზურს, პრაქტიკულად, გაუნაღდებდა, მაგრამ კილი გონსალესის თერთმეტმეტრიანს მეორე ტაიმში პასანენმა საპასუხო გოლით უპასუხა და ჯგუფიდან გამსვლელის საკითხი ერთი კვირით გადადო.

B ჯგუფში მდგომარეობა შედარებით გარკვეულია. რადომირ ანტიჩის ხელში კატალონიურმა "ბარსელონამ" კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. რაც შეეხება მეორე საგზურს, მასზე პრეტენზიას მილანის "ინტერი" და ინგლისის "ნიუკასლი" აცხადებენ. ამ გუნდების დაპირისპირებამ ვერ გაარკვია მეორე იღბლიანის ვინაობა. არადა, ბობი რობსონის გუნდი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. "კაჭკაჭების" ლიდერმა ალან შირერმა 42-ე და 49-ე წუთებზე ორჯერ დააწინაურა თანაგუნდელები, მაგრამ ჯერ ვიერიმ (47-ე წუთზე) და შემდეგ კორდობამ (61-ე წუთზე) წონასწორობა აღადგინეს. ეს კი ნიშნავს, რომ მეორე საგზურის მფლობელი უკანასკნელ ტურში გაირკვევა, როცა "ინტერი" ლევერკუზენს ეწვევა, ხოლო "ნიუკასლი" "ბარსელონას" უმასპინძლებს.



კილი გონსალესის ამ წაქცევისთვის დაინიშნა პენალტი

| ჯგუფი A | | |
|---|---|---|
| ბარსელონა | 2 - 0 | ლევერკუზენი |
| ინტერი | 2 - 2 | ნიუკასლი |

| | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| 2 | ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| 3 | ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:11 | 7 |
| 4 | ლევერკუზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

| ჯგუფი B | | |
|---|---|---|
| არსენალი | 1 - 1 | რომა |
| აიაქსი | 1 - 1 | ვალენსია |

| | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| 2 | არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| 3 | ვალენსია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| 4 | რომა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |

## კალაძის, კრესპოსა და სხვების გარეშე

დიმიტრი ოზოლაძე

იტალიის სერია-A ყველაზე უხეში ლიგაა ევროპაში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ იტალიის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რიგებში ყველაზე მეტი ტრავმირებულია, რომელთა სიაში, სამწუხაროდ, კახა კალაძეც მოხვდა. მის მკურნალობას, სულ ცოტა, სამი კვირა მაინც დასჭირდება. ეს ნაკლებად დაეტყობა "მილანს", რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თამაში უკვე განაღდებული აქვს. სხვა საქმეა საქართველოს ნაკრები, რომელიც მარტის ბოლოს ირლანდიელებს მასპინძლობს. შემადგენლობის მხრივ "ტრავმული" სიტუაციაა იტალიის "ინტერშიც". კუპერის გუნდს "ნიუკასლის" წინააღმდეგ ერთი თავდამსხმელით მოუწევს თამაში.

**C ჯგუფი**
*რეალი - მილანი*
*ბორუსია - ლოკომოტივი*

| ჯგუფი C | | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| 2 | რეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 3 | ბორუსია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 4 | ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

"გრანდების დუელი" - ასე მოიხსენიებენ "რეალისა" და იტალიის "მილანის" დღევანდელ დაპირისპირებას. იტალიელებს 12 ქულა აქვთ და უკვე მეოთხედფინალზე ფიქრობენ. თუმცა, ის, ვინც ფიქრობს, რომ დღეს ანჩელოტის გუნდი რამეს დათმობს, ნამდვილად ცდება. "ჩვენ გვინდა, ჩემპიონთა ლიგა მადრიდის "რეალის" გარეშე დავტოვოთ", - ამბობენ იტალიელები. პლეი-ოფებში არც ერთ გუნდს არ სურს მადრიდელთა წინააღმდეგ თამაში. როგორც იცით, დღეს მოედანზე ვერ გავა კახა კალაძე, თუმცა, გაცილებით სერიოზული პრობლემა შეექმნა ვისენტე დელ ბოსკეს. ტრავმირებულ ფერნანდო იეროს ივან ელგერაც დაემატა. ესპანეთის ნაკრების 27 წლის ნახევარმცველმა "ალავესის" წინააღმდეგ, შაბათის მატჩში მიიღო ტრავმა. "მე ამას სულელურ ტრავმას ვუწოდებ, - განაცხადა ფეხბურთელმა, - ის მატჩი 5:1 მოვიგეთ. მე კი თავს, უფრო სწორად, ფეხს ვერ გავუფრთხილდი". არადა, "რეალს" მიმდინარე სეზონში ამაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა არ ჩაუტარებია. ბოსკეს გუნდისთვის, შესაძლოა, ფრეც კი დამღუპველი გამოდგეს. საინტერესოა, რომ ელგერამ კვირას მსუბუქად ივარჯიშა და, თუ მცირე შანსი მაინც მიეცა, იგი მოედანზე გასვლას აპირებს. თუ ასე არ მოხდა, ელგერასა და იეროს ადგილებს ახალგაზრდა პავონი და კლოდ მაკელელე დაიკავებენ. დღეს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა გველის: მადრიდში ბრუნდება "რეალის" გულშემატკივრის ყოფილი კერპი, ფერნანდო რედონდო. არგენტინელი 2000 წლის გაზაფხულზე ჩავიდა მილანში. მას შემდეგ, რაც "რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო და სეზონის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად დაასახელეს, რედონდომ ორ წელიწადში სამი სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. მოედანზე დაბრუნება სწორედ მისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მატჩებს დაემთხვა. ანჩელოტის განცხადებით, დღეს ფერნანდო რედონდო ძირითად შემადგენლობაში იქნება. რაც შეეხება მეორე მატჩს: მხოლოდ რუსეთში მიაჩნიათ, რომ დორტმუნდის "ბორუსია" შანსს ხელიდან გაუშვებს და "ლოკომოტივს" ვერ მოუგებს. აქედან უნდა გამოვიდეს "რეალიც". დორტმუნდელები მოიგებენ და "სამეფო კლუბს" უკანასკნელ ტურშიც პრობლემები ექნება. დღეს, "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში, 23 საათსა და 45 წუთზე, "რეალი"-"მილანი".

**D ჯგუფი**
*მანჩესტერი - ბაზელი*
*იუვენტუსი - დეპორტივო*

| ჯგუფი D | | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| 2 | იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| 3 | დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 4 | ბაზელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

სერ ალექს ფერგიუსონის გუნდისგან ყველაფერია მოსალოდნელი. სწორედ ამის გამო მეოთხედფინალში გასვლის შანსი შვეიცარიის "ბაზელსაც" აქვს. თუ დღეს სტუმრებმა ოლდ-ტრაფორდზე მოიგეს, ხოლო "იუვენტუსმა" და "დეპორტივომ" ქულები გაიყვეს, "ბაზელი" ცხრილის მეორე საფეხურზე აიწევს და ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე იტალიელებს უმასპინძლებს. მოედანზე ვერ გავლენ ტრავმირებული არგენტინელი ვერონი და ირლანდიელი როი კინი. კინი შეიძლება ყველაზე უიღბლო ფეხბურთელთა სიაში შევიყვანოთ - მან, ბარძაყის ტრავმის გამო, სამნახევარი თვე გამოტოვა და "ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ მატჩში კვლავ ტრავმა მიიღო. ექიმების წინასწარი გამოკვლევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ კინი პრემიერლიგის მნიშვნელოვან შეხვედრებსაც გამოტოვებს, მათ შორის - "ასტონ ვილასთან" და "ფულემთან". სხვათა შორის, ფერგიუსონმა საჯაროდ უსაყვედურა ირლანდიელს. "მე დავინახე, რომ როის ფეხი სტკიოდა და პირველი ტაიმის ბოლოს შევთავაზე, მოედნიდან გასულიყო, - განაცხადა სერ ალექსმა, - მან კი უარი მითხრა. მისმა ირლანდიურმა, ჯიუტმა ხასიათმა კიდევ ერთხელ დაღუპა. ახლა შეუძლია, კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად დაისვენოს". ზემოთქმულის მიუხედავად, "იუნაიტედი" მაინც ფავორიტად ითვლება. პრაქტიკულად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება "დელა ალპის" სტადიონზე გასამართ მატჩს. "დეპორტივოს" დააკლდება ვეტერანი, 40 წლის დონატო, რომელსაც მუხლის სერიოზული ოპერაცია გაუკეთეს და თუ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა, მკურნალობისთვის ოთხი კვირა მაინც დასჭირდება. ლიპის კი შეუძლია, შედარებით მშვიდად იყოს - მწყობრში ჩადგა ალესანდრო დელ პიერო, რომლის გარეშეც "იუვენტუსი" გაცილებით სუსტია, ვიდრე მასთან ერთად. თუ მეორე ეტაპის 4 ტურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ლიპის ფეხბურთელები არც იმსახურებენ მეოთხედფინალში გასვლას. მათ მხოლოდ აუტსაიდერს, "ბაზელს" მოუგეს, ორჯერ წააგეს "მანჩესტერ იუნაიტედთან" და ფრედ ითამაშეს ლა კორუნიაში. სწორედ ის ფრე და სტუმრად გატანილი ორი გოლი ანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობას სერია A-ს წარმომადგენელს. სავსებით შესაძლებელია, იტალიელებმა და ესპანელებმა ეტაპის ბოლოს თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვონ. დღეს, "არსენალისა" და "რომას" მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის შემდეგ, "რუსთავი-2" გთავაზობთ "იუვენტუსისა" და "დეპორტივოს" შეხვედრას.

# ეპოპეა დასრულდა: რეხვიაშვილი "ტორპედო-მეტალურგის" ფეხბურთელია

### ალეკო მოსკოვის "სპარტაკს" 7-ნომრიანი მაისურით დაუპირისპირდება

მიხეილ აბაიშვილი

ალეკო რეხვიაშვილი ახალი თაობის ქართველ ფეხბურთელთა შორის, თუ ყველაზე გამორჩეული არა, ერთ-ერთი საუკეთესოა სათამაშო კლასით, ოსტატობით, თავგანწირული თამაშით და ბრძოლისუნარიანობით. მას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. მის მიმართ სერიოზულ დაინტერესებას იჩენდნენ ინგლისის პრემიერლიგის წამყვანი კლუბები და რომ არა სამწუხარო ტრავმა, დღეს იგი "ასტონ ვილას" მაისურით დალაშქრავდა "ნისლიანი ალბიონის" სტადიონებს.

საქართველოს ნაკრების 28 წლის ნახევარმცველის კარიერაში "რუსული პერიოდი" დგება. რეხვიაშვილმა იანვრის დასაწყისში კონტრაქტი გააფორმა მოსკოვის "ტორპედო-მეტალურგთან", მაგრამ იძულებული გახდა, რომ ეს გუნდი დაეტოვებინა და ვლადიკავკაზის "ალანიას" შეხიზვნოდა, რადგან მოსკოველებმა პირი გატეხეს - კონტრაქტის პირობები სრულფასოვნად არ შეასრულეს. რევაზ ძოძუაშვილთან ჩასულმა რეხვიაშვილმა ოსური კლუბის რამდენიმე ვარჯიშში და ორ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, რამდენიმე დღის წინ ისევ მოსკოვში დაბრუნდა და ისევ "ტორპედო-მეტალურგის" რიგებში აღმოჩნდა.

გუშინ "**24 საათი**" ტელეფონით დაუკავშირდა ალეკო რეხვიაშვილს.

**- ალეკო, შენ ვლადიკავკაზი დატოვე, მოსკოვში დაბრუნდი და "ტორპედო-მეტალურგის" შემადგენლობაში ამხანაგური მატჩიც ითამაშე. საბოლოოდ როდის გადაწყდება შენი საკითხი?**

- პრაქტიკულად, ყველაფერი დღეს გადაწყდა. "ტორპედო-მეტალურგის" ხელმძღვანელობამ საპრეზენტაციო აქცია მოაწყო – მთელი გუნდი ავტოქარხანა "ზილ"-ში წაგვიყვანა. თან გვახლდა სპორტულ ჟურნალისტთა საკმაოდ შთამბეჭდავი კორპუსი. აქციის დასრულების შემდეგ პირადად შევხვდი კლუბის გენერალურ მენეჯერს, ბელოუსს და ყველა საკითხზე საბოლოოდ შევთანხმდით. ბელოუსი შემპირდა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა პირობას შეასრულებს. ჩვენი შეხვედრა ზუსტად თქვენი სატელეფონო ზარის წინ დასრულდა. "24 საათი" პირველი საინფორმაციო საშუალებაა, ვინც ეს ამბავი შეიტყო.

**- რევაზ ძოძუაშვილმა ჯერ არ იცის შენი გატორპედოელების ამბავი?**

- პირველ რიგში, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ბატონ რეზოს, რომელიც ჩემთვის მძიმე წუთებში გვერდით დამიდგა და მძიმე, სტრესული მდგომარეობა გადამატანინა. ძოძუაშვილი წინააღმდეგი არ იყო, რომ მის გუნდში ვყოფილიყავი. თუ "ალანიას" და "ტორპედო-მეტალურგის" ხელმძღვანელები მოილაპარაკებდნენ, ასეც მოხდებოდა, მაგრამ ეს პროცესი ჩიხში შევიდა და ბატონმა რეზომ თავად მირჩია, მოსკოვში დავბრუნებულიყავი და საკითხში სიცხადე თავადვე შემეტანა. აქ ჩამოსულს, საკმაოდ თბილად შემხვდნენ, პირობებზე შეთანხმებაც აღარ გამჭირვებია და, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 13 იანვარს არის ხელმოწერილი, მხოლოდ დღეიდან შემიძლია ვაღიარო საკუთარი თავი "ტორპედო-მეტალურგის" სრულუფლებიან წევრად. უკვე 7-ნომრიანი მაისურაც გადმომცეს და 3 დღეში მოსკოვის "სპარტაკის" წინააღმდეგ ვითამაშებ.

**- როგორ ფიქრობ, "სკონტოდან" "ტორპედო-მეტალურგში" გადასვლა შენი საკლუბო კარიერისთვის წინგადადგმული ნაბიჯია?**

- რა თქმა უნდა. რუსეთისა და ლატვიის საფეხბურთო ჩემპიონატების შედარება არც შეიძლება. რუსეთში გაცილებით მაღალი დონეა. კონტრაქტის პირობებიც ნორმალურია.

**- რა მიზანს ისახავს "ტორპედო-მეტალურგი" მომავალ სეზონში?**

- ამ თემაზე გუნდის ხელმძღვანელობას ჩვენთან ჯერ არ უსაუბრია. ამას ხვალ საღამოს გამოგვიცხადებენ. როგორც ვიცი, სატურნირო ცხრილის პირველ ათეულში მოხვედრას მოგვთხოვენ.

**- რამდენად რეალურია ამ ამოცანის შესრულება?**

- ვერ გეტყვით, რადგან გუნდს და ფეხბურთელებს კარგად არ ვიცნობ. გამოცდილი მოთამაშეებისა და ახალგაზრდა, პერსპექტიული ფერხბურთელების კარგი ნაზავია და, წესით, უფრო მაღალი მიზნისთვისაც უნდა შევძლოთ ბრძოლა.

**- სულ ორ კვირაში საქართველოს ნაკრებს დაეწყება უმნიშვნელოვანესი, 3-მატჩიანი სერია, რომელიც ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. რას ფიქრობ ამის თაობაზე?**

- ყველაფერი ამ სამ თამაშში გადაწყდება. 9 ქულის აღება იდეალური ვარიანტია, მაგრამ, სულ ცოტა, 7 ქულა მაინც უნდა მოვიპოვოთ, რომ ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი შევინარჩუნოთ. პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ პირადად მე ძალ-ღონეს არ დავიშურებ, ყველაფერს გავაკეთებ, თავს ზემოთაც ავხტები, რომ გამარჯვებებს მივაღწიოთ.

**- საქართველოს ნაკრების სხვა ფეხბურთელებთან თუ გაქვს კონტაქტი, ამ თემაზე თუ საუბრობთ?**

- თანაგუნდელებთან სატელეფონო კავშირი კი მაქვს, მაგრამ, რომ გითხრათ, მხოლოდ ნაკრების მომავალ თამაშებზე ვსაუბრობთ-მეთქი, არ ვიქნები მართალი. თუმცა, ვიცი, რომ ამ თამაშებისადმი ყველას ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო შოთა არველაძეს, რომელიც, როცა უგუნდოდ ვიყავი და პრობლემები მქონდა, მუდმივად მიკავშირდებოდა და მამხნევებდა, რაც ძალიან დამეხმარა. მორალური მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს...




ალექსანდრე რეხვიაშვილი

*ჭადრაკი*

# საჭადრაკო სამყაროს პარადოქსები

ლინარესის მე-20 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირიც ისტორიის კუთვნილება გახდა. უკანასკნელ ტურში დაზავდნენ კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლი მომავალი მეტოქეები ვლადიმირ კრამნიკი და უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო. მათ 7-7 ქულა მოაგროვეს, მაგრამ, მეტი გამარჯვების წყალობით, უნგრელს მიენიჭა უპირატესობა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ ვიშვანათან ანანდი და გარი კასპაროვი. რუსლან პონომარიოვმა 5,5 ქულა მოაგროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ფრანსისკო ვალიეხო, ხოლო 4 ქულით სატურნირო ცხრილის ფსკერზე მოექცა აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვი.

უკანასკნელი ტური, თითქოს დაკვეთით, ლინარესის წლევანდელი ტურნირის საერთო სურათის გამომხატველი იყო. ლეკო-კრამნიკის ფრთხილი, ზომიერი თამაში და ლოგიკური ყაიმი. ანანდ-კასპაროვის ანალოგიური ფრე და შეუპოვარი ბრძოლა ბოლოსწინა ადგილისთვის, რომელიც რუსლან პონომარიოვმა პაიკების ენდშპილში, "ორი ერთის წინააღმდეგ" - მოიგო. პრინციპში, ლიდერებმა ერთმანეთს ყველაფერი დაუმტკიცეს. "ახალგაზრდა ლომები" კი "სარდაფიდან" ისე ცდილობდნენ წამოდგომას და სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით აღზევებას, თითქოს, სასწორზე პირველი ადგილის ბედი იდო. ასე რომ, საჭადრაკო სამყარო თუ არ ყირავდება, ყოველ შემთხვევაში, საფუძვლიანად მაინც ირყევა.

საერთოდ, როგორც ჩანს, ტურნირი თაობათა ცვლის ნიშნით ხასიათდებოდა. თავად განსაჯეთ: გამარჯვებული პეტერ ლეკო 23 წლისაა. ესპანური ჭადრაკის იმედი, ფრანსისკო ვალიეხო, - 20-ის. FIDE-ს მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი - 19-ის, ხოლო ტეიმურ რაჯაბოვს მხოლოდ დღეს შეუსრულდა 16 წელი. აქ არ არის საჭირო იმის აღიარება, რომ სამივე მოჭადრაკე სატურნირო ცხრილის ფსკერზე მოექცა. თვით ფაქტი, რომ ისინი ლინარესის მე-20 კატეგორიის ტურნირზე მიიწვიეს, თავისთავად მრავლისმეტყველია. სხვათა შორის, კატეგორიებს რაც შეეხება, საგულისხმოა, რომ როცა ნოვგოროდში მე-19 კატეგორიის ტურნირი ჩატარდა, ეს მოვლენა სენსაციად აღიქვეს. ახლა კი აღარაფერი უკვირთ. არა! საჭადრაკო ესტაფეტა


გარი კასპაროვი

მაინც სწრაფად მიედინება.

გარი კასპაროვისთვის კი, როგორც ჩანს, დრო იწურება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ აგრესიული ახალგაზრდობის ფონზე 39 წლის კასპაროვი დინოზავრივით გამოიყურება, არამედ იმიტომაც, რომ მისი აგრესია აღარ არის ისეთი მძლავრი, როგორც ადრე. მეტოქეები იოლად ახერხებენ ვეტერანის მარწუხებიდან თავის დაღწევას და ხშირად უიმედო მდგომარეობასაც თავის სასარგებლოდ იყენებენ, - ისე როგორც ეს პირველ წრეში ტეიმურ რაჯაბოვმა გააკეთა.

პირველი წრის ეს პარტია ერთგვარ "ლაკმუსის ქაღალდად" იქცა - მასზე შემოწმდა არა მხოლოდ კასპაროვის საჭადრაკო ძლიერება, არამედ ეს გახდა ერთგვარი დეტონატორი იმ სკანდალისა, რომელიც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა ტურნირის საზეიმო დახურვის ცერემონიალზე მოაწყო. საჭადრაკო მედიამ რაჯაბოვ-კასპაროვის შეხვედრა ტურნირის საუკეთესო პარტიად ცნო, რამაც ვეტერანი უკიდურესად აღაშფოთა და პრესის ვერდიქტის შემდეგ კასპაროვი მიკროფონთან მიიჭრა. "ეს არ იყო ტურნირის საუკეთესო პარტია. ის მხოლოდ იმის გამო გამოარჩიეთ, რომ ეს იყო ერთადერთი პარტია, რომელიც მე წავაგე. მე ეს სახალხო შეურაცხყოფად და დამცირებად მიმაჩნია. ყველაზე დიდ დამცირებად, რომელიც კი ოდესმე ჟურნალისტებისგან მიგრძვნია... თუ თქვენ საჭადრაკო ჟურნალისტებს უწოდებთ თავს, მაშინ თქვენი რეპორტაჟებითა და სტატიებით ჭადრაკს ანგრევთ. რაჯაბოვს ამ პარტიაში აბსოლუტურად წაგებული პოზიცია ჰქონდა!" - გულისწყრომა გამოხატა კასპაროვმა.

უნდა ითქვას, რომ, პრინციპში, კასპაროვი მართალია, მაგრამ ფორმა, რომლითაც მან უკმაყოფილება გამოთქვა, გვახსენებს კორჩნოის სიტყვებს: "კასპაროვი, მოჭადრაკე რომ არ ყოფილიყო, დიქტატორი გახდებოდა". არადა, FIDE-ს რეიტინგლისტს თუ გადავხედავთ, მსოფლიო კლასიფიკაციის "პირველ ნომერს" სანერვიულო თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს - კასპაროვს უახლოესი მდევრისგან 40 პუნქტი აშორებს. უზარმაზარი სხვაობაა, მაგრამ, როგორც ჩანს, კასპაროვს მიმომხილველებზე უკეთ მოეხსენება, რა ხდება საჭადრაკო კულისებში.

კასპაროვი ყველაზე უფრო სწორედ ახლა ჰგავს კარიკატურის პერსონაჟს, რომელიც ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ კასპაროვ-ანანდის (მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი) ნიუიორკული მატჩისთვის გამოაქვეყნა. კასპაროვი, კინგ-კონგის როლში, ერთ-ერთ სავაჭრო ცათამბჯენზე შემოსკუპებულა და ბუზების საკლავით იგერიებს მისკენ "კუკურუზნიკით" მომავალ ანანდს.

1995 წლის ფორმაციის კასპაროვი ახლა უკვე აღარ არსებობს, ხოლო აზიური გარეგნობის ადამიანი, თვითმფრინავი ცათამბჯენისკენ რომ მიუმართავს, დღეს აბსოლუტურად სხვა ასოციაციას იწვევს. საერთოდ, უკანასკნელ წლებში დრო მეტისმეტად პარადოქსულად იქცევა...

# ძაგნიძე საქართველოს ჩემპიონია!

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. ასპარეზობაში, რომელიც წრიული სისტემით გაიმართა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. გამარჯვება ნანა ძაგნიძემ მოიპოვა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა მაია ლომინეიშვილს, ხოლო ბრინჯაოს პრიზი ანა მათნაძემ მოიპოვა.

"ტურნირის დაწყების წინ ჩემი მიზანი სამეულში შესვლა იყო, იმისთვის, რომ ჭადრაკის ფედერაციას ჩემი ევროპის პირველობაზე გამგზავრება დაეფინანსებინა. თუმცა მას შემდეგ, რაც მაია ლომინეიშვილი დავამარცხე, ვიფიქრე, რომ გამარჯვებაც შემეძლო" – განაცხადა ნანა ძაგნიძემ.

*რაგბი*

# ფრანგებმა უცხოელთა გარეშე იბურთავეს

*ლეგიონერთა უმეტესობის არყოფნის მიუხედავად, საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში (PRO D2) 12 იანვარს გასამართი და უამინდობის გამო გადატანილი მატჩები გაიმართა.*

პაატა თოთაძე

გათამაშების ლიდერი, "ბრივი", "ტარბს" სტუმრობდა და 16:27 დამარცხდა. ლიდერის მარცხმა სატურნირო მდგომარეობაზე დიდად არ იმოქმედა. "ბრივი" ისევ ლიდერობს, თუმცა, მდევარ "მონპელიესთან" ოთხქულიანი სხვაობა ვერ გაზარდა, რაც მამუკა მაგრაქველიძის გუნდს პირველობის შანსს უტოვებს. სოსო ნიკოლაენკოსა და გია ჩხაიძის არყოფნაში მოიგო "ლა როშელმა", რომელმაც აუტსაიდერი "ობენა" დაამარცხა. ქართველ მორკინალებს ტრავმები აქვთ და, თუ ფრანგულ საინფორმაციო წყაროებს დავუჯერებთ, ვერც ამ უქმეებზე ითამაშებენ, არადა, პლეი-ოფში მოსახვედრად მებრძოლი გუნდისთვის მათი არყოფნა დიდი დანაკლისია. მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა "ორიიაკმა". წამყვანი მოთამაშეების გარეშე (გონტინეაკი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე) დარჩენილმა, ასევე ულეგიონერო "ტულონს" სძლია - 17:12. ამ გამარჯვებას გასავარდნთა ზონაში მყოფი "ორიიაკისთვის" უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, სამაგიეროდ, ლაბაძის "ტულონს" მარცხმა პლეი-ოფში მოხვედრის შანსი შეუმცირა. მოიგო გრეგუარ იაშვილის "მეტრორასინგმაც". ქართველი მორკინალის გუნდმა ორი საფეხურით მაღლა მდგომი "დაქსი" დაამარცხა - 32:21. პირველობის დასრულებამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ, არა გვგონია, დარჩენილ მატჩებში "მეტრო-რასინგმა" იმდენი ქულა დააგროვოს, გუნდს პლეი-ოფში თამაშის საშუალება მიეცეს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე იაშვილის გუნდი დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა.

*მოკლედ*

**კალათბურთი.** "ორლანდოს" მცველი ტრეისი მაკგრეიდი და "ლეიკერსის" ცენტრი შაკილ ო`ნილი NBA-ში კვირის მოთამაშეებად აღიარეს. საშუალოდ ოთხ მატჩში მაკგრეიდი 38,5 ქულას აგროვებდა. ამათგან "ორლანდომ" სამი მოიგო. ო`ნილის მონაგარმა კი 35 ქულა შეადგინა. "ლეიკერსმა" სამმატჩიანი წარმატებული სპურტი განახორციელა.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** საერთაშორისო სპორტული სასამართლო ამ კვირაში განიხილავს და საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს 1998 წლის "ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულის, მარკო პანტანის საქმეზე. შეგახსენებთ, რომ "ჯირო დ`იტალიას" 2001 წლის გათამაშებისას პოლიციამ ველომრბოლის ჩანთაში ინსულინის შპრიცები აღმოაჩინა. იტალიის პოლიციის ამ აღმოჩენის საფუძველზე, პანტანი აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს, თუმცა, 8-თვიანი სასამართლო განჩინების შემდეგ იტალიის სასამართლომ სპორტსმენი უდანაშაულოდ ცნო. მიუხედავად ამისა, პანტანის საქმე განსახილველად ლოზანის სპორტულ სასამართლოს გადაეცა.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე, კრისტიან მაიერი, მსოფლიო თასის ბოლო ეტაპში მონაწილეობას არ მიიღებს. 31 წლის მრბოლს, რომელიც ახლა მეხუთე ადგილზეა, ფილტვების ანთება დაემართა, რაც ნორვეგიის ტურნირის გამოტოვებად დაუჯდა. იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ მაიერი საავადმყოფოში მოათავსეს. ასეა თუ ისე, მას მაინც არ ჰქონდა შანსი, გიგანტურ სლალომში დასწეოდა შვეიცარიელ მიხაელ ფონ გრიუნიგენს, რომელიც მას 248 ქულით უსწრებს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ჩინეთი ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება და მზად არის, ოლიმპიური სოფლის მშენებარე ობიექტებზე კორუფცია აღმოფხვრას. ამის შესახებ განაცხადა ჩინეთის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლი ბინხუამ. მანვე აღნიშნა, რომ ოლიმპიური სოფლისა და საკომუნიკაციო ობიექტების მშენებლობისთვის, 2008 წლამდე ჩინეთი აპირებს, 280 მილიარდი იუანი (დაახლოებით 33,8 მილიარდი ამერიკული დოლარი) დახარჯოს. ამასთან, უშუალოდ თამაშების ორგანიზებისთვის დაგეგმილია 1,625 დოლარის დახარჯვა. პეკინი მსოფლიო საზოგადოებას დაჰპირდა, რომ მოაწყობს "ყველაზე საუკეთესო" თამაშებს ოლიმპიადის არსებობის ისტორიაში, რომელიც, ასევე, "ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა და ყველაზე სახალხო" იქნება.

*ფორმულა 1*

# ავსტრალიის „გრან-პრიმ" ფორმულა 1-ის მშვენების გარეშე ჩაიარა

ნინო პირველი

ვისაც ჰგონია, რომ ფორმულა 1 მხოლოდ სხვადასხვა ფერად აჭრელებული სპორტული მანქანების თავბრუდამხვევი ქროლვაა, ძალიან ცდება. ეს წმინდა მამაკაცური სპორტი, ყოველი რბოლის მსვლელობისას, ისეთ ლამაზ ქალებს წარუდგენს ხოლმე მაყურებელს, რომ დამსწრე საზოგადოებას პირი ღია რჩება და დროებით შუმახერებიც ავიწყდება და მონტოია-კულჰარდიც.

ფორმულა 1-ის ქალად გახდომა სულაც არ არის ადვილი. ვისაც ამ საპატიო მისიის შესრულება უნდა, ერთდროულად ტოპმოდელის პარამეტრებშიც უნდა ჯდებოდეს და თან, გაძვალტყავებული მოედელებისგან განსხვავებით, მრგვალი ფორმებითაც იწონებდეს თავს. აბა, როგორია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება? რთული ამოცანაა, არა?

ქერათმიანი სარა ჯეინი ფორმულა 1-ის ყველაზე ძვირად ღირებულ ქალადაა მიჩნეული. ეს თვალისმომჭრელი ლამაზმანი "მინარდის" საჯინიბოს წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ "მინარდი" "ფერარის" ან "მაკლარენის" მსგავსი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, სარა ჯეინის წყალობით, ამ გუნდს საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. აბა, ვის არ ესიამოვნება "მინარდის" კაპოტზე შემომჯდარი სუპერსექსუალური სარას ხილვა?

თავის დროზე "მინარდის" ბოსებს შემთხვევით არ შეუჩერებიათ ყურადღება სარა ჯეინზე - ავსტრალიური საჯინიბო, რომელსაც მელბურნში აქვს ოფისი, მელბურნში დაბადებულ და გაზრდილ ლამაზმანს ეძებდა. მელბურნელ მომხიბვლელ გოგონათა შორის ყველაზე მშვენიერი აღმოჩნდა სარა ჯეინი და მალე "მინარდის" სახედაც იქცა. ფორ-


სარა ჯეინი

მულა 1-ის სხვა საჯინიბოებიც იწონებენ თავს ლამაზი ქალებით, მაგრამ სარამ უცებ მოიპოვა ლიდერობა. დღეს მას ფორმულას ყველაზე კეთილშობილ სახეს უწოდებენ და ყოველი რბოლის მშვენებად თვლიან.

ავსტრალიის დიდი პრიზისთვის სარა ჯეინი განსაკუთრებით ემზადებოდა. ხუმრობა ხომ არ არის - სეზონის პირველი რბოლა მის სამშობლოში ტარდებოდა და მწვანე კონტინენტის ლამაზმანს ერთი სული ჰქონდა, როდის შემოახტებოდა მშობლიურ "მინარდის". სარა ჯეინს მაყურებელიც მოუთმენლად ელოდა, მაგრამ... მოვლენები ისე განვითარდა, რომ სეზონის სტარტზევე სარას უსიამოვნება შეემთხვევა და ფორმულა 1 ავსტრალიის ტრასებზე ადგილობრივი "სექსბომბას" გარეშე დარჩა.

შარშან, მელბურნის "ალბერტ პარკში", სარამ ისეთი გრძნობით წარმოადგინა "მინარდი", რომ პილოტები არნახულად დაიმუხტნენ და მეხუთე ადგილიც კი მოუტანეს ავსტრალიურ საჯინიბოს, რაც "მინარდისთვის" კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. წლეულს სარამ გადაწყვიტა, თავად დაჯდეს საჭესთან და გაზს ბოლომდე მიაჭიროს ფეხი. ეს გართობა "მინარდის" სახეს ძალიან ძვირად დაუჯდა.

რბოლის დაწყებამდე სარა ჯეინი ეგზოტიკური მანქანების აღლუმში მონაწილეობდა. ის, ვინც სარა ვერცხლისფერ Lotus 340S -ში ჩასვა, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სულ მალე ამ, მართლაც, ეგზოტიკური მანქანისგან მხოლოდ ნაწილებიღა დარჩებოდა. მოსახვევში სარამ საჭე ვერ დაიმორჩილა და პირდაპირ ბეტონის კედლისკენ გაფრინდა. ასი მეტრის შემდეგ მანქანა კედელს შეეჯახა და წინა მხარე მთლიანად დაზიანდა. საბედნიეროდ, თავად სარა ჯეინი არ დაშავებულა, ფორმულა 1-ის ბრაზიანი ძიების რისხვას კი ვეღარ გადაურჩა მომხიბვლელი ავსტრალიელი. ტურნირის ორგანიზატორებმა სარა მაშინვე მოკვეთეს რბოლიდან, სასჯელის მიზეზად კი მისი თავქარიანობა დაასახელეს. ანგარიში არავინ გაუწია იმას, რომ ქერათმიანი სარა, წარმატებით კი პოზირებს "მინარდისთვის", მაგრამ მაინც ლამაზი ქალია. ის არ არის არც მიხაელ შუმახერი და არც ხუან პაბლო მონტოია და სულაც არ არის გასაკვირი, თუ საშინლად სწრაფი სპორტული მანქანა ვერ დაიმორჩილა. ავსტრალიელები თანამემამულე ქალბატონს ასე მკაცრად, ალბათ, იმიტომ მოექცნენ, რომ განკიცხვის შეეშინდათ - მიკერძოებაში არ ჩამოგვართვან და არ თქვან, ავსტრალიელია და იმიტომ დაინდესო.

ეტყობა, ეს ინციდენტი სარასთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება და მეტად აღარ მოინდომებს "მინარდის" ან სხვა რომელიმე სპორტული მანქანის საჭესთან დაჯდომას.

*ჩოგბურთი*

# წასვლა, არწასვლა...

*ალბათ, მაინც არ წავა. არ აქვს უფლება 22 წლის ასაკში წავიდეს და იმიტომ. მართალია თვითონ ამბობს, რომ ვეღარ შეძლებს თამაშს, მაგრამ ექიმები ასე კატეგორიულები არ არიან. მათი თქმით მარტინა ჰინგისს ჩოგბურთის თამაშის და ტურნირის მოგების შანსი კიდევ მიეცემა.*

"ვერ წარმომიდგენია, რომ ჩოგბურთის თამაშს კიდევ შევძლებ", - მარტინა ჰინგისის მიერ ფრანგული "ეკიპისთვის" ნათქვამმა საჩოგბურთო სამყარო შოკში ჩააგდო. ყოფილი "ნომერი პირველი" დღეს მუხლის და ზურგის არეში განიცდის საშინელ ტკივილს. "კორტზე სრული დატვირთვით მხოლოდ საათს ან საათნახევარს ვძლებ. მე კი არ ვარ იმ დონის ჩოგბურთელი ნებისმიერი მეტოქე ამ დროში ანუ ორ სეტში დავამარცხო. კორტზე წასაგებად გასვლას კი აზრი არ აქვს", - აღნიშნა ჰინგისმა.


მარტინა ჰინგისი

ჰინგისის ტანჯვა 2001 წელს დაიწყო. ოქტომბერში მან მარჯვენა ფეხზე გაიკეთა ოპერაცია. ჩოგბურთელის განცხადებით მან ტრავმა ფეხსაცმლის მიზეზით მიიღო, რის გამოც მისი მწარმოებლის წინააღმდეგ სასამართლოშიც კი აღძრა საქმე, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. ოპერაციის შემდეგ თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ 2002 წლის მაისში მას უკვე მარცხენა ფეხზე დასჭირდა ქირურგიული ჩარევა. სექტემბერში ჰინგისი უკვე კორტზე გამოჩნდა და ყველამ მიიჩნია, რომ შვეიცარიელი სპორტსმენის ტანჯვა დასრულდა. როგორც აღმოჩნდა ყველაფერი არც ისე მარტივად ყოფილა. ერთი თვის შემდეგ, ჰინგისის მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გახდა ნათელი, რომ ჩოგბურთელმა ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა. სწორედ ამის გამო ნოემბერში მან უვადო ტაიმ-აუტი აიღო.

დაახლოებით ერთი თვის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ჰინგისი დიდ ჩოგბურთს აღარ დაბრუნებოდა. ინფორმაციის ავტორები მიზეზად სპორტსმენის ტრავმას ასახელებდნენ. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ამას აბსურდად უწოდებდნენ და თვლიდნენ, რომ ჰინგისის გამოჯანმრთელება დროის ამბავი იყო. "თანამედროვე მედიცინა იძლევა იმის საშუალებას, რომ მარტინა დიდ ჩოგბურთს დავუბრუნოთ. მე ტვითონ ჩოგბურთის და მარტინას დიდი გულშემატკივარი ვარ და დარწმუნებული ვარ მისი თამაშით კიდევ არაერთხელ გავიხარებ", - შვეიცარიის ერთ-ერთი კლინიკის ექიმის დოქტორ ჰანს მიურცის განცხადება ჰინგისის გულშემატკივრებს იმედს აძლევს, რომ ყოფილი "ნომერი პირველი" წარსულ დიდებას დაიბრუნებს.

*ისტორიული ფოტო*

# ეს იყო 22 წლის წინათ...


1981 წლის 4 იანვარი, მონტევიდეო, ურუგვაი. ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი სოკრატესი.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**აჭარა მიუზიკ ჰოლი**
"ნესკაფე დენს ფართი",
დენის როლინსი და ჯგუფი Badbone&Co (დიდი ბრიტანეთი)
დენის როლინსის კონცერტი (დიდი ბრიტანეთი)
დას: 22:00 სთ; ფასი 45 ლარი

### თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ზაფხულის ღამის სიზმარი", რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"მრუდე სარკეები", რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
გია გუგუშვილის (უმცროსი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 17:00სთ

**ქარვასლა**
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ზამთარი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში"

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
ეკატერინე ბაღდავაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიმონა"
დას: 14:00; 17;00 ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 16:30; 21:30 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუე ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 22:00; ფასი 7,9 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება აგარაკი 2-სართულიანი პატარა სახლით და ეზოთი სურამში, ალმაშენებელზე. 70 92 41

იყიდება 104 კვ.მ. 3-ოთახიანი ბინა, ჭერი 2,80 სმ; 2(9) ბახტრიონზე. ფასი 24 5000. 38 73 64

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ქალაქ რუსთავში, მერიის გვერდით. პირველ სართულზე. ფასი 10 000 $. 8(24) 15 50 16. საღამოს 19 სთ-ის მერე

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

## მიწის ნაკვეთი

იყიდება მიწის ნაკვეთი დიღომში, 800 კვ.მ. მანქანების ბაზრობის მოპირდაპირე მხარეს. 98 50 41

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე, ბელეტაჟზე ოროთახიანი პარკეტიანი, კაფელიანი ბინა საკუთარი სადარბაზოთი. 98 86 01

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## მანქანები

**იყიდება !**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

იყიდება „მერსედესი - E200", დიზელი, 1995 წლის, ფასი 5500. 8(99) 15 84 01

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

შევასწავლი იტალიურ ენას ინდივიდუალურად. 899 297717.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება ირლანდიური სეტერის ლეკვები. 65 88 96

ვიმუშავებ კერძო ბაღში 10 სთ-დან 6 სთ-მდე მაღალი ანაზღაურებით. 31 55 81

ინტიმური თხოვნებით მოგვმართეთ 24 საათის განმავლობაში. 8(24) 15 54 93

იყიდება ახალი ოცტონიანი კონტეინერი თავისი ადგილიანად დეზერტირის ბაზრის გვერდით. 39 75 68 ბადრი, ქეთი

შევისყიდი გერმანულ და ინგლისურ სერვიზებს, ჩეხურ ბროლს, როკოკოს, ვერცხლის, ფრაჟეს, მელქიორის, ბრინჯაოს ნივთებს, ჩეხური ბროლის ჭაღებს, რუსეთის თეთრეულს, საქსის სერვიზებს და ფიგურებს, ჩინური ბუმბულის საბნელს. 68 08 51

იყიდება ძველებური სასადილო. 23 05 24

მასაჟის სალონი „ელი" გთავაზობთ მასაჟს სახლში მისვლით. 61 93 56

კანალიზაციისა და სანტექნიკის შეკეთება უსწრაფეს დროში. 8(93) 32 62 94 მალხაზი

თმის შეჭრა სახლში მისვლით შეღავათიან ფასში. 8(99) 50 10 81 ელენე

დავასაქმებთ ავტობუსიან მძღოლებს ქალაქის მარშრუტებზე. 29 10 82, 22 48 20

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი"**
გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
**სანდრო ეულის ქ. 1. 8(93) 21 76 12**

**ქსელური კომპანიების დისტრიბუტორთა საყურადღებოდ!**
**- საკუთარი ბიზნესი; უნიკალური მარკეტინგ გეგმა; შესაძლებლობა საზღვარგარეთ წასვლისა; სოციალური პროგრამა; უპროცენტო კრედიტი; საპენსიო ფონდი.**
**ტელ: 39 85 57 (ოფისი) ვიქტორია, 63 39 72, 75 60 66 (საღამოს)**

ვარ 24 წლის, პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებსაც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს შეღავათიან ფასში. 75 53 55

პროფესიონალური თარგმანი ინგლისურად, რუსულად და პირიქით. 39 02 33, 95 64 54

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**
**ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47**




## TV პროგრამა 11 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. „რეალი"-„მილანი"
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
02.40 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი"
10.15 დოკ. სერიალი „შინაური ცხოველების ველური ცხოვრება"
11.05 ლერერის შოუ
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „ევროპის ბუნების დიდებულება"
15.15 პალიტრა
15.45 კალათბურთი. „დინამო" (თბილისი) - სტუ „ჯეოსელი"
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „მათი შვილები"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 სერიალი „72 საათი"
00.10 მხ. ფილმი „სია"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „დამიბრუნდი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 ჩაძირობანა
00.00 ფილმი ბრავო „სახელგანთქმულობა" მთ. როლ-ში ლეონარდო დი კაპრიო
01.40 ფილმი ღამურა „საისკვდილო არაყი" მთ. როლ-ში ენჯი ევერხარტი
03.50 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ორმაგი სიცოცხლე"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „გამილო და სხვები"
12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმ.)
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ.ფ. „ასფალტის ჯუნგლები"
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
16.20 მულტფილმი
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „უკანმოუხედავად"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „რისკიანი ბიზნესი"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 მუსიკალური კოლაჟი
12.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 სცენის ოსტატები
20.30 მულტფილმი
21.00 მსოფლიო სპორტი
22.00 თინეიჯერი
23.00 მხ. ფილმი „ჯეიმს ბონდი. ოქროს თვალი"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მარტის კატები"
13.30 მხ. ფილმი „მილიონერთა ექსპრესი"
15.00 მხ. ფილმი „გასეირნება ამერიკაში"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „დიდი კუში"
19.20 საეტრი
21.00 მხ. ფილმი „თავში უქრის"
22.30 მხ. ფილმი „მძვინვარების ანგელოზი"

### მეცხრე არხი

12.03 09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.50 მხ. ფილმი „გჯეროდეს"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.15 დოკ. სერიალი „ცხოვრებისეული გამოცდილება"
15.45 მხ. ფილმი „იქნებ დამეხმაროთ"
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტსერიალი „ალექსი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „ცოცხალი გარგი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „ლურჯის ორი ელფერი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიული ფილმი „სამი მეფის შერკინება" 3 ს.
10.00 საბავშვო ფილმი „მთის მეფე"
12.15 ფანტასტიკა „ვარსკვლავთა ომები"
14.20 კომედია „ჯონი-კბილჩიჩქნა"
16.15 მულტფილმი „შრეკი"
17.45 თრილერი „გაიქეცი ლოლა, გაიქეცი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30, 22.40 „პრესდაიჯესტი"
19.35, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
20.00 კომედია
22.00 მისტიკური დრამა „საამური ცხოვრება"
23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 „ალტერნატივა" საავტორო გადაცემა
01.00 დრამა „ბრწყინვალება"
03.30 მელოდრამა „მოსიყვარულე გულები"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 „სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტული პროგრამა11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „სახლიდან გაუსვლელად"
12.35 „ბიორითმი"
12.55 „სახლიდან გაუსვლელად"
13.35 მელოდია
13.45 „სახლიდან გაუსვლელად"
13.55 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 „სახლიდან გაუსვლელად"
14.40 ამინდის პროგნოზი
14.45 ჰოროსკოპი
14.50 სპორტი
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 ვალუტის კურსი
18.15 მოკლედ...საქართველო
18.20 „სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა"
19.20 მოკლედ... ეკონომიკა
19.25 ვალუტის კურსი
19.30 ამინდის პროგნოზი
19.35 „სახლიდან გაუსვლელად"
20.15 მოკლედ... სპორტი
20.20 სპორტული პროგრამა
21.00 „სახლიდან გაუსვლელად"
21.05 „ლა-ლა-ლა"
21.55 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
22.00 „სახლიდან გაუსვლელად"
22.30 მელოდია
22.55 „კინოკლუბი „ - „მხოლოდ სიყვარული"
00.25 ამინდის პროგნოზი
00.30 სპორტი
00.35 „სახლიდან გაუსვლელად"
01.00 „ბიორითმი".

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Худ. фильм „НЕМЕЗИДА" 2-я ч.
12.05, 19.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Ллойд в космосе"
13.15 Худ. фильм „ИНСПЕКТОР ГАИ"
14.50 „Ералаш"
15.00 „Новый день". „Идолы". Анни Жирардо.
15.30 „Новый день". „Теория невероятности"
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.50 Сериал „Ключи от смерти"
18.00 „Большая стирка"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу С. Сорокиной.
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Следующий" („Next 2")
23.45 Человек и закон
01.10 „Новый день". „Война накануне войны"
01.40 „Новый день". „Русский экстрим"
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Беглец"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „Леди Мэр"
10.40, 22.50 Сериал „Кобра. АНТИТЕРРОР"
11.40, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Тихоня"
13.20 Сериал „Титаны"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15 Сериал „агентство одиноких сердец"
18.50, 02.40 Дорожный патруль
19.05, 00.20 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"



# ჩარლზ საათჩი – გენიოსი თუ ხარბი ინვესტორი?

ნინო ჟანიშვილი

ცნობილი კოლექციონერი და საქმოსანი ჩარლზ საათჩი წელიწადში საშუალოდ 2 მილიონ დოლარს თანამედროვე ხელოვნებაში აბანდებს. 1997 წლის ისტორიულმა გამოფენამ Sensation, რომელიც ლონდონის სამეფო აკადემიაში მოეწყო, კიდევ ერთხელ გაამყარა მისი რეპუტაცია, როგორც თანამედროვე ბრიტანული ხელოვნების მეცენატისა. ამ გამოფენის შემდეგ ტერმინიც კი დამკვიდრდა - სენსეიშენის თაობის წარმომადგენლები - როცა საუბარი ტრეისი ემინის, დემიენ ჰირსტს, მარკ ქუინს, ჯეიკ და დინოს ჩეპმენებს ეხება. ამ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ტრეისი ემინის პოპულარული ნამუშევარი "ყველა ვისთან ერთადაც ვწოლილვარ".

წელს ცნობილმა ბრიტანულმა ჟურნალმა "არტ რევიუ" ხელოვნების სამყაროში მსოფლიოში 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სია გამოაქვეყნა, რომლშიც პირველ ადგილზე ჩარლზ საათჩი იყო დასახელებული. მის შემდეგ მოდიან კოლექციონერი ფრანსუა პინო ("კრისტის" აუქციონი) და ამერიკელი მილიონერი და კოლექციონერი როლანდ ლაუდერი, (სხვათა შორის, ამ სიაში 36-ე ადგილზე რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრი მიხეილ შვიდკოი გავიდა).

პოპულარული და უმდიდრესი კოლექციონერისთვის "საათჩის გალერეა" უკვე არასაკმარისი აღმოჩნდა და ის კონკურენციის გაწევას თეით მოდერნისთვის აპირებს - თეითის სიახლოვეს საათჩი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს აშენებს, რომელიც რა თქმა უნდა, მეზობელზე უფრო გრანდიოზული იქნება.



რონ მიუკი: "ანგელოზი"

საათჩის დამსახურებაა, რომ თანამედროვე ბრიტანული ხელოვნება მსოფლიო არტ-სცენაზე ავიდა. საათჩის წყალობით, დღეს ტრეისი ემინის "აულაგებელი საწოლი" 150 ათასი ფუნტი ღირს, დემიენ ჰირსტის ძროხები და ზვიგენები კი კიდევ უფრო ძვირი.

ბაღდადში დაბადებულმა და ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში ებრაელთა ოჯახში გაზრდილმა ჩარლზ საათჩიმ, 1970 წელს თავის ძმასთან, მორისთან ერთად, სარეკლამო სააგენტო Saatchi & Saatchi დააარსა. გამბედავი და გონებამახვილი სარეკლამო პროდუქციის დამზადების წყალობით, 1986 წლისათვის კომპანია მსოფლიოს ყველაზე მსხვილ სარეკლამო სააგენტოდ იქცა. კომპანიის მიერ შექმნილი სახეები კი ლეგენდად იქცნენ.

კოლექციონერობა კი საათჩიმ 19 წლის ასაკიდან დაიწყო, როცა ნიუ იორკში ჯექსონ პოლოკის აბსტრაქციები იხილა. როგორც კოლექციონერი, იგი იმით გახდა პოპულარული, რომ ყველაზე რადიკალურ და პროვოკაციულ ნამუშევრებს ეტანებოდა, ყველაფერს იმას, რაც მანამდე უცხო იყო ბრიტანული კონსერვატორული ხელოვნებისათვის. საათჩის არ ენანება 17 ათასი დოლარი გაყინულ სისხლში გადაიხადოს, ამ თანხით მან მარკ ქუინის შედედებული სისხლისგან დამზადებული "ავტოპორტრეტი" შეიძინა, ეს ნამუშევარი ვიტრინა-მაცივარში და ლონდონის სახლში გამოიფინა, რომელსაც მოგვიანებით უბედურება შეემთხვევა. ავტოპორტრეტი, სახლში რემონტის დროს მუშებს შემთხვევით გამოურთავთ და ნამუშევარსაც სისხლი გაუვიდა.

საათჩის გამოფენები ყოველთვის სკანდალებით არის გარემოცული. სკანდალი მოჰყვა 1999 წელს ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში საათჩის კოლექციის ჩვენებას, სადაც ერთ-ერთ ექსპონატს წარმოადგენდა ღვთისმშობლის გამოსახულება, რომელიც სპილოს ფუნით იყო დაფარული. საათჩიმ თავად დააფინანსა ეს გამოფენა და ამით კონტროლიც ხელში ჩაიგდო, რითაც საშინლად გაღიზიანდნენ მუზეუმის თანამშრომლები. აღშფოთებული ნიუ იორკის მერი, რუდოლფო ჯულიანი, საათჩის ბრალს სდებდა იმაში, რომ ექსპოზიციის ნაწილის გაყიდვა სურდა და ამ გამოფენით ნამუშევრებზე ფასი ასწია. ამასთან გამოფენის დაფინანსებაში სოტბის აუქციონის გალერეაც იღებდა მონაწილეობას, რომელიც მანამდე საათჩის სურათების რეალიზაციაში ეხმარებოდა.

არტ-სამყაროს დონ ჟუანი მუდმივად დაუკმაყოფილებელია, როგორც კი ძველი ნამუშევრები ბეზრდება მაშინვე ყიდის და ახალს ყიდულობს. თუმცა შენაძენის მხატვრულ ღირებულებაში სულაც არ არის დარწმუნებული: "ჩემი კოლექციის 90 პროცენტი ათ წელიწადში შეიძლება გაუფასურდეს. არც ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია ხელოვნება, რომელიც მე მომწონს. სულ მეკითხებიან რატომ ვყიდულობ, მაგრამ ამას ჩემ თავსაც ვეკითხები – უბრალოდ, მსიამოვნებს".

თუმცა, ბევრი ასე არ ფიქრობს და საათჩის ოპონენტებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც თვლიან, რომ ეს მისთვის, უბრალოდ, კაპიტალდაბანდებაა და მეტი არაფერი. დემიენ ჰირსტმაც კი ერთ-ერთ თავის წიგნში დაწერა, რომ საათჩის თანამედროვე ხელოვნებაზე ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვება სურს.

"ნიუ იორკ თაიმსის" კრიტიკოსმა დებორა სოლომონმა, რომელმაც 1999 წელს ინტერვიუ ჩამოართვა საათჩის, მას გენიოსი უწოდა. საათჩიმ თავიდანვე გააფრთხილა ჟურნალისტი - "რაც ვარ ესა ვარ, არავითარი სიღრმე არ გამაჩნია".

გასულ კვირას ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოს 250 ათასი ფუნტის ღირებულების 18 ბრიტანელი მხატვრის 34 ნამუშევარი აჩუქა, რომელიც "ჰოვარდ გელერიში" გამოიფინება ასეთივე ჟესტი 1999 წელსაც გააკეთა და საბჭოს 100 ნამუშევარი აჩუქა.

20 აპრილიდან 20 აგვისტომდე კი "საათჩის გალერეა" ახალ ექსტრავაგანტულ პროექტს "ჭიანჭველების ხმაურს" წარმოადგენს. აქ გამოფენენ რონ მუეკის "ანგელოზს". გამოფენის ჰიტი კი დემიენ ჰირსტის 5 ტონიანი და 6 მეტრიანი ქანდაკებაა, რომელშიც ანტიკური ქანდაკების მოდელი ანატომიურ თეატრადაა ქცეული.

# ამაყი ბრიტანელები და კიდევ ერთი უარი ომს

თამარ ბაბუაძე

დაელოდეთ კვირას, 16 მარტს, თუ გსურთ, რომ მოისმინოთ სიმღერა, რომელიც 18 წლის წინ შეწყდა და იხილოთ როკის ლეგენდად აღიარებული, მაგრამ უკვე სიბერეშეპარული შემსრულებლები. ტელე-არხი VH1 ამ დღეს როკის "დიდების დარბაზის" დაჯილდოების ცერემონიალის ჩაწერილ ვერსიას გადასცემს. შოუზე, პირველად დაშლის შემდეგ, ერთად მოუსმენთ Police-ის სრულ შემადგენლობას, სტინგის თაოსნობით. იქვე იქნება ელვის კოსტელო, Righteous Brothers-ი და კიდევ მრავალი სხვა ვარსკვლავი.

საღამო, ნიუ იორკში, სასტუმრო "უოლდორფ ასტორიას" დარბაზში ორშაბათს გაიმართა. "დიდების დარბაზში", რომლის მთავარი ოფისიც კლივლენდში მდებარეობს, ამჯერად ოფიციალურად "გააწევრიანეს" ჯგუფი Police, Clash, AC/DC და ელვის კოსტელო. სწორედ ასეთი "მძიმეწონიანი" შემსრულებლების გამო "ასტორიას" კედლებში უჩვეულოდ ხმაურიანი ჰანგები დაირხა. საკმაოდ წყნარი რეპუტაციის მქონე სასტუმროს კედლები "ყურებს არ უჯერებდა": იქ პირველად ისტორიაში გაისმოდა ისეთი ველური სიმღერების ცოცხალი შესრულება, როგორიცაა, იგივე ელვის კოსტელოსა და Attractions-ის ჰიტი Pump it Up.

ხმაურიანი, პანკური საღამო კი აკადემიური "ასტორიას" დარბაზში სტინგმა და მისმა 80-იან წლებში დაშლილმა ჯგუფმა Police-მა გახსნა.

70-იანი წლების ბრიტანული პანკის ნოსტალგია, ანტი-საომარი განწყობა და ბრიტანული წარმომავლობით აღძრული სიამაყის გრძნობა – სცენიდან დარბაზში დაახლოებით ასეთი ემოციები გადადიოდა.

"ახლა ზედგამოჭრილი დროა იმისთვის, რომ ბრიტანელი გერქვას. ეს იმიტომ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში შექმნილი სამი უდიდესი სიმღერა ბრიტანულია და სამივე შემსრულებელი ამ საღამოს ჯილდოების მისაღებად აქ, ჩვენთან ერთად არის", - უხაროდა ელტონ ჯონს. ამ მოსაზრებას ნიუ იორკში მოხვედრილი, მაგრამ ბოლომდე ნამდვილ Englishman-ად დარჩენილი სტინგიც ადასტურებდა და ხუმრობით საუბრობდა იმ ეგოს შესახებ, რომელიც თავის დროზე ჯგუფის დაშლის მიზეზი შეიქნა. "ჩვენ ახლაც წავკინკლავდით. ცერემონიაზე გვინდოდა ჯერ Roxanne-ის (ჯგუფის პირველი ჰიტი) და შემდეგ Every Breath You Take-ის (ბოლო ჰიტი) შესრულება, მაგრამ სტიუარტ კოუპლენდმა დაიჩივლა, რომ არც ერთ მათგანში დასარტყამი ინსტრუმენტი საკმარისი დოზით არ იყო წარმოდგენილი და ამიტომ Message in a Bottle-იც ვიმღერეთ", - განაცხადა სტინგმა. Police-ი მაყურებელს ჯგუფ "ნო დაუთის" სოლისტმა გვენ სტეფანიმ ორიგინალურად წარუდგინა: მან შინიდან წამოიღო ფოტო, რომელზეც თვითონ, თინეიჯერობის ასაკშია გამოსახული და გაბრწყინებული სახით სტინგისგან ავტოგრაფს იღებს.



ელვის კოსტელო



გაერთიანებული Police

ჯგუფ Clash-ს კი ორი ძალიან ცნობილი როკ-გიტარისტი, ჯგუფ U2-ს ეჯი და Audioslave-ის ტომ მორელო შეეგებნენ. ორივე მათგანი იხსენებდა, თუ როგორ უხაროდათ თინეიჯერობის ასაკში Clash-ის წევრების ხილვა. სამწუხაროდ, ჯგუფი მსმენელის წინაშე სრული შემადგენლობით მაინც ვერ წარსდგა. მათ 22 დეკემბერს გულის შეტევით გარდაცვლილი ჯო სტრამერი გამოაკლდათ.

თუმცა, ალბათ, ლოგიკური იყო, რომ ყველაზე მწვავე ანტი-საომარი განწყობა "ასტორიას" დარბაზში სწორედ Clash-ის ვიდეო-მონტაჟის წარდგენისას დაფიქსირდა. Clash ხომ თავის ეპოქაში სწორედ მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ტექსტებით გამოირჩეოდა. ამ ტექსტებს კი უმეტეს შემთხვევაში ჯო სტრამერი წერდა. ტომ მორელო ამიტომაც ვერ მალავდა აღტკინებას ისტორიულ ჯგუფსა და სტრამერზე საუბრისას: "ისინი წარმოადგენდნენ ანსამბლს, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა. მათ მიერ ატეხილი ქარიშხლის ეპიცენტრში კი სტრამერი იდგა. ის ისე უკრავდა, თითქოს, ამ სამიოდე წუთიან სიმღერას მართლაც შეეძლო მსოფლიოს შეცვლა. ის ყოველთვის უპირისპირდებოდა გამეფებულ ძალას. ის ასრულებდა ისეთი დამაჯერებლობით, რომ ჩვენც მხნეობას გვმატებდა. და როდესაც დღეს ხალხი ომის გასაპროტესტებლად ქუჩებში გამოდის, იქ აშკარად ტრიალებს Clash-ის სული". ეს ანტი-საომარი თემა, რომელიც მორელომ ააგორა, ჯგუფის გიტარისტმა მიკ ჯონსმა გააგრძელა: "მზად ვარ, ბაღდადში წავიდე და ტანკებს წინ ავეფარო". მანვე თავისი ჯილდო მიუძღვნა ყველა იმ გარაჟის ჯგუფებს, რომლებიც ასეთ დიდებულ მომენტზე ვერასდროს იოცნებებდნენ.

"ასტორიაში" ბრიტანელების სიამაყე, ბუნებრივია, ელვის კოსტელომაც დააკმაყოფილა. ის გახლავთ მესამე ბრიტანელი, რომელსაც ელტონ ჯონი თავის მისასალმებელ სიტყვაში გულისხმობდა. სამივე ერთად კი მართლაც წარმოადგენენ იმ ძალას, რომელსაც მუსიკის ისტორიაში მეორე ბრიტანულ ექსპანსიად ნათლავენ (პირველი, რა თქმა უნდა, "ბითლზი" და "როლინგ სტოუნზია").

თუმცა, ორშაბათ საღამოს ბოლომდე ვერ გაერთიანდა ვერც Attractions-ი. მართალია ელვის კოსტელო კვლავაც მეგობრობს ჯგუფის ორ წევრთან, მაგრამ ვერაფრით აღადგინა ურთიერთობა ბასისტ ბრიუს ტომასთან. ამ უკანასკნელმა ჯილდო ჩაიაბარა, მაყურებელს მოკლედ მოუჭრა: "მადლობთ მოგონებებისთვის. სულ ესაა" და ჯერ სცენა დატოვა, შემდეგ კი დარბაზის კარიც გაიხურა. კოსტელომ კი თავის ახალ ჯგუფ Impostors-თან ერთად რამდენიმე სიმღერა შეასრულა, მათ შორის, ერთი, პირდაპირ ომის წინააღმდეგ მიმართული (Peace, Love and Understanding). ჯგუფის წევრმა სტივ ნივმა კი სიმღერით გადმოცემული განწყობა სიტყვიერადაც განავრცო.

საღამო გაახალისეს ჯგუფებმა AC/DC და Righteous Brothers-მა. "დიდების დარბაზში" კი ასევე გააწევრიანეს: ბენი ბენჯამინი ("მოთაუნის" პირველი დრამერი), პიანისტი ფლოიდ კრამერი (ის ელვის პრესლისთან ერთად უკრავდა) და საქსაფონისტი სტივ დუგლასი (ახლა მკვლელობაში ეჭვმიტანილი პროდიუსერის, ფილ სპექტორის სტუდიის ცნობილი წევრი).

"ახალმოსახლეობასთან" ერთად, კლივლენდის "დიდების დარბაზში" კიდევ ერთ ღონისძიებას აღნიშნავენ. 8 თებერვლიდან როკის მუზეუმში მიმდინარეობს სპეციალური ექსპოზიცია, რომელიც U2-ს ეძღვნება. გამოფენას ჰქვია: "სიყვარულის სახელით: U2-ს ოცი წელი". მუზეუმის სტუმრები ჯგუფის ბევრ ისტორიულ არტიფაქტებს შორის ნახავენ იმ აშშ-ს დროშაგამოკერებულ ტყავის ქურთუკს, რომელიც ბონოს ალბომ Elevation-ის მხარდასაჭერად გამართულ ტურნეში ეცვა. იქვეა სტეტსონი, რომელიც მას Joshua Tree-ს გასტროლზე ეხურა და ჯგუფის მრავალი ჰიტის ხელნაწერი ტექსტები. თუმცა, "დიდების დარბაზის" მუზეუმზე ხომ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ეს აშკარად სხვა წერილის თემაა. ასე რომ, ჯობს ისევ კვირა დღეს დაველოდოთ.

კალეიდოსკოპი

## "ოსკარი" ომის თანხლებით

გუშინ "ოსკარის" საორგანიზაციო ჯგუფმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ 23 მარტს კინო-აკადემიის დაჯილდოების ცერემონიალი ნებისმიერ შემთხვევაში გაიმართება. გუშინვე, ბევერლი ჰილსზე საზეიმო სადილიც მოაწყვეს და ნომინანტებს სამახსოვრო თუ ოფიციალური ფოტოებიც გადაუღეს. ამ ღონისძიებით აღნიშნეს ბოლო ორკვირიანი პერიოდის დაწყება, რომელიც "ოსკარის" ცერემონიალამდე რჩება.

რაც შეეხება ერაყში ომს, კინო-აკადემიის წარმომადგენელმა გერი კეიტსმა განაცხადა: "თუ იმ დროისთვის ომი დაწყებული იქნება, რას ვიზამთ, ბუნებრივია, არსებული რეალობა "ოსკარის" ტელე-გადაცემაზეც აისახება. ვეცდებით ეს პროცესი გავაკონტროლოთ. თუმცა, იქნება ისეთი ეპიზოდებიც, როდესაც ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. ვგულისხმობ, გამარჯვებულ ნომინანტთა სამადლობელ გამოსვლებს".

პროცესების გაკონტროლებაში კი კინო-აკადემიის წარმომადგენლები ჯილდოების გადამცემების რანგში მიწვეული ვარსკვლავების გაკონტროლებას გულისხმობენ. კეიტსმა განაცხადა: "ძალიან გავბრაზდები, თუ ისინი სცენარს შეცვლიან და თავიანთ სიტყვაში პოლიტიკურ განცხადებებს გაურევენ. აი, გამარჯვებულებს კი აბსოლუტური თავისუფლება ენიჭებათ. უბრალოდ, მათ აუცილებლად უნდა დაიცვან 45-წამიანი რეგლამენტი, თორემ დანტანელი დენიელ დეი ლუისი კი დასძენს: "საზიზღრობა იქნება, ჩვენ რომ წითელ ხალიჩაზე დავსეირნობდეთ, ხალხს ხელარჩენს მემონტაჟეები ამოჭრიან".

მსახიობები "ოსკარის" ცერემონიალის წინააღმდეგ მკვეთრ განცხადებებს არ აკეთებენ. თუმცა, რამდენიმე მათგანი ამტკიცებს, რომ თუ ომი დაიწყება, აუცილებლად უნდა შეიცვალოს შოუს შინაარსი. "ოსკარი" პოლიტიკური ფორუმი არ გახლავთ. ის უფრო მშვიდობისთვის ლოცვაა. ამიტომ აუცილებლად უნდა შევცვალოთ ღონისძიების ტონი", - ამბობს მსახიობი ედ ჰარისი. ბრის ვუქნევდეთ და ვუღიმოდეთ, შორს სადღაც კი ვილაცეებს კლავდნენ".

როგორც ხედავთ, 23 მარტს დაგეგმილი ცერემონიალი, რომელიც ჰოლივუდური კინო-ინდუსტრიის ნომერ პირველი ზეიმია, მაინც შედგება. თუმცა, ისტორიას ახსოვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შოუ გადაიდო. ერთხელ ეს 1981 წელს მოხდა. ზუსტად "ოსკარის" ცერემონიალის დღეს თავს დაესხნენ პრეზიდენტ რეიგანს და დაჭრეს. თუმცა, მალევე გაირკვა, რომ პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა და კინოს ზეიმიც რამდენიმე საათის დაგვიანებით დაიწყო.

1968 წელს კი "ოსკარი" ორი დღის დაგვიანებით გაიმართა. მაშინ მარტინ ლუთერ კინგი მოკლეს. პრეცედენტი დაფიქსირდა უფრო ადრეც, კერძოდ კი, 1938 წელს, როდესაც ლოს ანჯელესი საშინელმა წყალდიდობამ მოიცვა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჰოლივუდის ყოველწლიური ზეიმი შეუფერხებლად მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის წლებში. უბრალოდ, მაშინ ცერემონიალები დღევანდელივით პომპეზური არ გახლდათ.

### დღეს
### ოთხშაბათს, 12 მარტს




1913 წელი: კანბერა ავსტრალიის ოფიციალური დედაქალაქი გახდა.

1930 წელი: ბრიტანეთის მიერ მარილზე დაწესებული გადასახადის გასაპროტესტებლად მაჰატმა განდიმ დაიწყო 300-მილიანი მოგზაურობა ზღვისკენ.

1945 წელი: ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა თავისი დღიურებით სახელგანთქმული ებრაელი გოგონა ანა ფრანკი.

1999 წელი: ნატოში მიიღეს ცივი ომის პერიოდის სამი მოკავშირე ქვეყანა: უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და პოლონეთი.

2001 წელი: ბრიტანელმა მეცნიერებმა ქვეყანაში საშინელი სისწრაფით გავრცელებული ჯილეხის გამომწვევ მიზეზად მიიჩნიეს 1990 წელს აზიაში ჩრდილოეთ ინდოეთიდან დაწყებული ეპიდემია.

© GRAPHIC NEWS




# არგენტინული ტანგო






*გუშინ ბუენოს აირესში ტანგოს I მსოფლიო ჩემპიონატი და V საერთაშორისო ფესტივალი დასრულდა*

სამშაბათს ბუენოს აირესში ტანგოს I მსოფლიო ჩემპიონატი და V საერთაშორისო ფესტივალი დასრულდა. ბუენოს აირესის მუნიციპალიტეტის კულტურის საკითხთა მდივანმა ჟურნალისტებს მოახსენა, რომ "ტანგო აღარაა უფროსი თაობის ცეკვა, ტანგოს ახალგაზრდებიც ცეკვავენ". მართლაც, სცენური ტანგოს კონკურსში 20 წლის არგენტინელებმა, ხისელა გალეასიმ და გასპარ გოდოიმ გაიმარჯვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ტანგო აშკარად "გაახალგაზრდავდა", მოცეკვავეთა შორის 70 წლის "ტანგეროების" წყვილიც აღმოჩნდა.

ხალხით სავსე სტადიონზე "ობრას სანიტარიას" მსოფლიო საცეკვაო ფორუმის მონაწილეთა დასკვნითი გალა კონცერტი ჩატარდა. ტანგოს 3 ათასზე მეტი თაყვანისმცემელი ყოველ წყვილს ოვაციებით ეგებებოდა.

ტანგოს სამშობლოში ჩატარებულ ჩემპიონატში ევროპის, აზიისა და ამერიკის 259 წყვილი მონაწილეობდა. ამ დღეებში ბუენოს აირესს ლეგენდარული ცეკვის რიტმით მოზიდული უამრავი ტურისტი ეწვია. "პირველმა მსოფლიო ჩემპიონატმა დაანგრია ის კედელი, რომელიც ტანგოს სამყაროს ეფარებოდა, და ის მათაც იხილეს, ვისაც არასოდეს ენახა," წერდნენ არგენტინული გაზეთები, "ტანგოს ფესტივალი ბუენოს აირესისთვის იგივეა, რაც რიო და ჟანეიროსთვის – კარნავალი".

ერთი ვერსიის თანახმად, თავდაპირველად ტანგო ფლამენკოს კატეგორიის ესპანურ ცეკვათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, და მას შემდეგ, რაც სამხრეთ ამერიკა ესპანელებმა დაიპყრეს, სხვა ხალხურ ცეკვებთან ერთად ტანგოს ცეკვა არგენტინაშიც დაიწყეს.

მეორე ვერსია აფრიკულ ცეკვაზე, "ტანგანოზე" მიუთითებს – ის არგენტინაში მონა ზანგებს ჩამოჰყვა. ბუენოს აირესის ღატაკ უბნებში ტანგო კუბურ ჰაბანერას "შეხვდა", და ასე გაჩნდა ახალი ცეკვა, მილონგა. ჩვენთვის ნაცნობი, თანამედროვე ფორმით ტანგო სწორედ ბუენოს აირესის გეტოში შეასრულეს. მას ასე ეწოდებოდა: "ცეკვა შესვენებით".

თავიდან არგენტინაში ტანგოს მხოლოდ მდაბიოები ცეკვავდნენ, მან მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მიიპყრო მაღალი საზოგადოების ყურადღება. დასავლეთ ევროპაში კი "ტანგომანია" 1910 წელს დაიწყო: ის მიუზიკ-ჰოლის ფრანგმა ვარსკვლავმა, მისტინგეტმა იცეკვა, პარიზიდან კი ლონდონსა და ნიუ-იორკსაც "გადაედო".

თაყვანისმცემლებთან ერთად, ტანგოს მტრებიც უმალვე გამოუჩნდნენ. განსაკუთრებული გააფთრებით მის წინააღმდეგ ფრანგმა ეპისკოპოსებმა გაიბრძოლეს. ისინი აღშფოთებულები იყვნენ, რომ ტანგოს მოცეკვავეები ერთმანეთს ეკვროდნენ, და საერთოდ, მისი რიტმი და მოძრაობები ქრისტიანისთვის დაუშვებლად ვნებიანად მიაჩნდათ. ტანგოს მოცეკვავეთა სულები დიდ განსაცდელში აღმოჩნდა – მათ ზიარების უფლებიც კი აღარ ჰქონდათ.

კლერიკალებს მედიკოსებიც აჰყვნენ – ვინმე ნიუ-იორკელმა ექიმმა ბოხემმა 1924 წელს ახალი დაავადებაც კი აღმოაჩინა, "დაგრეხილი ფეხები", ტანგოს მოცეკვავეთა სენი. ცხადია, პრესამაც არ დაახანა, და 1915 წლის 30 მაისს "ნიუ იორკ ტაიმსში", დღეს ჩვენთვის სასაცილო სათაურით, სტატია გამოქვეყნდა: "ტანგოს საფრთხე უფრო დიდია, ვიდრე გერმანული იმპერიალიზმისა!"

მაგრამ ტანგო ვერავინ შეაჩერა, და ამის დასტური თუნდაც ბუენოს აირესში ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალის უდიდესი წარმატებაა.

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის
ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.